

# პერიდი

№7 (152)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

11 მაისი

ფასი 50 თეთრი

1134  
2000

# #7 2000



„ბოლოს მე მხოლოდ სიყვარული მომიღებს ბოლოს“  
გივი ვაგნაშვილი

საზოგადოებრივი ინფორმაცია

# პერიდი

საზოგადოებრივი ინფორმაცია

# პრილი

საზოგადოებრივი-ლიბერალური  
ასოციაცია "პრილი" გაკომუშავა

პრილი - დასასვენებელი სიწმინდე(ნი)  
სულხან-საბა

პრილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი  
ძარბაზის მისი  
განმარტაობითი ლემსიპრეო

მთავარი რედაქტორი  
**შადიმან შამანაძე**

## სარედაქციო საბჭო

- მალხაზ ხარბედია  
(მთრედაქტორის მოადგილე)
- ლევან აბაშიძე
- ია ანთაძე
- ირმა არჩუაშვილი
- ანდრო ბუაჩიძე
- გია გორგოძე
- თამაზ ვასაძე
- ნინო ზურიაშვილი
- ზაზა თვარაძე
- ვანტანგ კომახიძე
- დავით ნინიკაშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი)
- ზვიად რატიანი
- ირაკლი სამსონაძე
- სოზარ სუბელიანი
- ზაზა ფაჩუაშვილი
- ზაზა ჭილაძე
- ბესო ხვედელიძე

დირექტორი  
მიხეილ ჩიტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;  
ფაქსი: 98-67-90;  
e-mail: kharbedia@yahoo.com  
მისამართი: პ. ივანოვწყის ძ. №5

ურნალი იბეჭდება გაზეთ  
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№7 სუთვაპათი, 11 მაისი, 2000  
გამოდის ორ კვირაში ერთხელ

<b>ხსენება</b>	
ანდრო ბუაჩიძე გამარჯვებული რომანტიკოსი .....	1
დავით ანდრიაძე "შავი მინის სქოლიოში..." .....	2
შალვა ბაკურაძე მოხუცი მშვიდი და უცნაური .....	4
<b>ლიბერალურა</b>	
შოთა იათაშვილი ხმები მაჯისა და საშოს არეგებში .....	5
კავასიური დოღის თძარუნი .....	6
ნუზარ ზაზანაშვილი ლეჭები .....	14
ნინო ფირცხალავა ფრანკფურტის ინსტიტუტი და გერმანელი ინტელექტუალები ემიგრაციაში .....	16
<b>პარსენა</b>	
სანდრო სილაგიძე რაიმონდ კარერის სამი ცხოვრება .....	19
რაიმონდ კარვერი რა, არ ცეკვათ? .....	21
რობერტ ოლტმანი კარვერთან თანამშრომლობა .....	23
<b>ხელოვნება</b>	
ოქტავიო პასი ბუნება, აბსტრაქცია, დრო .....	25
<b>რელიგია</b>	
ანთანდილ არაგული ენა და ღვთისმეტყველება .....	27
ზაზა ფირალიშვილი ქვეყნის უახლესი ისტორია და ეკლესია .....	30
ზ. დგეგუაძე თამაში ყალბი მარგალიტებით .....	33
<b>კულტურისტიკა</b>	
ია ანთაძე რატომ წავიდა სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან ვაჟა ლორთქიფანიძე .....	35
ზაზა ფარუაშვილი პორტრეტები .....	38
ბია სიამაშვილი დემოკრატია თუ დემოკრატიული მეთაფიზიკა? .....	40

ანდრო გუაჩიძე



# გამარჯვებული რომანტიკოსი

გივი გვიგუჩიძის სიკვდილი არა მხოლოდ მძიმე დანაკლისია, არამედ უმედურებაა, ვინაიდან ჩვენს ტრავმატიკულ დროში ასეთი ადამიანები მართლაც თითებზე ჩამოსათვლელნი და დარჩნენ. აღარ არიან რომანტიკოსები, სამაგიეროდ არიან პრაგმატიკოსები, რომლებიც სხვათა შორის, ლექსებსაც წერენ, ოღონდ ამ ლექსებს პოეზიასთან არაფერი აქვთ საერთო.

იქნება ვინმე გულუბრყვილობად მიიჩნიოს XX საუკუნის მიწურულს რომანტიკოსობაზე საუბარი? იოლი შესაძლებელია, და ამიტომაც მათ გასაჩინად მინდა ვთქვა: რომანტიკოსობაში პასტორალურ ყოვალცხოვრებას კი არა, იმ დრამატულ სიმაღლეს ვგულისხმობ, რომლის შემდეგაც პოეზია იწყება.

გივი გვიგუჩიძის სწორედ იმათ-თავანი იყო, ვინც ამ სიმაღლეს ფლობდა. სულიერი სიმაღლისკენ სწრაფვა ის თვისებაა, ადამიანს ადამიანად რომ აქცევს. აღარაფერს ვამბობთ პოეტზე, ვინაიდან უამთვი-სებოდ პოეზია წარმოუდგენელია. დრამატიზმი მოიტანა სიტყვამ და უნდა ითქვას, დრამატიზმსაც და ტრავმატიკულ ცოცხლად დამძიმებულ მინაზე სიარული და სასურველ სიმაღლეთა ვერმიღწევა ბადებს პოეტში. ისევ გივი გვიგუჩიძის მიერ მშვენივრად თარგმნილი ბოდლერისეული "ალბატროსი" გავისწნოთ. მეზღვაურებისთვის ალბატროსი სასაცილოა, მაგრამ სინამდვილეში თითონ მეზღვაურები არიან არა მარტო სასაცილონი, არამედ უბადრუკნი და უშენონი. საზრისს მოკლებული ცხოვრება არ შეიძლება სხვაგვარი იყოს. სწორედ ამ საზრისს ამკვიდ-

რებდა თავისი შემოქმედებით გივი გვიგუჩიძის. მან იცოდა ლავარდოვანი სივრცის ფასი.

გივი გვიგუჩიძის თავიდანვე რთული - ფორმის ფლობის, დახვეწილი ოსტატობის, მკითხველთან ნახევარტონებით საუბრის გზა აირჩია. მისი ლექსების ელვარე სახოვანება თავისებურია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს პოეტი ცოცხალ ნატურას ხატავს, რათა მისი ცოცხლმყოფელი ნიშნები მოისვლოს. და პოეტის ხელწერა ამა თუ იმ საგნის უმთავრეს ნიშანს მართლაც იხელთებს. მხოლოდ უკვე მეტაფორად ქცეულ "სინამდვილეს" ფაქიზი სტილიზაციის ესთეტიკური ხიბლი ახლავს. ასეთივე ესთეტიკური ხიბლი ახლდა ფრანგული პოეზიის გივი გვიგუჩიძისეულ თარგმანებს. ჩემთვის პირადად დაუფინყარია გივიმ აპოლინერის ლექსების კრებული, რომელიც სტუდენტობის წლებში დიდხანს დამკონდა ჯიბით.

გივი გვიგუჩიძის მრავალი შესანიშნავი ლექსი შექმნა. ამ ლექსებს შორისაა ტანტურისადაც მიძღვნილი, პერმან მეღვილის "შობი დიკი" შთაგონებული ლექსი. აქ პოეტის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი მრწამსი არარეალურად ნათლად და მეტყველად არის გადმოცემული: როგორც თეთრი ვეშაპის შორეული ლანი, ისე გვებრძვის ქალღღის თეთრი ფოლიანტი.

ჩემი აზრით, გივი გვიგუჩიძის უღმობელი საათის რეკვასაც დაუსლტა, თეთრ ვეშაპსაც დაენია და ქალღღის ფოლიანტთან ბრძოლაში გამარჯვებული დარჩა.

## მოგი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი

ტარიელ კანტურისას

ბნელში გაცოცხლებული გრავიურის ხაზით, გვიხმოს თეთრი ვეშაპი სურვილით და ბრაზით.

როცა ბნელში გვიფურეხს დამცინავი ღმით ანდა უწინარდება, როგორც ანონიმი,

გულზელდაკარგვლები

როგორ ვივადო სკამზე, დაე, გლუვად გრეგალი ჩვენი გემის ბრამუსელს.

მაშინ, გვინდა თუ არა, უნდა გავეყო "პეკოლს" და ზვირთები მგლებივით უნდა გავირეკოთ.

ულმობელი საათი რეკავს, რეკავს, რეკავს, მალე გვერდით ჩავუვლი ჩამძინებულ ფრეგატს.

მალე გამშავებული ოკეანის ზროტონს მკერდით დაუჯახება ჩვენი პაკეტბოტი.

დაგვეწევა მსურველი, აღარ გვინდა მოცდა, ვეულის დავეუღლებით საღმე პორნის კინცხთან.

ველბოტე დაიმორჩილებს მოსიღობი მკლავი, ხოლო სული ქალღღისე გაღაიტანს კლავიურს.

აზრის სიღრმე გაზომე, გაააგადე ლოტი, ნთუ უნდა გაგვექცეს თეთრი ფოლიანტი.

როგორც თეთრი ვეშაპის შირკული ლანი, ისე გვებრძვის ქალღღის თეთრი ფოლიანტი.

ვერა! ვერსად წავივია! დამკარცხებით, სიკვდილს თუკ დავეპოროთო, ან თუ შევურადიო...

ნალღვიანი ზომალღო, არ ათხოვო ვერი, როცა გვიხმოს კავილით მფედრო ნავსადგური...

დამსხრებულ კომპასი, გაწვევტლი ღინი, ჩვენზე ატირებული წვიმის კლავუხინი

აღარაფერს არ ნიშნავს! ზღვაში გადავუვით, დავეწითი ჩაბავათ, მხესთან მიხულ ვეშაპს!..

21702



# “შავი მიწის სქოლიოზი...”

როდნ წიგნი ისე მონინებით გადმოქონდა, თითქოს ფრთხილად ქაღალდს ცხენიდან გადმოხვალში შეელოდა.

მარტო კარგი მწერალი კი არა, კარგი მკითხველიც იყო. ოღონდ, ცხადია, არა ტელეფონის წიგნის... იცოდა, თუ რა ზიანი და სიკეთე მოსდევს წიგნის კითხვას. ლექსიც შეიძინა ამის შესახებ. ამ ლექსის თანახმად, მთელი მისი ცხოვრება თითქოს ნაგვიანვე იყო რომანტიზმი.

ერთთავად პატარა ბიჭობას მისტიკროდა:

“რომ დაებერდები,  
მე მინდა ვიყო პატარა ბიჭი,  
რომელიც უსმენს  
ნავარების ზუზუმს და ვიბით კომპასს  
დაათარეს ანდა  
ფანჯიან ლურისმწებს”.

მაინც ვერ მოესწრო დაბერებას. თუმცა, სათქმელი მაინც არ ჩაუტანია “შავი მიწის სქოლიოზი”.

პოეტის ცხოვრებით იცოვლება პოეტის და ინტელიგენციის არადა, მ. ზოსიმენკის არ იყოს, “Жизнь... устроена проще, обидней и не для интеллигентов”.

“ანელა არის ცხოვრება,  
შენ კი უნდა ბოლომდე  
მიავანი სულა,  
სანამ უცებ გაქრები  
ისე როგორც ენის ქვეშ  
ქრება ვალიდოლი...”

პოეზია, მეჩინი მასაც ემოციად ესახებოდა, ოღონდ სიმშვიდისას გასაყენებულ ემოციად. ამიტომაც არ ყოფილა შიშველი-გადარეული ემოციების მონაპოეტი.

ემოციის შეზღუდვა, ანდა უკეთ ემოციის დასაზღურა - აი, რა არის იოლი! და ეს დასაზღურა, ემოციის დასაზღურა მის სიკვდილსაც მოასწავებს, ემოციის სიკვდილს; პოეტის პრაქსისი, ეტყობა, მართლაცადა, ემოციების წყვეტა კი არა, ემოციების წყვეტლობაა, იმ დროს, როდესაც, ემოცია, თავისი ბუნებით არადისკრეტულია.

ემოციათა ამგვარი დისკრეტულობა მისი ლექსების გრაფიკაშიც იქნება თავს.

ასეა, პოეზიაში ყველა გზა მაინც ემოციების სიკვდილისკენ მიდის; და ეს სიკვდილი მისი ახალი სიცოცხლის, ნამდვილი სიცოცხლის, არტისტული სიცოცხლის დასაწყისი.

ემოციათა დასაზღურა, ანუ სიკვდილი, მის რეფლექტირებასაც მოასწავებს. ემოციის რეფლექტირებაა მისი უნიკალობის, ინდივიდუალურობის ერთადერთი საშუალება.

ამგვარი რეფლექსიიდან მომდინარეობდა გვიგამეტქორისეული პოეტური

ხატების კონკრეტაცა, მათი ვიზუალური სახერხება. ეს იყო ემოციების ობიექტური კორელატის ძიების გამომანგვლი პროცესიც, ძიება და პოება საგანთა, სიტუაციათა როგორც მოვლენათა ფაქტისა, კერძო ემოციის ფორმულადად რომ გვეცხადებინა.

სიტყვა-ობიექტი - გვიგამეტქორის სახელიდაი ქაჯც ეს იყო!

იგი ფორმის პოეტი იყო. ლექსი, მისთვისაც ბეჭეტი ინყებოდა, ანუ როგორც ო. მანდელშტამი იტყოდა - “Звучащим слепком формы”. თუქცა, ეს ხმა სულაც არ ყოფილა არც რომიანი და არც საეჭოდ მინაზებულ.

ის არ იყო მგალობელი ბუღბული, არც მკვირცხლი მერცხალი და გაზაზღუსეის მახარობელი; არც ტროლოა იყო, ქალაქისთვის განთიადის მათუწყებელი ტროლოა...

ბელურა იყო  
“შე ვარ ბეჭეტი - ქალაქის ჩიტი”  
- ასე წარმოგვივცინა თავისი ორნიოთი ოლოგური ავტობიორტრეტი.

მართლაც, ქალაქის პოეტი იყო, ხან მიზუბული, ხან მიოვიფევი რომ ცხოვრობდა.

ცხოვრობდა დაბლა, ძალიან დაბლა, ხეებზე დაბლა, სახლებზე დაბლა, მოწილოდ გააქმლის ფეხებს ხედავდა... და უკვებ, აღმოჩნდებოდა, ძალიან მაღლა, სახლებზე მაღლა, ხეებზე მაღლა, იქ, სადაც მაღლა, ღრუბლებზე ზევით.

ასე, ზოგჯერ აიჭებოდა ზევით, სანამ გული არ გაუსკდებოდა და გაყინული, თავისი ქალაქის ქვაფენილს არ დასაკვებოდა.

მისი ყველა ლექსი საოცრად ავტობიორტრეტილია:

“გდავარე მოკრძალებული  
დედობით და თვეობით,  
როგორც დილით კარბიან  
ფეხას ხოლმე მარქმეც,  
და ეს უფუდავება  
ჩემთვის მემკვიდრეობით  
უნდა იყოს, ტყუპათა,  
შენგან ნაანდერგეთა...”

როგორი მოზინდნა ეს მემკვიდრეობითი უოლაჟობა!

იგი დიალოგური პოეტი იყო, დიალოგური ინტობირების ოსტატია. და ამ დიალოგურობასაც საგანთა პოეტურად ზუსტია და აღექვებური აღწერით, ემოციათა საგანობრივი კონცენტრაციით, ემოციურადებული პოეტური მიმქისისთ აღწევდა.

და მაინც, ამგვარი დიალოგურობის მიუხედავად, მის ლექსებში მარტობის აღიჭტრაციებად ივითებინა. მისი სინტაქსი სადაა, გამჭვირვალე.

ოსივ ბროდსკი წერდა, რომ გამოთქმა “პოეტის სიკვდილი” თითქოსდა, უფრო კონკრეტულად უდერს, ვიდრე “პოეტის სიცოცხლე”. შესაძლოა, იმის გამო, რომ სიტყვები - “სიცოცხლე” და “პოეტი” თავიანთი პოზიტორი განსაზღვრელობით, პრაქტიკულად სინონიმურნი არიან. იმ დროს, როდესაც, სიტყვა “სიკვდილიც” კი, თითქოს ისევე განუსაზღვრელია, როგორც საკუთრივ ლექსი, რომლის უმთავრესი ნიშანიც - უკანასკნელია. სტრიქონია.

წარამოებთ მუდამ ბოლოსკენ მისინარავეს; ეს ფინალი ანიჭებს ფორმას და უარყოფს აღდგომას. უკანასკნელ სტრიქონს კი, აღარაფერი მოჰყვება გარდა ელიტრატორული კრიტიკისა.

ასე რომ, ვკითხულობთ რა პოეტს, მისი ან მისი ლექსების სიკვდილის თანამონაწილნიც ვხედავთ.

გვიგამეტქორის ლექსების ხელახალი წაკითხვისას, ამიერიდან ორგზის ვიწებოთ პოეტის სიკვდილის თანაზიარნი.

მისი ტიპის პოეტებზე იტყვიან, “კულტურული პოეტი” იყო...

და მაინც, ცივილიზაციის პოეტად უფრო ჩაივლებდა იგი.

თუ მაინცდამაინც, კულტურა - ცივილიზაციის ოპოზიციას არ გამოვდევნებთ, გვიგამეტქორის პოეტურ დისკურსში ავირბაშული (დამათანებულური) კულტურის ინტონაცია უფრო უდრდა.

ამ ინტონაციამ ხომ არ მიიყვანა იგი სოლომონის ბიბლიურ სიბრძნეზე (“და რომ ფუჭია ყოველფე, მიხედი, სოლომონი...”)?!

და მაინც, მის ლექსებში არა იმდენად ბიბლიური, რამდენადაც ბიბლიოთეკური სურნელი იგრანობოდა.

წიგნის კაცი იყო. მამამისივით, თა-



ამასთან, ლექსის საჭადრაკო პარტიასა-  
ნი გათამაშება იცოდა. ეს იყო პატრიო-  
ნი, მხატვრული ნირობიდან გადაუწყ-  
ველი თამაში, წესებით თამაში...

აღბათ, ისე არადფერი ახდენს პოე-  
ტის სისუსტის დრომსტარების, რო-  
ნავილ კონცენტრირი ლექსი. აძიულო  
სიველი სტრუქტორი, უნისონში ავლერდეს,  
თანაც კომიკური ეფექტის გარეშე და  
ამასთან, "უცხო" ექოს უსიბოვნო განც-  
დაც არ დაბრუნებს - მართლაც ძენ-  
ლია, ძალიან ძველი!

გივი გვეტევილი ამას ახერხებდაც-  
სწორედაც ახერხებდა...

დახვეწილი, ოღონდ - არა დაგარ-  
ცნილი ტექნიკა ჰქონდა, სადაღაც - კო-  
ლაური ტექნიკაც; მის სტრიქონებში  
სუნთქვა იგრძნობოდა, ხანდახან გრიპო-  
თა და იანერით განვალბებული პოეტის  
სუნთქვაც...

ამგვარი სუნთქვა და პოეტური არ-  
ტიკულაცია რომ არა, მისი ლექსები,  
აღბათ იმ, გივი გვეტევილისეული ინტო-  
ნაციურ ნწყობასაც გამოთხოვებოდნენ  
და ხელი გვეტევილის ნორმატიულია-  
და შევარჩობოდა.

ერთი სიტყვა მეტყუარება მის პოე-  
ტურ ტექსტებში - "ფარფაცა!"  
ლექსში - "ლექსი დაიეთ გურამში-  
ვილზე", ამ თავისებურ მეტაფორებში  
"ფარფაცა" - "თრთოლვა" უსწრებს (ი,  
როგორი შემაძლია ეს სიტყვა ერთმა  
"ლიტერატორულმა კრიტიკოსმა"?).

"ლექსი ჩვენი ართილავა არის  
და ფარფაცა... ჩვენი ის გვეგერე  
წუთისოფლის ასარკლავა  
და ექ უნდა აირეკლოს.  
სიტყვა უნდა კაკალავით  
გამოვარდეს, გასკვდეს წერგო,  
რა ვქნათ, სიკვდილს ჩვენ გზა მხოლოდ  
ასე უნდა ჩაუყურეთო!...

ისევ სიკვდილის დისკურსი, ისევ  
თანატოლოგიური (და თანატოლოგიუ-  
ლი) ფიგურა!

მის პოეტურ ტექსტებში დროის  
მხატვრულად ზუსტი შეგრძნებაც გვიბო-  
ლვდა. ასე შემოქმედებოდა მისი "ლექ-  
სების დროით", საღამოს ცნობისთვის ან-  
და ათისთვის მსუბუქი მწიგნობი მოცარ-  
ტის, ამ დროს ამრიალდობდა მუხლ-  
თან ცხვირსახოვი ბატისტის...  
ისე იმორჩილება სასტყვას, რო-  
გორც შამენი, ანდა ტომის ბელადი, და  
მერიონის ამგვანებდა.

თავად კი, ისევ მორცხვად იდგა,  
მოკრძალებული, დელიტო და თვეო-  
ბით; და მისცე, ბრიალებდა, ტანჯვასა  
და ღიმილის უღირსი და ღირსი, ისე  
შეუმწიკველი, "როგორც ბოძებ ნათურა  
ანთიფული დღისით".

ნათურა დღისით - ესეც მისი ექ-  
სისტენციური ავტოპორტრეტი იყო!

მისი ლექსებიდან დაიწინებთ შე-  
მოგვეტვირის ლირიული გმირი, რომე-  
ლიც კანტის ფილოსოფიით გატაცების  
მოუხდებდა, "საგანს თავისთავად" კი არ  
ებლბობაძენდა, არამედ კანფეტს ("კობის  
კისერს") წუნწინს ანდა შტარაფის მისე-  
ბეჭე ვალს უსმენს... ის აქვდა, შესწ-  
ნაშე ზის, მორიდებული, როგორც იგი-  
რულად, შარვლის მუხლისთავებზე და-  
დებული ნაკერიო...

მისი არა ერთი ლექსი სადაგი, მო-  
სანყენი დღეების გალექილი ქრინიკაა,  
ხანდახან - კაბინეტში ნებერვა დადა-  
ნოლოდ ბულდოგთან აუფიციენიდან  
დალორუნებულ კაცის გულსხეხანაა.  
მშობლად კვირა დღეს შეუძლია პოეტს  
მოინწყოს ზეიმი, თანაც, როგორ - "შეო-  
ლოდ თვლით ვადევნო ბაღში აფუსფუ-  
სებული ქიანველის პეტრტს". ესეც -  
"წიგნის მისი" ოცნებაა!

მის ყოველდღიურობის თითქოსდა  
ჩვეული და მინც უჩვეული რიტმების  
დატყრა ხელწინებოდა. შეველო, ნაც-  
ნობი (და მინც, უცნობი) ნივთებით  
განწყობილი ნატურმოპრტივი, ანდა ინ-  
სტრუქციებით გაწევი ლექსი, შერე უ-  
შეწინვლად პერსონაჟი შემოვიდეს და  
ასე გაეთქვებინა ლექსში დღისის ათი სა-  
ათი:

"ოთახში დადის და ლაპარაკობს,  
მერე იმისი ხელი ჩაადანს  
დასწავა და ასასხა ფინჯანში ჩაის  
და სანამ ფინჯანს ლოკში..."

ყველაფერი - პოეტურად არსებითი,  
სწორედ ამ შუალედში, მოქმედების ამ  
ცენტრში ("და სანამ ფინჯანს ლოკში  
გაიტანს") ხდება; ეს იყო საკუთრივ  
ლირული ხდომილება, მრავალგზის  
განმეორებული განივით მოვლენილი  
ხდომილება!

და ამ დროს, თავად, თითქოსდა,  
ლექსს კი არ წერდა, კოვხს დაუმარტვ  
ჩაიში ურევდა და დაფანტული დაწყუ-  
რებად ფინჯანს...

მისი დეტქვის კეილიშობილი და-  
ფანტულობა მომსყიდველიც იყო.

სალექსო დრო-სივრცეში, თანდათ-  
ნობით შეძლოა იცოდა. კონცერტის  
წინ, ორკესტრანტიბი რომ აწყობენ ინს-  
ტრუმენტებს, თითქოს ის აწყობდა  
სტრიქონებს, ლექსის ორკესტრისასაც  
ჩვენივ თანდასწრებით სინჯავდა, ამონ-  
მებდა... თითქოსდა დაუღაგებელი რიო-  
ტიმბერ ნელ-ნელა ექვეოდნენ მკითხველის  
ყურისამენას; ყურისამენასაც და, რაც  
ასევე არსებითია - თვალსაც აწყვედენ  
ამ, ერთგვარ ვიზუალურ პოეზიას; არა-  
თავისმთაველი სალექსო საზომოც  
იმპრონიზებას ინვედენენ პოეტური "სა-  
უზნისი" თუ "საზმრის" ადეტებში.

გივი გვეტევირის პოეზია გრძნობა-  
თა აღზრდის სკოლაც იყო. აქაც, ინტე-  
ლიგენტურად უღალავა, და მინც, მომ-  
ხიბლავი ტაქტი გამოარჩევდა, ერთბა-  
რად დისკურსშიც კი... რიდით უწოდდა,  
ექტერა, თუ ჩანთა როგორ ტლბადა ქა-  
ლიმეილის თქმის, სურდა, მორცხვად  
დაიწინებებინა, თუ კრემისფერი მარლის  
კაბის სამკუთხებში ორი ბორცვი ხეო-  
ბას როგორ ავიწროებს... აღზრდილი  
გრძნობებით შეველო, დედაკაცის მოწი-  
ლი და გავსებული თქმები წიერის ხე-  
ლისგულზე გადაფენილ ძვირვას კრე-  
დეშინთან "გაერთობს". ლექსის ტექსტუ-  
რასაც ასე გრძნობდა!

ასეთი ლექსი ჰქონდა გივი გვეტე-  
ვირის - "გარდაცვლილთან შეგობილია  
ილირზე", სადაც "ყოველდღიურობის  
ლორღზე" წინამდგომ, თავის "Alter  
ეგო"-ს ასე მიმართავს:

"წაბრობიკდი და შენ მიქელ-  
გაბრიელმა ვითხრა: შენო..."  
ეს იყო სიკვდილი შემატყვივის  
რეტეტტიკა ანდა, სიკვდილის თეატრში  
გათამაშებული დილის წარმოდგენა.  
ერთი დიდი ფილოსოფიისის პერიფ-  
რაზიით, ლექსის თხზვა, აღბათ მასაც  
სიკვდილით ვარჯიზად ესხმებოდა, თუნ-  
დაც - ალტერნატიულ არსებობად; სი-  
კვდილისაგან გაქცეულ კი არა, ამ სიკვ-  
დილის ცოცხალ ცხოვრებად.

ექვთია, სიკვდილი მისთვისაც მოე-  
ლენა იყო, უცხო, თუნდაც ესთეტიკური  
მოვლენა, გამუდმებით რომ უთვალავა-  
ლებოდა...

ხშირად ავადმყოფობდა... ამ, ქრო-  
ნიკული ავადმყოფობის მიტარება "აფ-  
ტორის" სიკვდილისკენ მიდრეკილი ავ-  
ადმყოფობის ისტორიაც იყო, რომლის  
ავტობიოგრაფიულტექნიკაც პოეტის არაერთი  
ტექსტი გამოვლენდა.

და მინც, ამგვარი "ავადმყოფობით"  
ფაქტობრივად, არ კვებებინა. ეს უფრო  
ყბადღებულ "ავტორის სიკვდილია",  
თუგინდ იმგვარი ინტროსპექტიკა, კაცხა-  
ნდეს თვალმებზე დროულად აფერებულ  
ხელსაგულზედაც რომ ესტება.

ჩვენი "ავტორი" ამიტომ ხომ არ ჩა-  
ითვლება წერის ატანილი მოკვდავად?  
მხოლოდ ამგვარი წერისას თუ შე-  
იძლება შევიდობიანი სიკვდილი.

მასაც ემზობდა სიკვდილის; ემზო-  
და, რადგან უყვარდა; და უყვარდა,  
რადგან ემზობდა.

იგი პოეტურად ეღობდა სიკვდი-  
ლის დისკურსს; და მისი წინასწარი  
რემეზიტეტიკაც შეველო:

"გარკი ვაგლენ ქალბი.  
გაიტანენ ვეკავლებს.  
კარებს მის სასახლე  
სამეურ დაეკახება.  
ბურუსიდან ბურუსში  
ისიც უნდა წაივდეს,  
ხსოვანს უნდა შეიბრანს  
გაცრეცილი ნახევრად".


თავადაც, ასე, ნახევარგაცრეცილი  
იმეჯით შემოზნა სსოვნას.

"ნუ ეცვიო-მეთვი, განსვენებულს:  
იძინე შევიდაც" - ასეთი იყო მისი პო-  
ეტური ანდერძი.

პატივი მივგავითა, შეუფსურლოთ.  
"შვინი მისი სქოლიოში" ნულა ჩა-  
ვატანი ამ დარდს...



# მოსუცი მზიური და უცნაური



“მე ღირსეულად დავემკვიდრე სამ დიად დროზე და იმედი მაქვს ნიადაგის, ჩემი კანონი რომ დაგაფუძნე”.

- მე მომხმართათ? - მეუბნება შავგვრემანი ქალი ავტობუსში.

- არა, ისე, ჩემთვის ვლაპარაკობ, - ვუპასუხებ და “თელასის” წინ გაჩერებაზე ჩამოვდევარ. ფხტი მივეყვები წერეთლის პროსპექტს. უკანასკნელად ერთი თვის წინ სწორედ აქ გნახე, მშვიდი, აუღელვებელი და უცნაური. მე შენს ლექტებზე ესაუბრობდი, შენ მისმენდი და ილი-მებოდი, მერე მითხარი, ჩრდილში დგომა მირჩევიაო.

მიეცევი პროსპექტს. გაზაფხულის გრილი ნიავი უბერავს. მახსენდება, ასეთი ნიავი ქარის ბავშობაა, ასეთი ნიავი უყვარს თუთას, თუთას, რომელიც, აგერ უკვე, ორი კვირაა გამოქვლელებისათვის უზილავი გახდა, მაგრამ მისი ჩრდილი ისევ იქ დგას. მე შევდივარ ხის ჩრდილში და ჩემთვის ვიმეორებ “მეც, აი ასე ჩავერები - უგემურად და უღიმიად...” პანთონის გავცედი და მტკვრისკენ ჩაუხვითე. იქ დიდუბის ქუჩაზე პატარა ბიბლიოთეკაა. ასაკოვანი ბიბლიოთეკარი ქალი გოგონას ესაუბრება. გოგონა ნიგნის გასაღებად იხრება და “კრემისდერი მარლის კაბის სამკუსთხედში ორი ბორცვი ხეობას უფრო ავიწროებს”.

- რა გნებავთ ახალგაზრდა, - მეუბნებტ ბიბლიოთეკარი.

- მე, ქალბატონო, გივი გეგეტქორის ნიგნი მინდა.

- შელო, აბა იმ ყუთში ნახე, თუ გვაქვს.

- ვიცო, აუცილებლად გეჩვენებო... აი, ვიპოვე! სანდომიანი ქალბატონი ნიშნის ინერს და თაროზე ნიგნის პოულობს. მერე ყვიდან საადრიცხო ფურცელს იღებს და გაკვირებული მეუბნება:

- თქვენ პირველი ხართ, ეს ნიგნი ჯერ გადაშლილიც არაა.

- ქალბატონო, გივი გეგეტქორი ორი კვირის წინ გარდაიცვალა.

- რას ამბობთ?!

გვრწნობ, რომ შენი სახელი და გვარი ბევრს არაფერს ეუბნება. ნიგნს ხელში ვიღებ და მივიდვარ. “აქ არის შენი სულის სხეული, შორსაა შენი სხეულის სული”.

სახლში თითქმის შენი ყველა ნიგნი მაქვს “შზიანი დღე”, “ახალი აზრავი”, “ჩემი დღესასწაულები”, “ჩიტების გამოვიცხიება”, “მეორე მდინარე”, “შახაური”, “ასკილის ფურცლები”, “შუქი ფერმიხიდი თიფლის”... მათი უზრავ-ვესობა გამოქვლელობა “საქართველოს” წინ ვიყიდე 30 თეთრად, მაგრამ მე სწორად ეს ნიგნი მინდოდა, 1983 წელს გამოქვლები “ლექსები და პოემები”, თემურაზ ნიკოაშვილის წინასიტყვაობით. პირველი, 10 წლის წინ, ამ ნიგნით გაგაცანი. მაშინ 16 წლის ბიჭი სოხუმიდან ჩამოვედი და დედაქალაქში ჩემი ლექსები ჩამოვიტანე. შე-

რალთა ვაშლის თაგმჯდომარემ ლექსების ნაუკითხავად შემპეო და მირჩია წერის გაგრძელება - დღეს, ავსაზეთში, ამ ძირძველ ქართულ კუთხეში, განსაკუთრებით მისწვნილოვანი ფუნქცია აკისრიაო მწერალს - მითხრეს და “შემაგულანეს”, თუმცა დღემდე არ მემჩის ამ სიტყვების მნიშვნელობა. შენ კი ლექსები წაიკითხე და მშვიდად მითხარი, რომ ასე წერა არ შეიძლება. ძალიან მეყინა. პირველივე ნიგნის მალაზიაში შენი ნიგნი ვიყიდე (აი ვე, ცისფერი ყვითი) და სიმწრით თავიდან ბოლომდე გადავიკითხე... სიყვარული მოგვიანებით მოვიდა. როდის? არ მახსოვს. ალბათ მაშინ, როცა დღესაც შენი სინტაქსითა და ლექსიკით დავინფე წერა. მერე იყო ფრანგული პოეზია: პერსი და აპოლინერი, ვალერი და რებო, მერე ომი და ისევ თბილისი.

ვზივარ და უკვე მესამე დღეა, საათობო ვკითხულობ შენი “სულის სხეულს”. შიგადაშიგ ვდგები და ღია დანჯრიდან ვიხედები. ქალაქი უჩვეულოდ მყუდრო, უშფოთველი და მოსვენებული ჩანს. ასკილის ბუჩქთან ვხედავ ბელურებს. “როგორც ქალაქის ბელურა მიყვარს, ისე არ მიყვარს არც ერთი ჩიტა”. ვაგრძელებ კითხვას და ვერც ესვდები, როგორ ლამდება. “თუ ღამის მერე დღე გათენდება, ღამე არასდროს არ არის ღამე”, “უყურებთ შიგარეს, ლინდაბაზე ფეხშიშველი რომ მიტანტალებს”, ვარსკვლავებს. “მე ვარ მოკვდავი და ვარსკვლავს ხელი არ მიგირავდება ჩემს ნუთილამდის, შენი სინათლე სახილველია, მე კი ნუთილად მაქვს უზილავი”, “გვერდითი თიხა-ში” გავივივარ და დედაჩემს ვუწუხებ: “ცხოვრება მაშინ იქნება შეუძლებელი”: “როცა გვერდით აღარ გვეყოლება კაცი, ვის სათაზე დავიყვებო წინ წასულ თუ ჩამორჩენილ საათს”. გვრწნობ ვერ გამიყო. ვიხდი, ვწვიბი და ვიძინებ. მესიზმრება: “თეთრი ხეებიც, თეთრი ღრუბლებიც და ბელურებიც და ვარდისფერი კაბის ბურუსიც, პატარა მხრებზე დაყრილი თმებიც...” “და სულ პატარა სასაფლაო ალვების მიღმა...”

ვიღვიძებ ადრე, ძალიან ადრე, თვალებს ვახელ და დედნას ვვიკორბ მწუნე, რომელიც ყავი “ისე შუშმწინევილი, როგორც ბომბე ნათარ ანთვანელი დღისით...”. თვალებს გტუჭავ: “რომ დაებერდები, მე მინდა ვიყო პატარა ბიჭი, რომელიც უსმენს ნიარის რუხუნებს და ჯი-ბით კომპას დაითრებს ანდა ვანჯიას ლურწანებს”; მაგრამ სიხერემდე ჯერ შორსაა. დღეს მე, ზვიადი, შოთა და ბესო ვიკრიბებით. სოლოლაკში ერთ-ერთ “ზაბეგალოვკა-ში” ჩავდივართ და არავს და ლუგს ვსვამთ. ესაუბრობთ ლიტერატურაზე და ვლოცავთ მეგობრებს, რომელთა უმრავლესობასაც ალბათ ვერასოდეს გავიცნობთ. შენი ნიგ-ნიც თან გვაქვს. შოთა და ზვიადი ტკბოლად იგონებენ შენთან შეხვედრის მოკლე ეპიზოდებს. შოთა სინანულს გამოთქვამს, რომ კარგად ეაცნობა ვერ მოასწრა. ზვიადი აუღელვებელი ყვება, ერთხელ, გულწასული, შენს მკვლავებში როგორ ვსვამ. ბესო ამბობს - ეგეთი “დას-ტკინი” კაცი XX საუკუნეში ქართველებს თითხე ჩამო-სათვლილი გვეყავდაო.

სხვისის სადღვერძელობა ვსვამთ. მე ხელსახოც ფურ-ცელზე ნიოელი მღვინი ვერ “მოსუცი მშვიდი და უც-ნაური” ვინც ჩრდილში იდგა და ვინც იდგა სინათლის წრეში”.

შოთა ითაშვილი

# ხმაგი მაჯისა და საშოს არაეზუი

*“სწორი შემოქმედებითი აქტი ვიკვლივის  
ასუფრებებს არასწორ ცხვრებისეულ აქტებს”.*  
უხნოზი თანაჰმდროჰჷ აჰტორი

*“არ შეიძლება არასწორი ეუწოდით იმ  
ცხვრებისეულ აქტს, რომელიც იწვევს სწორ  
შემოქმედებით აქტებს”.*

იჲიჲა უხნოზი თანაჰმდროჰჷ აჰტორი

ზნელა. კარგად შემთვრალი შინ გბრუნდები. წვიმს. ქალაქლები სადარბაზოებსა და ავტომოსაცდლებს აფარებენ თავს. ვცდილობ თითოეული მათგანის სახე დავიმახსოვრო. ისინი არ გვიწიბენ. მათი თვალები ჩრდილში ვერ ხედავენ. ისინი “შზინი დღის” ადამიანები არიან. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონიათ. “შე ვარ ნათელი და ჩემს მზერაში მოქცეულია მთელი სამყარო”. მივივიარ. დღეს უკვე მეორეჯერ ჩავუარე დიდუბის პანთიონს. მსურს შევიდე, მაგრამ არის კი საჭირო? “შე ვარ უკუდავი”, და მე ვივარძენი სიკვდილის შიშის უსაფუძვლობა და უაზრობა”. ეკლესიის ეზო ცარიელია. არც მათხოვრები ჩანან და არც ყვავილით მოვაჭრენი. ახლადმფეთხილი ჭადრებით უცტრად ზღვის სურნელს ვგრძნობ. თვალებს ვხუჭავ და სასიამოვნო შეგრძნებას მინდობილი მივაბიჯებ. გავდივარ მტკვართან. “აქ ყველა ქუჩა მტკვართან მთავრდება”. “შენ თავიდანვე გზურდა მდინარის. ქვეყნად გაქრება მხოლოდ მეორე მდინარე - შმაგი და უჩინარი”. არ მსურს დავიჯერო მეორე მდინარის გაქრობა, მაგრამ ასე უნდა მომხდარიყო. პაპარა, უხილავი მდინარე გაქრა, მარადისობის ზღვას შეუერთდა.

ზღვას ერთვის პატარა მდინარე და იქვე შეიფეხის სახლია, და იქვე ზღვას ერთვის მდინარე პატარა მდინარე...

სალამოს ბრუნდება მეთვეზე, აქედან შორსაა რკინიგზა, წიხნები, ქალაქი, საცკლები კიდაა მესერზე და ცისფერ მესერთან იზრდება ყვითელი ბალახი...

და იქვე ზღვას ერთვის პატარა, ძალიან პატარა მდინარე...

ნაპითან ქვიშა მზურავალე და კენჭებს ისვრიან მეთვეზის ბოლები. დამდება... დარაბებს ხურავენ... თენდება... დარაბებს ალებენ...

და იქვე ზღვას ერთვის პატარა, ძალიან პატარა მდინარე...

ხანდახან იცვლება ამინდი, ამინდი მეთვეზის ფეხშივე ცოლია, იმტრეკვა წითელი კრამიტი, ფარფატებს დაღლილი თოლია...

და ასე, ზღვას ერთვის მდინარე, პატარა მდინარე...




ღრა, პეკლებისსაჭერი ვით სიტყვებისსაჭერი ეგ ყური კი არა, ზეგვივით მგორავით და ზრდავი მუცელი მინდა შემომიშვირო, რადგან მხოლოდ ასე თუ შევძლებ საიდუმლოს გამხელას. ის ჩვენი ექვსი თვის ბავშვი, ორჯერ რომ გოგონად მესიზმრა და ახლა მინდ რომ გიზოს, შეამავლად მჭირდება. მოგადებ პირს ჭიჭუხე და იქიდან კუბუტბუტებ ყველაფერს. და მერე ის შენი სხეულის ნაწილებსა და ნაწილაკებს მოუყვება განავონს. სულ პირველად საშო შეიტყობს ამ ამბავს

და შეკრთება. ბუშტივით გაბერილი შენი საშო, სუნთქვა-სუნთქვით რომა ნავსები ჩემი გამჭვირვალე გოგონათი. მერე კი წყვილი თირკმელიც მოისმენს, წყვილი ფილტვიც, დუფინი ნეკიც... ცლფა გულიც, საშოზე მეტად რომ მაღრთობოს, თუმცა ვიც, ისიც გაუძლებს... ყველაფერი გაუძლებს, რადგან ჩემი მოკუნტული გოგოს მონაკოლმა არ შეიძლება რაიმეს ავნოს. ამიტომაცაა, მას რომ ვანდობ სიტყვებს, რომელთა წარმოთქმის ვნება ისე უთავბოლად იზრდება ჩემში, ვიცი, დღეს თუ ხვალ მაინც შეუძლებელი გახდება მისი ჩაეუწყება და მიფუწყება...

გულისჯიბეში ფოტო მიდევს ფერადი: მარცხენა ხელი სახესთან მიუჭანია ახალგაზრდა გოგონას, მაჯაზე დახვეულ სისხლიან ბინტს კბილებით ქაჩავს და ილიმება თვალებით, პირის კუთხითა და მთელი სახის კანით. სისხლიანი ბინტის ოდნავ ზემოთ ნიითელი შრამი მოჩანს - სწორედ ის შრამი, თითქმის დაუფერებელს რომ ხდის ამ ისტორიას.

ჩემო პატარა, დედაშენის სისხლი გარტყია ახლა გარს და ვერაფრით აღიქვამ მას უცხო სისხლად. ძნელი იქნება ამიტომ შენთვის იმის გაგება, თუ რად ეყინებათ ადამიანებს საკუთარი სისხლი, როცა სხვისას ხედავენ. ხოლო თუ საკუთარს მოჭრეს თვალი, იმღრევიან სულმთლად, კარგად ვერ გონებას და უკვე აღარავის ძალუძს იმის წარმოადგენა, საითკენ შეიძლება ნაცურდეს მათი ქმედებების ჯანლი...

ჩემო მეტისმეტად პატარა, სამოივე თვე



ში შემოსვალ შენ იმ სამ-  
 ყაროში, სადაც დაიწყო  
 ეს ამბავი და აღარ  
 სრულდება. შემოსვალ და მე-  
 რე უნდა გავიდეს 17 წელიწადი,  
 იმ გოგონას კბილა რომ  
 გახდ, ფოტოსურათზე რომაა  
 აღბეჭდილი. და გადამწყე-  
 ტია ეს მომენტი, რადგან მხო-  
 ლოდ მაშინ გადასცდება ის  
 ჩემს ახლანდელ ასაკს და რო-  
 გორც მე ვფიქრობ, ბოლოს  
 და ბოლოს მოჭკვიანდება და  
 შეწყვეტს თავისი მავის გაუ-  
 თავებელ სერვას.

\* \* \*

...ფორების დასაქრვლად ჰქონდა  
 ნაყიდი სამართებული და არა ფეხ-  
 ბის გასაპარსად. - სახლში წადიო, -  
 ცოტა არ იყოს უკუხედა მომხმარა  
 და მეც წავიდე, ის კი იმავე საღამოს  
 შეუდგა ვენების წავლებას. თავდა-  
 პირველად ძალიან მსუბუქად გაუსვა  
 "თილტვის" პირი ცისფრად დაძარღ-  
 ვულ თხელ კანს. არ ყვირვლვარ იქ,  
 მაგრამ როგორც გულისჯივბიში ასე  
 არასაძიოდ ჩაბაღლიო ფოტოსურ-  
 რათი შემძლია დავიხარო, ისევე ვხე-  
 დავ იმ პირველი გადასვლის კადრს.  
 და ხმავე კი ჩამქმის: "სსს... სსს...  
 სსს..." - თანდათან განთილდა კანი,  
 სამართებელმაც ხმა ოდნავ იცვალა და  
 "სსს... სსს... სსს..." - რომ გა-  
 ისმა, სისხლიც გაჰმარდა...

მწელია, იმ ადამიანს, რომელიც  
 ჯერაც არ დაბადებულა, რიგინადა  
 აუხსნა, თუ რა არის სიკვდილი. შენც  
 გაგაჭირდება ამიტომ, ჩემო ლაპლაპა  
 ოცდაექსკვირიანო მუცლის გოგონა,  
 ჩანავლმა სიკვდილის არსში. მაგრამ  
 მეც არავფრო, ან იქნებ უკეთესიც კი.  
 სიკვდილი, ვინ იტის, იქნებ სულაც  
 ფუჭი ადამიანური ტრავიზში რაკი  
 უცხო იქნება შენთვის, ძალაუფლებუ-  
 რად ოფელ სებაიარად შევეცდები მის  
 აღწერას და გეტყვი, რომ მისი დად-  
 გამიდან რამდენიმე დღის შემდეგ  
 ადამიანი იმაზე უზილაყო ხდება, ვიდრე  
 თუნდაც შენა ხარ ახლა. შეიძლე-  
 ბა გიძნებლება ამის წარმოდგენა,  
 მაგრამ მერმუნენ, ეს ასეა და დედა-  
 შენის მუცლის მოყვანილობა გარ-  
 დაცვლებულზე უფრო ხილულს  
 გხდის. ხატვა, ფოტოსურათებისა და  
 კინოფილმების გადაღება იმითომ მო-  
 გიწონეს ადამიანებმა, რომ ამ სახა-  
 რულ უზილაყოების შეგრძობლებიდან.  
 ფოტოზე გამოსახული გოგონაც იმათ  
 უფროც რიგს მიეკუთვნება, ადამიანთა  
 ამ სისუბტის წყალობით რომ ჭაბენ  
 პურს. ჰო, ის ფოტოკორესპონდენტი  
 და ჩემს მომავალ უზილაყოებასთან  
 დელიკონტორ ბაქერობაში საკმაო  
 წვლილი აქვს შეტანილი: ფოტოები  
 ქუჩაში, სახლში, სამსახურში, კაფეებ-  
 ში, ლეტების კითხვისას... აუცილებ-



ლად დაგათვლიერებინებ, პატარა,  
 როცა გაჩნდები. მანამდე კი მისინე  
 ყურადღებით: ისევე უნდა დაეპურუნ-  
 დე იმ საბედისწერო მავას, სამართე-  
 ბელსა და ხმას...

"სსს... სსს... სსს..." თანდათან  
 "შშშ... შშშ... შშშ..." გადავიდა.  
 სისხლდენამ იმატა. გოგონას გახსენ-  
 და, რომ გადაჭრილ ვენას სიკვდი-  
 ლის მოტანდა კი შეეძლო. მაგრამ ის  
 ჯერ მხოლოდ 17 წლის იყო და ოდ-  
 ნავდაც არ აინტერესებდა სიკვდილი.  
 უზრალად სურდა, კვლავაც დიდხანს  
 ესრიალა სამართებლის პირს მის მა-  
 ვაზე, კვლავაც დიდხანს ეგრძნო მი-  
 სი სიცივე და წამახულბა კანსა და  
 სისხლზე... და მან ჯიბრიანად გაი-  
 თქიქრა: "არ მოვცვებდი, მაგრამ ახლ  
 შეწყვეტ ვენების სერვას!" - გაიფიქ-  
 რა ძალიან ჯიბრიანად და მისივე  
 ირწმუნა, რომ ეს ასევე იქნებოდა.  
 "შშშ... შშშ... შშშ..." "შშშრ... შშშრ...  
 შშშრ..."

"შშშ..." თი შეიცვალა. შეამჩნიეს იგი  
 - ჭიაბიასავით ნითლად დანინკ-  
 ლული - რედაქციის თანამშრომლებ-  
 მა და უცვირეს ერთმანეთს: საავადმ-  
 ყოფოში! მას მტკიცედ ეჭირა მარ-  
 ჯვენაში სამართებელი და არავის  
 უთმობდა ცოცხალი თავით. საპროცე-  
 დუროში სისხლდენა გაუჭრეს და  
 მავა გადაუყვავს, მაგრამ სამართე-  
 ბლი მინც უფროთი წაგლეჯილა. ექვ-  
 აჯგუფებოდნენ, ემუდარებოდნენ, ემ-  
 უქებოდნენ... რომ აღარა და აღარ  
 მოეშენენ, - გამანებეთ თავი, თორემ  
 იქით დასვლივარ ყველასო! - უკივლა  
 ბოლოს პირგამებებულმა ირვლივე  
 მყოფთ. დაფრთხა რამოდენიმე წრე  
 გაიწვლიდა და დაუჭრა ისიც მშობრ-  
 სონალს და თავის თანამშრომლებს  
 ხელიდან. დაუჭერა, წავიდა და ისევე  
 მიჰყო ხელი ვენების ჯოჯგანას...

მე იგი ამ შემთხვევითად ორი  
 დღის შემდეგ ვახებ. სამსახურში ამო-  
 მიკითხა. ის სიფრიფანა და ხისტი  
 იარაღი ეკავა თავის ელასტიურ თი-  
 თქში და რიტმულად ამძრავებდა  
 მარცხენა მავის გასწვრივ. ჩემს გა-  
 დარეულ მზერას რომ შევეთხა, გა-  
 მიღიმა და მითხრა, არავფრო მომი-  
 ვაო. ღორს ვითომ იმ ძიძგილაობისა

და ვიყოშეგლებლის აღწერა,  
 რაც მაშინ ჩემსა და მას ზო-  
 რის მოხდა? ჩემო პანანინა,  
 მოკუნტული გოგონა, ღორს  
 ვითომ შენს ჯერვარ ჩამოუ-  
 ყალიბებულ ნერვებზე თამა-  
 ვი? და მერე კიდევ, რას  
 ვერჩი ამ ლამაზად დაღლილ  
 დედაშენს, შენგან რომ უნდა  
 შეიტყოს ეს ამბავი და ჯერ  
 სანაკოფე წყლები უნდა  
 აეშვდეს, მერე საშო შეუჭ-  
 რთეს და ბოლოს გულიც  
 ტკინოს?..

არავფროს. ვი რომ არავფროს, და  
 პირითი, ვეტრირი სისხლის ყველა,  
 გამოდენილი თუ გამოსადენი წვე-  
 თით. მაგრამ რა ვენა, თუკი ეს საი-  
 დეფული აღრავირთი ტუტვა ჩემში, მი-  
 ლენს ძვლებს და გარეთ იწვეს? რო-  
 გორც არ უნდა დავიციო ყურები, მა-  
 ინც განუწყვეტლოვ ჩამების მავაზე  
 გადასამული სამართებლის ხმები:  
 "ხხხ... ხხხ... ხხხ..." "ხხხ... ხხხ...  
 ხხხ... ხხხ...", "ჭხხ... ჭხხ... ჭხხ...", "ჭრრ...  
 ჭრრ... ჭრრ...", "შჭჭ... შჭჭ...  
 შჭჭ..." - ვერავინ წარმოიადგენს, რა  
 შეიძლება იყოს ეს! მაგრამ კმარა!  
 რაკი ვერ ვერადებ, ჯოხს, ეს ჩემი  
 მოუთავებელი ჯავრი უსწრავლად  
 მაინც ამოვიტყა!

ჩემო პატარა, მოკლე, დამარცხ-  
 დი იმ დღეს მასთან ბრძოლაში. ლო-  
 ნეგამარწურული და ალაჯულად მის  
 მიერ უნებლიეთ მსუბუქედ დასერი-  
 ლი სავარძელს დავეჭრეტე და აპარ-  
 პალეულო თვალბოთი მივეპყარი მყი-  
 ვანა ლაქებით აფეხებულ მის სხე-  
 ულსაშილად დაღლილი იყო ისიც,  
 მძიმედ სუნთქვდა და კიდევ უფრო  
 მავრად უჭრდა ხელს თავის სამარ-  
 თებელს, მაგრამ მაინც შესძლო, გა-  
 მიღილა კვლავაც და მითხრა: თუ გინ-  
 და ცოტა ხანს გაეჭრედ, გამოიკეთე  
 ყავო. ვუნებ წამოხტეს მამხვე. მერე  
 იჯდა და ის ჩემს მადგანსთან, ალის-  
 ფერი ხელით ყავას სვამდა, მეორეთი  
 კი მაგიდის უზადარზე სხვადსხვა  
 ფიგურებს უზაჭრდა თავისი განუ-  
 რული იარაღით. რაღაც მომენტში,  
 როცა ყავა დადგა და თმა გაისწრა-  
 რა, სისხლის ერთი წვეთი მის მავას  
 მოსწყდა და დევე სურნელიანი  
 სისხის ბლანტე აპკზე ვუყურებდი,  
 როგორ გაინთხა ნითლი ყავისფერ-  
 ვე და ამ უფრო შუქმა და მძიმე  
 ფერმა როგორ შეისვლია ყველაზე  
 ფორიაქა და წიკვინა ფერი... მან კი  
 გვლინ ვერც ვერადებო შეამჩნია,  
 კვლავაც მოკიდა ხელი ყავის ჭიქას,  
 პირთან მიიტანა და მორწუხა.

- რატომ აკეთებ ამას? - ვკითხე.  
 მხრები აიწერა ჯერ და მიხილდ  
 ამის მერე მიიხრხა:  
 - მშველს.



\* \* \*

ფერადი ფოტო, რომელიც ახლაც გულსაფრებში მიდევს და რომელიც უკვე აღდგინრე, ჩემო ცქნავა, სწორედ იმ დღეს გადავიღე. ნელ-ნელა რაღაცნაირად დაბრუნდები, რომ ეს მას შეგელოდ და რომ საჭირო იყო, ასე გაგრძელებულიყო. შესაძლოა, მისი კრიალა და გადანათებელი სახეც დამეჭმარა ამაში. იგი ხომ უნდა რამდენიმე წუთში ისეთივე გახდეს, როგორიც ყოველთვის იყო. მეტილიკინებოდა ჩვეულებრივ და თან "წერ... წერ... წერ..." - არხინდად ისეადა მავაზე სამართებელს. - მოდი, გადაგიღებ-მეთქი, - ვუთხარი მაშინ და შრამზე მიფეთითე - კარგო, - მოეწონა დედა, აპარატი დამეყნა, ამისხა, თითი სად უნდა დამეჭრა, ფანჯარასთან დადგა, ხელი პირთან მიიჭრას და ქართილბა რომ უკეთ გამოეჩინა, ბინტი კბილებით მოჭა: მეც ჩავაჩაკუნე და სწორედ ის ნაში დაკავთე ფოტოფორზე, ხშირ-ხშირად რომ დავყურებ ხოლმე მას შემდეგ. ოლინდ უკვე ფოტოქალაქად გედატინილს. დავყურებ და მხები ჩამესმის: "წაშა... წაშა... წაშა..." "წაჭა... წაჭა... წაჭა..." "ხრწა... ხრწა... ხრწა..."

არ ვიცი, მიზეზია ყველა მის ამ უნებურ საქციელს თუ ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმით, მაგრამ მე, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ვენების გადაჭრით ის არ მოკვდება, მაინც ვერაფრით ვეგუებთ ამ მუდმივად გადახსნილ მავას და უკვე დათავებული სამართებლის მოძრობას ფსევქრალსავებული ქართობის შიგნით. კი, კადეში ცხრიდვართ ხანდახან და ლუსს ვევათ, ამ ტელეფონზე ვლაპარაკობთ, ამ თეატრში მივდივართ, მაგრამ მისი ახირება არასოდეს მანებებს თავს, თითქოსდა, მეტი რომ არ შეიძლება ისეთ სუსტ თითებში ჩაბღეჭული ეს საბეჭთნიწერი ნივთი ყოველწამს მზადა შექონს იმ შესუხორცებად ადგილს, ერთხელ "კოდაზე" რომ გადავიტანე და მას შემდეგ უფრო მკვეთრად ჩემს ცნობიერებაში რომ აღიბეჭდა.

- როდემდე აპირებ? - მაინც ვეკითხები ზოგჯერ მჭრისხლად და იმდის ერთი ვითროციტიტი გულში.

- შენ რა გინდა, ან რად ნერვიულობ, - მუდამეპაბს ნერინარიდ მპასუხობს ის, - ხომ ხედავ, მშველის გირჩევნა, რომ ცუდად ვიყო?

მე აღარ ვიცი რა ვქვია და ვწომდები. ვწომდები და ვუსმენ სამართებლის ხრჭი-ალს მის ვენებზე.

რა იყო ის, რაც ჩვენს შორის მოხდა და ხდება?

ალბათ ძნელი იქნება, ეცხვი თვის მოკუნტული ქალთევა, შეთვის ამაში ვარკვევა ან შენ რას უნდა მიხედვ, როცა თვითონაც არ ვიცი, რას რა დავარკვა. ტრაფარეტული პასუხები: დალატი, ან სიყვარული, ან სიგიჟე, არ მაკმაყოფილებს და დარწმუნებული ვარ, პირველი შეცხუნება რომ გავუღოს, არც დედაშენს დააკმაყოფილებს. წარმოუდგენლად ლამაზად დედლილი ქალია დედაშენი, და იმიტომ, რომ შენამდეც უამრავი ურთულესი რამ უტარებია სხეულის სხვადასხვა ნაწილებითა და ნაწილაკებით. ამის გამო, მასაც რომ უტარებს ხელში სამართებელი და იმ ქალქის პაერზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ამაკმაკებულ სტრიქონებს კანრავს. მანამალბადა შაერი და ნაკანრებებს დანა სავუხობით დავროვილი ქუჭყი და შშამი ჟრნავს. ძნელია ამის დანახვა. ძნელია, იცე კანრო შაერი, მისი ქუჭყი და შშამი შენვე არ გესმებოდეს თავზე, მაგრამ ის მაინც რაკეთებს ამას. ისევე შეუწყვტელიც, როგორც ფოტოზე გამოსახული გოგონა ისე-რავს მავას. და წარმოგიდგენია, ჩემო პატარა, რა მზხდება, როცა დედაშენს მოუხსრობ მთელს ჩემს ისტორიას? კიდევ უფრო პასერი გახდება მისი სამართებელი, კიდევ უფრო წყუხოვრად გადაუსხნის პირველად წყელულებს იმ სიფრცხვას, რომლებამდეც ხელი მიუწვდება და წამოვა წურწურით მთელი ის სიბინძურე, რომ ვერაფრით მოგვიტყობენია, რადგან იმაზე უზილავი ვაკონია, ვიდრე ის მიტვალელები, თვეონიი სხეულების ანაბეჭდები რომ დატოვეს სხვადასხვა ხარისხისა და ზომის უამრავ ფოტოქალაქადზე.

და ფოტოგრაფ გოგონაზე ძრწოლისმოგერელიც კია დედაშენი, ჩემო მესაბღეშე ქალბატონო, რადგან ფართოა ცაკილებით მისი სამართების ხრჭილბა და იამაზონი. თუმცა ფოტოგრაფი გოგონაც მონდომებულია და ნიჭიერია უსაშველოდ და ამიდრდებს დიდან დიდმდე თვისი დათავებული სამართებლის ხნათა ტონალიობებს. და როდესაც შენ მისხელა გახვდები, ის კი უფრო დიდი იქნება,

ვიდრე მე ვარ ახლა, არ ვიცი, რა მომდება მაშინ. თუმცა არა, ვიცი, ორი ვარამანტია, რომლებოვანაც, მე ჩემი უღმერთო პირით ვლოცულობ, პირველი ახდეს: იგი არ მოისყრის ზოლისა და ბოლის სამართებლის და სულმოდამ ღიმილიანი სახე მოუფიქროვანდეს, ან კიდევ მთელ ძალ-უნეს მოიკრებს და ისე დაისვაშ მავაზე იმ თავის აბეზარ იარაღს, რომ... მოკვდება მართლა.

მაგრამ რატომ ვლაპარაკობ ამებზე? იმიტომ ხომ არა, რომ იმ ბრდღვლითა გოგონას ადგილას შენ გხედავ, მუცლის წყლებში მოცურავე ეცხვი თვის ბავშვო? იმიტომ ხომ არა, რომ ვხედავ, როგორ იბზა შენი ღლბილი კანი ალესილი ფოლადით და როგორ მოთქიანობს მემე იქიდან ის სისხლი, ერთ დროს მე და დედაშენმა ერთად რომ გამოვიგონეთ? მეგერა, იმ გოგონასათვი სიციხისლის ტკიპა იქნები და ამიტომ შენც არ მოკვდები დიდი ხანი, თუნდაც სულ გადახსნილი გქონდეს ვენები, მაგრამ მაინც მეყოლები სიკვდილთან ამ დაუწრლებელი თამაშისათვის... და კიდევ ის უცნობი მამაკაცი მეცოდება, ვინც შენი მავის სურვას უნდა უსმინოს გაგივებამდე... არა, აღარ მინდა ისტორიის დღეობერბანი, მოუხედავად იმისა, რომ ვიცი, ისტორიაა მუდამ მემორდებოდა კვლავაც განმეორდება... და რომ მავაზე ამოიკრული ვენები დაბანბან იმისათვის აქვს, რათა ზედმეტ სისხლს გამოუმუშავს იქიდან და ამ ზედმეტი სისხლის გამოშვება ზედმეტაც მოუვიდეს ზოგჯერ... ვიცი ისიც, რომ ხმები, რომლებიც ძალიან აკვიტებულად ჩავტყმის, უფრო მისალოდნელია, შალეუნიანციები იყოს და სინამდვილეში საერთოდ არ არსებობდეს... ვიცი... ბევრი არ ვიცი და ღმერთმა იცის, რატომ ვიცი ეს ყველაფერი - იმისათვის, რომ გავიერწარიმეტი შენ იმისათვის, კიდევ უფრო რომ დავინებ და სულმოდად ჩავივანტო მიტვალეულობა, ვერაფერც ცოცხალთა თუ ვერაფერც არდაბადებულთა სხეულებსა და ფოტოსურათებს შორის...



ჩემო პატარა, მოკუნტულო, მოცურავე არსება? ვითომ მართლა მხოლოდ იმიტომ ჩაგწურწულე ეს ამბავი, რომ შენ უფრო ლამაზი სახით გადაგეცა იგი იმ ადამიანისათვის, ვის საფეთქლებზეც აუცილებლად უნდა აკაუნდეს ჩემი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯი? ძნელი დასაჯერებელია, მარტო ამისათვის გამე-მეტბინე ასეთ სისატყვეში ჩსავადდე: ალბათ



შენი გამონათობა მინდოდა უფრო. მინდოდა, ახლავ მოგესმინა ის მარადიული უღმობილი სამკურნაო ზღაპარი, რომელიც პანტაპუნქტით ცვივიან ადამიანები ყოველნულთა და ყველგან. შესაძლოა, ვფიქროსად, რაც უფრო ადრე მოისმენდი და შეიცნობდი, მით უფრო იოლად ასცდებოდი ამ თითქმის აუცილებლად სამყაროს. მაგრამ მგონი გინს მოვადვიარ თნდათაბიბით და ვხედვები, რომ სისუფელა ამაზე ფიქრი. ერთადერთი, საჭიროა, ყური მიუვდოს ადამიანს ქვეყნიერებას: კარის ჭრიალს, ხერხებს, ქლიბებს, ფორების ბათქუნს, რადიოს ზუზუნს, ფურცლის შრიალს, კაცების და ძაღლების ხველას, და გახდება მისთვის ცხადი, რომ ყველაფერი კარა იმ ხნის, ადამიანის დაჭიმულ ექნო მისი რადილე სამართებელი ან ჰაერზე ამოკანრული სტრიქონი რომ გამოსცემს ხოლმე. ეს პირველადი ხმა რომ არ არსებობდეს, დარწმუნებული იყავი, არც ეს ამოღენა ხმაური იქნებოდა დღეს სამყაროში.

ჩემო პატარას რაც მინდოდა მეთქვა, მგონი თითქმის უკვე ყველაფერი ვთქვი. თანაც აღვზნებელი ვიყავი იმდენად, მუცელზე ტუფემბიდებული საკბაოდ ხმაილდა გიყვებოდი ყოველივე ამას და ახლა, როცა თხრობას მოვჩირი, ზემოთ ავიხედე და დედაშენის თვალებს ვესაღდი, მიხვდი, რომ ყველაფერი ესმოდა მას. ან იქნებ არც ესმოდა, მაგრამ შენ თარჯიმანივით სინქრონულად გადასცემდი ინფორმაციას მის საშობ, თირკვლევის, ნეწრებს, გულს და აი, ასევე გზით იგებდა ის ჩემს ნალაპარაკებს... თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს ანც ამას! მთავარია, რომ ძველებურად სევდიანად და ახლებურად თბილად მიყურებს. არც შეიძლება სხვანაირად! ის ხომ ჩემი მეგობარია და ჩემი ეს-ნის. ესმის ის ხმებიც, რომელთაც ასე გამოჰაფავს და არ მომასვენებენ ალბათ კიდევ ძალიან დიდხანს. ჰაერი კი უკვე კრთის. ეტყობა წინდანი გრძობას, რაც მოელის. უღმობილი დაკანჯვრა და მერე ჭუჭყისაგან დაცლდა. ჩემო ცქნაფა, წარმოგიდგენია, სუფთა, სუფთა, სუფთა ჰაერი და ამ უსუფთავებს ჰაერში აფარფატებული ის ფორცნი, რომელიც მე ჩემს სამსახურში გადავფულე ერთ ვენებდასერილ მოშლიმარ გოგოს... აი, ასეთ სუფთა ჰაერში მინდა დაიბადო შენ. ჰაერში, რომელიც ექობისგან თუ არა, მათი წარმომშობი პირველადი ხმებისაგან მიიღე იქნება განმნდილი... ხრჭიალა, კანისდაბმურძგლავი ხმებისაგან...

\* \* \*

- ვარც, გეყოფა, ადექი ახლა და ვიჯამშობი. - ცოლმა ხელი ჯერ თავზე გადაამსვს, მერე კუფასთან ჩამი-

ცურა. და სანამ მის გამომზეცილ მუცელს ლოყას მოვაშორებდი და მიმედ ავიერთვდი ნელს, დავინახე, როგორ აიბურცა საოსრულო კაბაზე მოჩითული ერთ-ერთი ლურჯი ყვავილი... და რავი მან იგრძნო, რომ ეს შევაძწინე, ნახად გადავსვლა ხელისგული უეცრად გაცოცხლებულ იმ ყვავილს და - ძალიან ფორიქობსო, ყვავილნარში განსაბერი სისოავით მომასუნტავს ის ორი სიტყვა.

გული მომეწურა. "ჩემი ბრალია", - გავიფიქრე და ამოვთქვი მერე კიდევც ყრუდ.

- შენი ბრალიცა და ჩემიც, - დამიზუსტა მან, შებურუნდა და სამზარეულოსკენ წავიდა.

თხოვთქობიდე წუთის შემდეგ მაგიდასთან ვისხედით და ჩაის ვესაგმადით.

- გაიგონე, რაც ჩემს ბავშვს ვუთხარი ამ ცოტა ხნის წინ? - შევბედე თითქმის ვახშმის ბოლოს.

- ცოტა ხნის წინ? - ჩამკვითხა ცოლი.

- შო, თავი რომ მქონდა შენს მუცელზე მოდებული, მაშინ - ამოვთქვი ძლივს, ხოლო მან მოულოდნელად ტუფემბი მოპრესა გაკვირვების ნიშნად:

- არ გამიგონია... რაზე ელაპარაკებოდი?

ალარ ვიცოდი, გამახრებოდა თუ მწყერდა. ალარც ის ვიცოდი, რა მეთქვა, როგორ მოვეცქეულიყავი. სახე დამეძაბა.

- მითხარი, რას ეველოსოფოსებოდი ჩემს პატარას! - ღიმილით შემიძიხა ცოლმა.

კიდევ უფრო დავიძაბე. და უცებ - "ხრრრ... ხრრრ... ხრრრ..." - ასე ნაცნობი ხმა გავიგონე. დაბნეულმა და სულის ფსკერამდე შემკრთალმა თვალები ავაფიციე.

- რა მოგივიდა, ცუდად ხარ? - ხელზე ხელის შეხება ვიგრძენი.

- "ხრჭჭჭ... ხრჭჭჭ... ხრჭჭჭ..." - მატულობდა ხმაური ოთახში.

- არა, - მივუგე უნდალად და კოვხს ხელი გაკეფვი.

- მაშინ დროზე, მითხარი, რას ექორავებოდი წრიბას! - აღარ მომეშვა ცოლი. პირი გაგხსენი და რაც გულმა მიკარნახა, ის ამოვთქვი:

- ახლა აღარ შემიძლია ამის თავიდან მოყოლა. სხვა დროს იყოს. ან მე თუ ველარ მოვახსენებ, ის მოგიყვება.

- ის?

- შო, როცა დაიბადება და გაიზრდება...

ჩემს ბოლო სიტყვებზე რაღაცნაირად ჩაიცინა და უცებ ისევ მომქვენა, რომ ყველაფერი ორჯერ ორი ოთხივით იცოდა.

- შენ ყველაფერიც გაიგონე და

მიმაღალე - ველარ შევიკავე თავი და პირდაპირ მივახალე.

- ახა რა გიხორბა, დედა შეილს ყოველთას გრძნობს. ის თითქმის მართლად მეღაპარაკებოდა ოთხლაცას, მაგრამ რამდენად სწორად გავიგე, აბას უშენოდ როგორ დავაღებენ? - მიპასუხა ალერსიანად და მშვიდად.

ამოვიხორბე. ბოლომდე არაქთავა-მოცელთა ვიყავი და დღეს მტერი უკვე აღარაფერი შემიძლია.

- დავწვები! - მოვუჭერი მოკლედ და მაგიდაზე წამოვდექი.

უცებ სახე შევიცვალა.

- რა იყო?

- არაფერი. რაღაც მომარტყა ძალიან მაგრად, - მითხრა და მუცელზე მიმიოთია. \* \* \*

ლოგინში რომ ვწვებოდი, გავიფიქრე, რომ ჩემს გოგოს, შესაძლოა, პანანინა თითებით მუცელშივე უჭირავს მისთვის განკუთვნილი პანანინა სამართებელი და თავის თოთო მაჯაზე ხანდახან ისევას. მერე დაიბადება, სამართებელიც მომავრდება და ისიც უფრო მოუხშირებს მისი საშუალებით სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის რამდენიმესანტიმეტრიანი სისხლიანი კალაპოტის ჭრას. ბოლოს კი სულმთლად იმ გოგონას დაემგავსება, რომელიც ჩემს ცოლთან და ბავშვთან ერთად მანვალებს და მყვარებს.

ამ ფიქრით ნავედი ძილსაკენ და სანამ საბოლოოდ გადავიდოდი სიზმრების შევისმომობან სამყაროში, გავიფიქრე, რომ ბავშვი, რომელიც ჩემი ცოლის მუცელშია, შეიძლება გოგო კი არა, ბჭიყა და რომ ამის გამო ის ყველაფერი, რაც ეს ვუთხარი, ტყუილი იყო.

თეიარავალი, 2000 წელი.

არცლი



# კავკასიური დოღის თქარუნი

## მონვადენილი ყავლგასული რომანტიკოსი ისტორიკოსის და იმპერიის არტუზ მოქველავალი იდეოლოგის ნაწილიაიდან...

კავკასიის ქართულმა, ცხადია, ჩვენთვის, ქართველებისთვის დასაბამური, "ქართლისმცოდნეობა" საკითხავია და მასში საუკუნეთა მანძილზე მრავალი ხალხი, დიდი თუ პატარა ქვეყანა ყოფილა ჩართული. ახალ ისტორიაში რუსეთი და ევროპა გამოედინენ მკვიდრი კავკასიელების და მათი ძველი მტერ-მოყვარე მებრძობების საცილო ასპარეზზე. XIX ს-ში აქ რუსეთმა თავის ისტორიაში უდევს გამარჯვებას მიაღწია: ხელში ჩაიგდო მთელი კავკასია - ესაიიდან შუგ ზღვამდე ("სამუდამად და შეუქცევლად" - ასე ეგვრათ დიდხანს).

დღეს სხვა ვითარებაა, მაგრამ არანაკლებ რთული და ჩახლართული; ხლო სისხლისღვრის მასშტაბებში XIX საუკუნე შეიძლება თამამად კი გამოიწინეს, თუმც სისხლსკიტი არც ერთი დრო არ ჩამორჩება ერთმანეთს, არც ცინზშითაც (ცხადია, ვის როგორ მიანია). ვანა ცოტაა საერთო დღევანდელ ტელეინფორმაციებს თუ მიმობლევებსა და XIX საუკუნის რუსი ოფიცის (მართალია, წარმომობით ბალტიისპირელი გერმანელის) ჩანაწერს შორის? "...Прогулка по Ичкерии с увеселительными перестрелками была довольно благополучна. То там, то тут ранят, кого убьют в нашей семье, а мы ждем их аулы, топчем хлеба, бьем их и пулями, и ярами, колем русским безпардонным штыком... валятся они и десятками и сотнями... Не разбойничай! Ну и вышло по пословице: где дрова рубят - там шепки летят". მართალია, ავტორი ქართველების მიმართ ასე მტრულად სულაც არაა განწყობილი, მაგრამ ზოგი რამ მაიცივ გააკვირვებია: ეს ექსპედიცია (ჩანჩენის და დაღესტანში) 1832-ში დამთავრებულა და უკვე ტვილისში მოუღონებლი ამავე ხვედბათ: "Тут, в Тифлисе, мы узнали о каком-то заговоре между грузин. Грузины заговорили! Непонятно! многих взяли, и между прочим г-м. князя А.Чавчавадзе. Ну если князя плуют, то добрый грузинский народ, право, не виноват!" ("კავკასიის სბორნიკ", ტ.XVI, 1895 წ. ტვილისი. გვ.138, 170).

საქმე ის ვახლავთ, რომ ეს ლიტერატურულ-ისტორიული მასალა მინცდამინც არაა გამოშუქურებული (ცხადია, ეს არ ეუბნა იდეალისტი ისტორიკოსების მიერ შერჩევით გამოყენებას; აუცილებლად უნდა დავასახელით მწმვერლოვანი ნაშრომები - გიორგი ავალიანის "ქართველი მხედრობის მხედრობის რუსეთის არმიამი", 1967 და შამშუგ მგერელიძის "ჩვენი სახელოვანი წინაპრები", 1979). ვინ არ იცის, რომ საბჭოთა პერიოდში სულაც არ ეწადათ კავკასიის დაპყრობის აღიარება. თვით სამხედრო ისტორიკოსი ვასილი პოტო (1836-1911), რომანტიკოსი მობრბელი, ზემოთ დასახლებული კრებულის რედაქტორი (XX ტომიდან), "დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში" არცაა შეყვანილი; არადა, კავკასიის ომების მიმდინარეობის წარმოდგენა მისი ნაწერებში გარემუ სრული ვერ იქნება. ასევე ვერ ნახათ ამ ენციკლოპედიაში როსტისლავ ფადეევის (1824-83), რუს პუბლიცისტს, კავკასიის პრობლემით დიდად დაინტერესებულ მწერალს. სხვა უფრო "შინაურ" (თუმც თვითონ სწორედ ასეთად მიანდა რუსეთისთვის ეს პრობლემა), ნეიტრალურ თემაზე რომ ეწერა, როგორც მისი დონის სხვა ავტორები არიან, ისიც აუცილებლად მოხვდებოდა, მაგრამ, ვიშორებ, ამ "კავკასიურ ამბავს" ერთდებოდნენ. ახლა აღარ ერთდებიან. XIX საუკუნეიდან მომდინარე ბევრ მოვლენას

კვერსაც უკარგვ, "საჭირო" ტყვილსაც იმეორებენ, მაგრამ სიბართლის ბოლომდე თქმას მინც არ ამკვლიბებენ.

მაგრამ ჩვენ ზომ ველარ დავკვილიან ამის ცოდნას, უბრალოდ არსებულის ხელახლა წაკითხვას და შეფხვებას? ცხადია, წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი ერთობ მოკრძალებულია. ჩვენი მიზანია უშუალოდ პირველწყაროებიდან დავკვამნიკებიანოთ არასპეციალისტ მკითხველს XIX საუკუნის ვრცელი რუსული "სამხედრო-კავკასიური" ლიტერატურა.

ეპიზოდი, რომელსაც "არლი" ვითავჯობთ, ამოღებულა ვასილი პოტოს კომპილაციური ნარკვევიდან "მოგონებანი ამიერკავკასიის 1855 წ. ლამქრობიდან" ("კავკასიის სბორნიკ", ტ.XXV, 1906 წ.); რათა მკითხველმა უფრო დეტალადივ წარმოედგინოს ჩვენი ჩრდილოელი ახსნავი თვალსაზრისობელი ზრახვანი და მისწარუებანი (რაც მხოლოდ ვასთავისწინებელია), უურთავთ ერთიორ ვრცამენტს რფადეევის კავკასიური ციკლიდან (ქვეყნდებოდა ცნობილ რუსულ გაზეთში "მოსკოვსკიე ველომოსტი" - 1864-65 წლებში).

იმის აღნიშვნაც აუცილებლად მიგვანია, რომ XIX ს. ზემოხსენებული რუსული წყაროებით დაინტერესებული იყო (არა მარტო გვარონული სიამაყის გამო) ცნობებული ზურაბ ჭავჭავაძე - საქართველოს თავისუფლებისთვის თავდადებული რაინდი. მან თავადვე თარგმნა ნარკვევი "ქართველთა რაზმი ჩოლოქზე", რომელიც ნაწილია ვ.პოტოს გამოქვეყნებულ თუ სარკიული მასლებით შედგენილი ვრცელი წერილისა - "ქართველი თავადანაურბა რუსეთის სამხედრო სამსახურში" (გამოქვეყნდა ბორის ესაძის მიერ შედგენილ კრებულში "Летопись Грузии", ტვილისი, 1913 წ.). ზურაბმა ვერც მოასწრო ამ თარგმანის დაბეჭდვა; მისი სიკვდილის შემდეგდა გამოქვეყნდა ურნალში "საქართველოს ბუნება" (N9, 1990 წ.). რაც დრო გადის, მით უფრო მტკინებულად იგრზობთა ზურაბ ჭავჭავაძის დაღუპვით გამოწვეული დანაკარგი, არა მარტო პირადი აღმამაური, არამედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც...

ნოდარ შერალიძე



ახლა კი თვით ვასილი პოტოს მოეწესმინოთ. 1855 წელია; რუსეთ-ოსმალეთის ომის კავკასიის რეგიონი (ქალაქ ალექსანდროპოლითან - ესაა შემდეგ ლენინაკანი, ახლა კვლავ ალუდგინეს ისტ.სახელი - გუმრი). კავკასიის პირველი მეფისნაცვალი, თავად მკვორინცივი ავადმყოფობის გამო გადამდგარია. მის ადგილს იკავებს გენერალი ნაშურაიოვი (1794-1866). იგი 1812-14 წლების რუსეთის სამამულო ომის შემდეგ მსახურობდა კავკასიაში. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-27 წ.წ.) და რუსეთ-ოსმალეთის (1828-29 წ.წ.) ომებში. შემდეგ პოლკოვნიკი, 1848 წ. გენადდრთა კორპუსის უფროსი იყო. მკვორინცივი 1854 წელს შეცვალა.

საქურნალო (ცოტა "ვესტერნის" ფანისი) წერილი, მით უმეტეს "არილსთისი" შეუფერებელი კომენტარებით რომ არ დავამძიმო, ალბათ, აჯობებს ზოგი მოველდა აქვე წინასწარ განუზმარტო, ან შევახსენოთ მკითხველს. ვაპოტო 1855 წლის ამბებს მოგიგონებთ. ესაა ყირიმის ცნობილი ომის დრო (1853-56 წ.წ.), როდესაც ოსმალეთმა საომარი მოქმედება ევროპის გარეა უშუალოდ კავკასიაში წამოიწყო და აქ კერძოდ საქართველოში, დაკარგული რეგიონების დაბრუნება მოინდომა. რუსეთის სამხედრო ისტორიისთვის და ჩვენი მიწა-წყლისთვის ამ მიმეჟ ჟამს მხედრული შებარათებით ნამდვილად გამოიჩინეს თავი იმპერიის სამხატურში დანიშნულმა ქართველმა თავადაზნაურობამაც და სახალხო ლაშქარში ("მილიციაში") განეწულმა გლეხკაცობამაც. ასე რომ, გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ამაყი პოეტური ფრაზა რეალურ ღვაწლს ეფუძნებოდა და სწორედ მათი დამსახურებაცაა, რომ XX საუკუნის დამდეგს დღემდევე დამოუკიდებელი საქართველო თავის ისტორიულ ტერიტორიაზე იყო დამკვიდრებული; მოვიყვებ იგი ჩემთვის უფრონი ავტორის - ლერი გოშაძის სიტყვებს: "...ამასთანავე იგი იყო ერთიანი და განუყოფელი თავისი ტერიტორიული და საინგილოით" ("საქართველოს დღევანდელი რეალიტი..."; "ლიტერატურული საქართველო", 21-27 IV, 2000). მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გარბელიანმა კარგად უწყობდა სხვა გზის არსებობაც, რომლის სიმბოლოს ალექსანდრე ბატონიშვილის ტანჯული სხეუ წარმოადგენდა; ხოლო მომავალი ევემერული თავისუფლების წინათგარეშობა იმდენად იყო მიზანუღული, რომ მსკვირნი პოეტები ცნობილი ტრაგიკული "თთონი"

სტროფით გამოეთხოვა წუთისოფელს და ეს აღმონათქაში შემდგომაც მრავალი თაობის ეპიტაფიად იქცა.

ახლა უფრო კონკრეტულ ამბებზე გადავიდეთ. ვაპოტო ასხენეს ბაიბურთის ბრძოლას (1829 წ.), სადაც ერთმანეთს პირისპირ შეხდნენ 25 წლის პორუჩიკი იასონ ქაჭვავაძე (1856-ში სამხედრო სამსახურიდან გადადგა, 1857 წელს გარდაიცვალა) და მასზე 10 წლით უფროსი ნიკოლოზ მურავიოვი. შემდეგში მეფისნაცვლი (1855 წლიდან; იმავე წელს ყარსის ალებისთვის "კარსკად" წოდებულ). აქვე იხსენიება ივანე ანდრონიკოვი (1798-1868); იანდრონიკაშვილი იყო რუსეთის არმიის სამსახურში დანიშნულებული თავადი, ერეკლე II-ის ბაღში და სოლომონ II-ის დისწული. 1824-იდან მეთაურობდა ცნობილ სამხედრო ერთულს - ნიეგვიროდის (ე.ი. ნიფინ-ნიგვიროდის) დრაგუნთა პოლკს. დრაგუნები იყვნენ კავალერისტები, რომელთაც საქართველოს დროს ორგანიზებული ძველი ბრძოლაც უნდა შეძლებოდათ. სხვათა შორის, იანდრონიკაშვილის სახელს უცავ შირვადე დრაგუნთა სალაშქრო წესდებაში ცვლილებების შეტანა (კავკასიური გამოცემების მიხედვით), რაც შემდეგ მთელი რუსეთის მასშტაბით დაინერგა.

შედეგ მოხსენიებულია ბაშკადილარის (1853 წ. ნოემბერი) და ქურუქდარის (1854, აგვისტო) ბრძოლებში. ორივე ბრძოლაში იასონ ქაჭვავაძის ზარბაზნმა და გმირულმა მოქმედებამ განაპირობა რუსეთის ჯარის გამარჯვება (გებუთოვის სარდლობით). თვით ის რუსი ოფიცერი (ეპირიმერი), რომლის ჩანაწერიც ზემოთ მომყავს, ერთ კერძო წერილში (ჩემი აზრით, ადრესატტი ცნობილი ავტორისი მზატვარი ტვიდრო პორუშელტი უნდა იყოს) ლამის შუა საუკუნეების მესობტის ენით აღწერს ოქროსეფერ ყარაბაღულ მერანზე ამხედრებული იტაჭვავაძის ომს. არადა, თავის მემუარებში მინცადამინცე კეთილანწყობილი არ ჩანს ქართველი ოფიცერის მიმართ; მკვორინცივის გამორჩეულ სიყვარულსა და ზრუნვასაც აყვედრის, არც ის მოსწონს, გებუთოვი და იტაჭვავაძე სამხედრო თაობირებზე საათობით ქართულად რომ საუბრობდნენ. ისე იმასაც შენიშნავს, ქართული მილიცია, ყარსის ალებისას, როგორც ყველთვის ჩემს მესხერებაში, ნამდვილად კარგად მსახურობდაო (სხვა მილიციებს უდაწერს), რაც შეეხება ჩალისეფერ ყარაბაღულს, იგი შარზე დამდგარი მურავიოვის ხელნასაჭიდეც გახმარდა. რავე ისაა, რომ რეგულარულ არმი-



ამი მართლაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ ცხენების ჯიშობრივ შემაგუნელობას (ფერსაც კი). თანაც სამწყობრო ცხენები იაბიუბი (დაკვიცილი, კასტრირებული ულაცები) უნდა ყოფილიყვნენ; მაგრამ კავკასიაში სავეცილური პირობების გამო მყავდით ადგილობრივი ჯიშის ცხენებიც, მით უმეტეს, ეროვნული მილიციების მონაწილეობისას (ერთი ცნობილი სავეცილისტი, იპოლოვი, საგანგებოდ აღინშნავს 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ზამთარში, თუშური ცხენების გასაოცარ გამძლეობას). აღწნადა, სახელგანთი მხედრის ამ საბაბით დატუქსევა ნამდვილად ვერაფერს შმატებს მურავიოვის ღირსებას.

მაგრამ ეს ყველაფერი ქვემოთ იქნება მოთხრობილი. დროა, სიტყვა ვასილი პოტოს დაფუთოთ:

...ჯარები შეგროვდა; მხოლოდ ტფილისიდან ახალი მთავარსარდლის, გენერალ-ადიუტანტის მურავიოვის ჩამოსვლას ელოდნენ; იგი დანიშნული იყო კავკასიის მხარის მეფისნაცვლად. 13 მაისს შორეული გუგუნი მოსწვდა ჩვენს ბაზას და ყველანი კარგებიდან გამომკვიცვანა. მალე ხალხის ყიფინამ, ზარების სადღესასწაულო რეკემამ ზარბაზნების გრიალმა გვემცინე ქალაქში მეფისნაცვლის მობრძანება. ბევრმა ინიშნა, რომ მთავარსარდლის შეხვედრა არმიასთან 13 რიცხვს დაემთხვა, და იქნეულად იქნედა თავს.

ამ მობრძანებას საკვირველმა ამბებმა ჩამოასწრო. ამბობდნენ, მურავიოვი კავკასიის მეფიცი დეაბტყდა თავსო. ყველგან რაღაც ძველი ანგარიშები გაიხსნა და მისი შეხვედრით უარსცხყოფილი გენერლები კავკასიიდან იბარგებინანო; სადაც კი გზად გაიარა,

ნივეგორდის სამხედრო დასახლებების წესები შემოიღო, სადაც იგი გრენადერთა კორპუსს მეთაურობდა.

ექვი არაა, ამ მონაცემში ბევრი რამ გაზვიადებული იყო, მაგრამ ნიშანდობის კი ენაერებოდა... ნივეგორდელები, რომლებიც ბანაკში მთავარსარდლის შემდეგ შემოვიდნენ, გვიყვებოდნენ, ჩვენს პოლკს გზად გამოუსწორო, და დათვალელების ისეთ წერილობრივად გამოგვცემდნენ, რომელთა დაჯერება არავის უნდოდა.

იმ მიმე სცენის ასახსნელად, რაც სალაშქრო გადასვლისას მურავიოვის და იმ დროს ნივეგორდის პოლკის მეთაურ, თავად ჭავჭავაძეს შორის მომხდარიყო, უნდა მოვიგონოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც ახლაც ცოცხლობს კავკასიის არმიის თქმულებებში. ეს ამბავი კი 1829 წლის მოხდა, ბაიბურთის სისხლით მოწყულ ველზე.

27 სექტემბერს მურავიოვის გრენადერთა ბრიგადამ მიიღო პასკევიჩის ბრძანება, შეუტეოთ ზედ ქალაქთან დაკავებულ მტრის ძლიერ ბაზარებულ პოზიციასო, ხლო ბრიგადის ფლანგის დასაცავად ნივეგორდის პოლკი წასწიეს წინ. მაგრამ დრავუნები გამოსცდნენ თუ არა ჩვენი ქვეითი ჯარის ხაზს, მაშინვე მტრის ძლიერი კავალერიის პირისპირ აღმონდნენ. ორივე ცხენისანი მასა შეჩერდა, რაზმი რაზმს მიაშტერდა უჩუბრად, თითქოს თვალთ შომავედნენ ერთმანეთს. იმწუთსვე თურქმა ოფიცერმა გამოაჭენა ცხენი, ზედ ჩვენს ხაზს მოაგდო და დაშანა დაცვლა. თავები ჭავჭავაძე ლაბებსკადრონის პირველი ოცეულის თემში იდგა, უმაღლეს მთარაზი შეკრმა და მიქცა. თურქმა ზურგი აქცია და გამტეხებით დააოთხა ბედაური. ჭავჭავაძე წაშოენია. როცა დაინახეს, რომ ორივენი მალე თურქების ხაზთან უნდა მიჭრილიყვნენ, არავის უბრძანებია და პირველი ოცეული მიჰყვა თავის მეთაურს; ოცეულს მთელი პირველი ესკადრონი გაედევნა, პირველს - მეორე, და უმაღლეს ექვსივე ესკადრონმა შორს მოიტოვა იერიშზე გადასული ჩვენი ქვეითი ჯარი და ცხენებით გაჭნადა თურქების სანგრებისკენ. დრავუნებმა თავის წინ მდგარი თურქების ცხენისანი რაზმი გააჟეს და პირდაპირ ბატარეებისკენ მიაჭნებდნენ... ამასო-

ბაში ჭავჭავაძე და მისი მეტოქე სულ უფრო შორს აგრძელებდნენ თავის დოღს; თურქმა ოფიცერმა მიადინა თავის სიმაგრეს და რე-დუტში შეაჭენა ცხენი. ჭავჭავაძე წაშით შეყვინდა - ბედაურს დე-ზი ჰვრა და ყაბარდოული თეთრონი მინას მოსყვდა, შაერში კა-მარა შეკრა, სანგარს გადაევიღო და ბრუსტეტერს მოეფარა. ჭავჭავაძე მარტოდმარტო აღმოჩნდა ათას თურქს შორის, მაგრამ სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, დრავუნებიც მოჭნებდნენ და გამაგრებული რედუტებისა და ბატარეების მთელ ხაზი ექვსივე ესკადრონის ძეგრებამ შემოქრა.


პასკევიჩი ბორცვიდან უმზერდა ამ გაშმაგებულ იერიშს და თავში ხელი წაიშინა. ამასლა იმეორებდა: "რა უნდათ, საით მიაჭნებენ?" ეშინოდა, სიმაგრეებიდან წასროლი კარტეჩის ცეცხლში მოხვდებიანო, მაგრამ აზრადარც არ გაუღვია, რომ სწორედ ამ სიმაგრეებისკენ მიქროდნენ ისინი. და როცა ყველაფერი მომთავრდა და თურქების ზარბაზნებმა თავისი სისხლისკენ დაიწყეს სროლა, მან ქუდი მოიხიდა და გარშემოყვიფით უთხრა: "აი, რა ბიჭები არიან ჩემი ნივეგორდელები! შეუტეებელი საქმე მათთვის არ არსებობს".

დრავუნები ამასობაში აგრძელებდნენ მტრის დევნას და პოლკის უფროსმა თავადმა ანდრონიკოვმა ჭავჭავაძეს უბრძანა, ქალაქში გაფანტული მებრძოლები შეკრიბო და რაც შეიძლება ჩქარა მოანიშ პოლკსო. მაგრამ ამ დროს მანიურთში გრენადერთა ბრიგადაც შემოვიდა და გენერალმა მურავიოვმა, როცა ჭავჭავაძე შემოხვდა, უბრძანა მას, შენი რაზმით ქვეით ჯართან დაჩრდი. ჭავჭავაძემ უპასუხა, ამას ვერ ვიქმ,

რადგან კატეგორიულად მაქვს ნაბრძანები, ჩემს პოლკს მივაქუსრო, რომელც ჩვენგან შორს, წინ იმყოფება და აი, სწორედ ახლა, ეგებ მიშველებაც სჭირდებათ. მურავიოვს არ სჩევოდა დაყვავებით ლაპარაკი, ჭავჭავაძეს უყვირა კიდევ, ახლის! დაუდგა და თითის ქნევა დაუნყო. ჭავჭავაძემ ორი ნაბიჯით დაიხია, ხმა არ გაუღია და ხელი ხმაზე დაიდო. იმ მომენტობამ მურავიოვი გონს მოიყვანა, მაგრამ მაშინვე პასკევიჩს აახლა პატაკი და საომარი მდგომარეობის კანონის წესისამებრ ჭავჭავაძის საველე სასამართლოსთვის გადაეცემა მოითხოვა. ამ პატაკმა პასკევიჩს ბრწყინვალე გამაგრებული მოგარეული სისარული ჩაუშამა და მაინც მეორე დღეს, დილადრიან, იგი ქვეითად მარტოკა მივიდა ნივეგორდის პოლკის ბანაკში, ესკადრონებს რიგრიგად ჩაშოუარა და გუშინდელი ბრძოლისთვის მაღალმა გადაუხანა. - "სავით შეტევა, ამბობდა იგი, რაც კი ჯარში მისახსურია, ჯერ არ მინახავსო". ანდრონიკოვი გადაეკონდა და უთხრა: - "ერთი მაჩვენე ის ოფიცერი, თეთრ ცხენზე მჯდარი პირველი რომ შეიჭრა სიმაგრეშიო". ანდრონიკოვმა თავივე ჭავჭავაძე წარუდგინა. - "ეს ვინ ჭავჭავაძეა? ის ხომ არაა, რომელსაც მურავიოვმა უწოდია?" - "სწორედ ის გახლავით". - უპასუხა ანდრონიკოვმა. - "ასალგარდაც, მიმართა პასკევიჩმა, - იცით თუ არა, გენერლის წინაშე ასეთი უკადრონი უყვსის პასუხად დახვრტა რომ გეკუთვნოდათ? თქვენ ასგზის დაიმსახურეთ ნივეგორდის ჯვარი, მაგრამ ვერ მიტეხებო".

პორუჩიკის ჩინში მყოფ თავად ჭავჭავაძეს წმანას მეორე ხარისხის ორდენი უბოძეს. ცოტა მურავიოვისაც მოხვდა და პატაკი უკანვე მიუბრუნეს. იმ ამბის შესრე 26 წელი გავიდა, მაგრამ ბაიბურთის ველზე გაღვივებულ ძველი შუღლი, როგორც ჩანდა, ჯერაც არ ჩამქრალყო მურავიოვის გულში. აი, რა მოხდა მასა და თავად ჭავჭავაძეს შორის ახლანდელ ლაშქრობაში პირველი შეხვედრის შემდეგ.

საერთო შეტრების ადგილისკენ წამოსული ნივეგორდის პოლკი II მარს დღეითაში მოვიდა, სადაც ერთი დღე უნდა დაესვენათ. მალე საფოსტო სადგურდიან აცნობეს, რომ ქვეითი ჩავლიმა კურირმა გვირბანა



ნა, მთავარსარდალს სამგზავნოდ ფოსტის ცხენები დახვედრეთო. პოლკში რაიმე ოფიციალური ცნობა ამის თაობაზე არ ჰქონიათ და ამიტომაც დაისვა კითხვა: საჭიროა თუ არა საპატიო ყარაულით შეხვედრა? ანუ გადაეყვითხე, ამით არაფერი დაზავდება, და საფოსტო სადგურთან საპატიო ყარაული დადევნეს. მოსალამოვდა, ახალი კურიერი მოჭენდა და აუნყა, მთავარსარდალი მიზრძანდებოა. მურავივის ექვსცხენიანმა ეტლმა სადგურის ჩამოშორვდა და მოლოკების ახალშენისკენ გაუხვია. თავადი ჭაეჭავაძე ამხედრდა, ჭენებით მიჰყვა და საპატიო ყარაულიც გაყოლა.

მურავივი ერთი მოხუცი მოლოკის სახლში ჩამომხდარიყო, მასპინძელს ესაუბრებოდა, როცა მოახსენეს, ნიუგეგორების პოლკის უფროსი გენალთაო. მურავივი კარებში შეხვედრა და მათ შორის ეს საუბარი გამართულა:

- რატომ არ მომგებეთ საპატიო ყარაულიდან ერთად?

- ყარაული საფოსტო სადგურთან იდგა და ახლა აქეთ მოიქცაო.

- რატომ არ იცოდით, სად ჩამოხდებოდა თქვენი მთავარსარდალი?

- არ ვიცოდი, იმიტომ, რომ თქვენგან არაფერი შეგიტყვია.

- შენ კი იცოდი, შენთან რომ დაგიდებდი ბინას? - მიმართა მურავივმა სახლის პატრონს. მოლოკანმა თავყანი სცა. "ვიცოდი, ჩვენი მამავ და ბატონო, თქვენი აღმატებულებავ, ვიცოდი".

- აი, ხედავო, უბრმა მოლოკანმა იცოდა, თქვენ კი, გენერალო, არ გცოდნიათ. ომის დროს რისი გამჭვლებელი იქნებო?

- ომი უკვე ორი წლის დანწყებულია. - წყნარად მოახსენა თავადმა ჭაეჭავაძემ, - ხოლო რაც ნიუგეგოროდელებს ბაშაბედიკარის და ქურუქდარის ბრძოლებში გაუუეთხებიათ, ეს შეგიძლიათ თქვენს წინამორბედებს ჰკითხოთ ალექსანდროპოლში.

როგორც ეტყობა, თავად ჭაეჭავაძის ხმაში ისეთმა კივლიმ გაიფიქრა, რომ მურავივმა საუბარს გადაუხვია.

- რატომ გაცვიათ სალაშქრო ფორმა? განა არ იცით, რომ ჩემთან გენერლის საპარადო მუნდირით უნდა წარმომდგარიყავით?

ეს უკვე გენერალმანზე შემოდავება იყო და თავადმა ჭაეჭავაძემ მშვიდად მიუგო:

- ვიცი, მაგრამ ასე ვიფიქრე, რომ საბრძოლო ლაშქრობაში დიდი ცოდაა არ იქნებოდა, თუკი საპარადო მუნდირს არ წამოვიღებდით, მით უმეტეს, არ ველოდი თქვენთან შეხვედრას.

- თავგზიანმა ოფიცერმა ყველაფერი თან უნდა ატაროს, - თქვა მურავივმა. ხვალ ვნახავ თქვენს პოლკს. ბრძანებებს მიიღებთ. ამ სიტყვებზე თავი დაუქნია, ხელგედი უკან დილაგა და სახლის პატრონთან ერთად ოთახიდან გამოვიდა.

დამსახურებული გენერლის ასეთმა მიღებამ, გენერლის, რომელსაც კისერზე წმ.გიორგის ჯვარი ეყიდა და მის სახელს მთელი რუსეთი იმეორებდა, პოლკზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა.

დათვალიერების ბრძანება მხოლოდ შუალამეს მოვიდა. გაჩნდა მრავალი კითხვა, რომლებიც ისევ ნიუგეგოროდელებს უნდა გადაეყვითათ, რადგანაც პასუხის გამგები არავინ იყო. დილის 8 საათისთვის პოლკი მოეწყო თავის ადლათან ერთად...

8 საათზე მურავივიც მოვიდა და თავადი ჭაეჭავაძე პატივით მიეგება. საუბედუროდ, იგი ყარაულულ ულაყზე იჯდა, მურავივის კი ულაყები ეჯავრებოდა და ამიტომაც საყვედური არ დაიშურა. "განა, არ იცით, რომ რეგულარულ კავალერიაში ულაყები არ უნდა იყოლიოთ?" - უხარა მკაცრად, "გვერდზე გადაეჭით და ჩემგან რაც შეიძლება შორს გეჭიროთ თავი".

პოლკი თავისგან მხარმარჯვენეც გაატარა, ექვს-ექვსნი მწკრივში. მურავივის ადიუტანტები ითვლიდნენ და ამონმედიდნენ მწკრივებს. ყველაფერი ზუსტად შესრულდა. პოლკს ადლიც მიჰყ-

ვა. - შეივრდი! - ბრძანა მურავივმა, - ეს რა საზიარებია? - ორცხობილასი. - გასენებით.

საზიარებში ახალი მუნდირები აღმოჩნდა.

- ეს რაღაა? - მკაცრად იკითხა მთავარსარდალმა.

- ეს ჩემი საზინაო განკარგულებაა, - უპასუხა ჭაეჭავაძემ; ორცხობილა ალექსანდროპოლში დაგამზადეთ.

მურავივი დაეჭვდა და ყველა ესკადრონის უფროსს ჩაეკითხა. მათ დაუდასტურეს და სხვა რა გზა იყო, უნდა ერწმუნა. აღმადა განაგრძო მსვლელობა.

- ეს რა ყუთებია?

- ვაზნების.


- ახადეთ თაოი.

დაინწყა კოიტეების ძებნა. კოიტეები კი საზინადარს ჰქონდა, რომელიც დილთიანში იყო. შიკრიკი აფრინეს. მურავივის მისწინად საზინადრის ლოდინი, ხელი დაუქნია და ყუთები გაატარა.

შემდეგ მან მხოლოდ ესკადრონის უფროსები გამოიძახა, ეკითხებოდა პოლკის მურავივის შესახებ, ფურაჟის ყიდვასა და ორცხობილას მომარაგებაზე და ა.შ. და ა.შ. პოლკის უფროსი და დივიზიონერები საზზე იყვნენ ამ ხნის მანძილზე. მაგრამ პოლკით კი მურავივი კმაყოფილი დარჩა, ჯარისკაცებს თითო არაყი გადააკვეციდა და გზა გააგრძელა. პოლკი კი მიწდგრად დარჩა.

კავალერიის დათვალიერების შემდეგ მთავარსარდალმა ინება მთელი ჯარის ნახვა, რომელსაც მისი პირადი სარდალობით საზღვარი უნდა გადაეღებინა. დათვალიერება 2 მაისს უნდა მომხდარიყო. ალექსანდროპოლის წინ გაშლილი დედ ველზე.

...სამწუხაროდ, ამ ბრწყინვალე დათვალიერებამ ერთი ამბის გარეშე ვერ ჩაიარა, რომელიც ძალზე უსამოგონო იყო და ყოველი ჩვენგანის თვალწინ მოხდა. საქმე ისაა, რომ როცა ჯარებს ჩამოუარა და მიესალმა, მურავივი უბრად გასცდა ნიუგეგოროდელებს და თავისი სალაში დაამალდა. თავადმა ჭაეჭავაძემ მაშინვე მიაჭენა ცხენი გრავ ნირობიდან და ხმა-მალა უფროსა: "გრავ! ახლა დაინწყა ცხენი მონიოლი მარში, მე ადგილიდან არ დავძრავ პოლკს, სანამ მთავარსარდალი არ მიესალმება მას". ნირობმა დაშოშმინება სცადა და ისიც ჩაურთო, თავადო, ამით კარიერას დაილუპავ-



თო, მაგრამ არაფერმა გაჭრა.  
 - მე იმდენჯერ გამიწირია თავი პოლკის სახელისა და ღირსებისთვის, რომ სამსახურებრივი კარიერა არ მაფიქრებს. მე უნდა დავიცვა პოლკი იმ შურისთვის, სადაც, რომელიც მთელი კორპუსის წინაშე მიაყენეს. გრაფმა ეს კორპუსის უფროსს აწინააღმდეგა. კორპუსის უფროსმა, თავადმა ბეგუთოვმა ცხენი მოაჭყნა, დიდხანს ეგეპარაკა ჭაჭყაძემს, მაგრამ ჩვენა პრაქტიკაში ბოლო სიტყვა იმ გაეგებეთ:

- დამწვედი, თავადო! გპირდები, რომ დათვალე რეზერვის შემდეგ ყველაფერი მოგვარდება.  
 - ასე იყოს! - უპასუხა თავადმა ჭაჭყაძემს, - მე ჩავატარებ პოლკს; მაგრამ თუ თქვენ არ მოახსენებთ მთავარსადგენს, მაშინ მე თვითონ ვეჭყვი და რაც ამას მოჰყვება, თქვენს სინდისზე იყოს.

პოლკები რიგრიგობით ჩაივლიდნენ მთავარსადგენის წინაშე და თავიანთი ბანაკებისკენ მიდიოდნენ. მხოლოდ მჭიდრო საესკადრონო კოლონად მოწვენილი ნიჟეგოროდელეები იდგნენ ველზე. ბოლო ნაწილებამაც ჩაიარეს; მთავარსადგელს უკვე ტიტიც მოართვეს და ამ დროს მასთან ბეგუთოვიც მივიდა. დიდხანს და დავტარებთ საუბრობდნენ. შემდეგ ორივენი ეტლში ჩასხდნენ და ნიჟეგოროდელთა პოლკისკენ გაემართნენ. "ნიჟეგოროდელეებო! - შესძახა მურავიოვმა, - ჯარებს რომ ჩამოვფარე, გამახსენდა თქვენი საგმირო ამბები და ისე მემაბო თქვენი ნახვა, რომ მისალმებაც კი დამაივინებ; სალამი თქვენდა, ყოჩაღო ნიჟეგოროდელეებო!" პოლკმა ერთხმად უპასუხა: "დღეგრძელობა თქვენს მალაღობატებულეებს!"

მურავიოვი წავიდა, ხოლო თავადი ჭაჭყაძემ ერთი თვის შემდეგ "თავისუფალი ბრიგადის უყოლობის გამო" არმიაში გადაიყვანეს. ნიჟეგოროდის პოლკი მისგან პოლკოვნიკმა, თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა ჩაიბარა.

განვიხილო 1864 წელი ერთი უბედნიერესი, გამორჩეული წელიწადი. იყო ჩვენს ათასწლიან ცხოვრებაში. იმ თვეებში ერთი კაცივით შეკრულმა რუსმა ხალხმა ერთად იხილა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაც და კავკასიის საუკუნოვანი ომის დასასრულიც.

პოლონეთისა და კავკასიის სახელგნობი შემხმეხეთი არ გვისხენება ერთად. მათ შორის გარეგანი კავშირი

არ არსებობს. მატერიალურად ეს ქვეყნები ქმედების განცალკევებულ ცენტრებს წარმოადგენენ; მაგრამ შინაგანი კავშირი არათუ არსებობს, ძალზე მკაფიოდ ნარმოზდდება. ახლანდეს კონსტანტინოპოლში ერთი მნიშვნელოვანი ევროპელი დიპლომატი ამბობდა: "ევროპას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს კავკასიის დაპყრობას. დამოუკიდებელი კავკასია ჩვენთვის ისევე სასურველია, როგორც იქნებოდა დამოუკიდებელი პოლონეთი. კავკასიის დამოუკიდებლობა მარჯვე დროს მძლავრად იმოქმედებდა კიდევ პოლონეთის დამოუკიდებლობაზე".

...შეხა და კასპიის ზღვებს მიბედინებდა სახელმწიფოში არ შეიძლება მშვიდად უცქიროს, თუ რა ხდება კავკასიის ველზე, რომელიც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით მბრძანებლობს ამ ზღვებზე...

XVI საუკუნეში კასპიის ზღვა და ვოლგა ერთ პოლიტიკურ მთლიანობად ჰქრავდა მუსლიმანურ სამეფოებს სპარსეთიდან ოქს შუბართაყამდე. როცა რუსი ხალხი შესართავდა თათართა ჩრდილო სამეფოების ნაგრევებზე და ასტრახანში ხელთ იდო ამ გრძელი აუზის გასაღები, იგი მუსლიმანური მემკვიდრეობის პირდაპირი მონილე გახდა: რუსეთის მთავარ სავაჭრო გზას - ვოლგას გაეყვებოდათ უკაცრიელ კასპიის ზღვაზე, ზღვაზე, რომელსაც არც პატრიონი ჰყვდა და არც გემები, მაგრამ მის ნაპირებზე კი გაშენებული იყო ხალხმრავალი ქალაქები და ცხოვრობდნენ მდიდარი და მწნარე ხალხები.

(რ.ფადეევი, I წერილიდან)  
 ... მთიელებს საშინელ უბედურება დაატყდათ თავს; ამის უარყოფა არც შეიძლება; არადა სხვანაირად არც

შეიძლება მომხდარიყო. მათ უარი თქვეს კვილო წინადადებებზე, რომლებიც თით ხელმწიფე მიწურატორმა შესთავაზა და ამაყად იმეორეს საომარი გამოწვევა. რაიმე მოლაპარაკება უკვე აღარც შეიძლებოდა; და არც იყო ვინმე, ვისთანაც შეიძლებოდა რაიმე ხელშეკრულების დადება, ისეთი უტოლადეგებობა იყო იქ. მთიელები ძალზე ვიწროდ გვიწვედნენ წინააღმდეგობას. ისინი ჩვენს დარტყმებს რაღაც უგარანობად ხვდებოდნენ. როგორც ერთი კაცი ბრძოლის ველზე ჯარს არ ნებებოდა და თავის სიკვდილამდე მტერთაგან აუცილებლად ვინმეს გაიძლიერებდა წინ, ისე მთელი ხალხი სოფლების მეთაივერ გადებუტების შემდეგაც მთელი ადგილიდან ფეხს არ იცლავდა. ჩვენ არ შეგვეძლო გველაღება დანაწებული საქმისთვის და კავკასიის დამორჩილება მხოლოდ იმით მოგვეტოვებინა, რომ მთიელებს არ სურდოდათ დაგმორჩილებოდნენ. აუცილებელი იყო, სანახევროდ მოგვესპო მთიელები, რათა მთიევი ნახევარს იარაღი დავყარა. მაგრამ იარაღისგან მათივე ნაწილი თუ დილეუბა; დანარჩენები მოსპო შემოშლია და გაჭირვებამ. მაცარმა ზამთრებმა, რომლებსაც ისინი ტყვეებში და ფრი-ალო კლდეებზე აჭარებდნენ. განსაკუთრებით მოსახლეობის სუსტი ნაწილი დაზარალდა - ქალები და ბავშვები. როდესაც მთიელები ზღვის ნაპირას მორეცხი თურქეთში გასამგზავრებლად, ერთი შეხედვითაც კი შესამწნევი იყო არაბუნებრივად მცირე პროპორცია ქალებისა და ბავშვებისა ასაკოვან მამაკაცებთან შედარებით.

(VIII წერილიდან)

ბრილი



# ნუგზარ ზაზანაშვილი

## რატომ ივპავრებათ ადამიანებს გველები

ვაუჯ ზაერელი წერილებიდან

შეხედ, რა სიმახინჯეა: ეს თითები, კიდურები, ბანჯკვლები, მოფერებით თმას რომ ეძახიან! ანდა რა არის ეს სილაშაზის ფრადლებული ეტალიონი: 2 სმ-ით გრძელი ან მოკლე კიდურები, განიერი ან ვიწრო თუბობი, 0,5 სმ-ით გრძელი ან მოკლე, თხელი ან მსხვილი კისერი, 0,1 სმ-ით მეტი ან ნაკლები მანძილი ცხვირის ცენტრიდან თვალების ცენტრებამდე?! თითქოსდა სმ-ებში თუ მმ-ებში ცვლილება გადაწყვეტი იყოს! თითები ხომ მაინც თითებია - გრძელიც და მოკლეც, წერილიც და მსხვილიც, ან რა მნიშვნელობა აქვს, როგორია ბანჯკვლები - სწორი თუ ხუჭუჭა, შავი თუ ქერა!

ახლა გველს შეხედე, ქვეწარმავალს, უხსენებელს - არც თითები აქვს, არც - კიდურები, არც - ბანჯკვლები და რა ელევანტურია, რა მშვენიერია, რა მომსუსხველია ის! ალაბო, ამიტომაც ევაკრებათ ადამიანებს გველები - ევაკრებათ, რაშეთუ შურთ.

### აქოლიტიკური ტირიდილოგიით

სიჭაბუკისას, ახალგაზრდობისას უმცირესობას ეკუთვნი, ოპოზიციას - უფროსები გჯავნიან.

შუახნისას ისეკ უმცირესობას განეკუთვნები - ომობრივ გიტეკს უფროს-უმცროსი.

ხანდაზმულობისას კვლავ უმცირესობაში რჩები - უმცროსები მძლავრობენ.

და წვალობ ასე - ვიდრე შეუერთდები მარადიულ უმრავლესობას.

### მერ

გადაკეცივით ბევრს რასმებს გადაკეცივით

გადაკეცივით გაზეთის მოწინავეს უშიშროების ორგანოებისადმი ძრწოლას წიგნის კითხვას ტრფობას სტუმრირაობას

ბევრს შევეცივით ბევრსაც კიდევ ვერ შევეცივით

ვერ შევეცივით ვერა და ვერ შევეცივით საკუთარი თავის ვარსკვლავებიდან დანახვას.

\* \* \*

ამ მწარე ღამით დაუნდობელი სასოწარკვეთის პირას მისულმა მე-9 სათრეოლის აივნიდან უნებლიედ

თვალი მოკვარი ონკოლოგიურ საავადმყოფოს განირადღნებულ დამეულ ხომალდს

და თანდათან გაირინდა სული და ნელ-ნელა სინდისის ქენჯნა მომეძალა.

### ვიჭვობ

ვეჭვობ - მეჭვიროს ფონის სადავე, ვეჭვობ - გვირგვინი ვიყო ბუნების... მთელი ცხოვრება ვუმზერ ვარსკვლავებს, მთელი ცხოვრება სადღაც ვბრუნდები:

ზღვასთან, მიწასთან, მზესთან, წვიმასთან, თოვლთან და ქართან, მთაში და ბარში ტყეში და უღამბროში, ბერის სენაკში და ქუჩაში, წარმოსაზებაში, თეატრში, რესტორანში, სიმოვრავლში და სიფიზიფლში, სასოწარკვეთაში და ბედნიერებაში, მატარებელში, თვითმფრინავში, სასტუმროში, ბინაში, შენთან, შვილებთან, შვილიშვილებთან, შთამომავლებთან, მომავალში, სიფაწვლულში, ყრმობაში, ბავშვობაში, დედასთან, დიდდღასთან, წინაპრებთან, წარსულში...



ვეჭვობ - გვირგვინი ვიყო ბუნების... ვფიქრობ - სულ სხვაა გვირგვინიც, მეფეც... მთელი ცხოვრება სადღაც ვბრუნდები, - მთელი ცხოვრება... რა შავ ქვას ვეჭებ?

### ბრძნობის მბრძნობიანობა

ბათუმი: პორტი, თოლიები, მაგნოლიები, თეთრი გემები და შავი ყავა. ზამთრის მზე უფრო ქალურია, ახლობელია და გული მწყვდება, რომ მალე ჩავა.

და თვალებს ვხუჭავ: მზის ჩასვლა - ოღონდ უცხო პორტში







და სულ სხვა დროში,  
თეთრი გემი - ოლონდ ფორმით ლოქის,  
თუ მოგრძო ორცხობილას რომ მოვაგონებს,  
შენთან შეხედრა,  
განშორება,  
მწვანეთვალემა მკითხავი ბოშა...

ათი წლის შემდეგ ისევ შეხედვრა,  
განშორება,  
შეხედრა ისევ, -  
ეროქმანეთისკენ თავგანწირვით სვლა ბეწვის ხიდზე,  
სწრაფწარმავლობის განცდის სიმშველე -  
როგორც ჩიტის ფრენა,  
ანდა მარტის ჭირვეულობა -  
მოჩვენებითი ცვალებადობა ცის...  
რომელი მოწყდება ბეწვის ხიდს პირველი? -  
დროებითობის მომხიბვლელობა  
და მულდებიოვა გასაკვირველი!

მივიჩინო:  
ბნელია, დასვა წერტილი -  
ბოლომდე გამოუტყდე თუნდაც საკუთარ თავს -  
ალიარება ხომ = არჩევანს = პასუხისმგებლობას -  
ღრმად გავლემულ ხეულს ჰგავს, -  
მოჩვენებით უცვლელობას მიწის,  
საფლავის ჯვრის მოჩვენებით მარადისობას!

*ბათუმი, აირატი, ღამაშაპარი, საღაშოსპირი*

### სახვარლის საფლავითან

*გაუგ ზაენელი წერილებიდან*

საფლავის საფლავს ვეძებდი...  
და გაურბიხარ, ყოველ დღე, ყოველ წუთს გაურბიხარ  
ამ გაცეცხილ და მარად ახალ განცდას:  
ის არც მზერითია, არც სმენითია, არც შეხებითია,  
არც წარმოსახვითია, არც აზრისმიერია, არც ქვეცნობიერია, -  
აღმოცენებულა უფრო უბრალოდ და უფრო რთულიდან,  
თავისთავადიდან, თვით ადამიანურიობიდან და ასე  
თვალნათლივ, ასე აუტანლად ეუფლებოდა შენს არსებას,  
როდესაც ახლობლის 1-ადგილიან საფლავთან დგახარ.  
თან რაღად მანქანებით გრძობო - მსგავსი, ორი წვეთი  
წყალივით მსგავსი რამ უკვე განვიციდია ადრე, ღიძი ხნის  
წინათ, დაბადებამდე ადრე - იმ ბნელ სინოტივში.

საფლავის საფლავს ვეძებდი...

და გაურბიხარ, ყოველ დღე, ყოველ წუთს გაურბიხარ:  
ჩაფრენიხარ დედის ძუძუს, სიზმრებს აფარებ თავს,  
თამაშობ თავდავიწყებით, სასწავლებელში დღიხარ,  
ოჯახს ქნის, მუშაობ გამთენიიდან დაღამებამდე,  
წიგნებში გაქვს თავი ჩარგული, ან ფიქრობ წამოწოლილი,  
მოგ ზაურობ, მშაკაცებში ქეიფსა ხარ გადავლილი,  
ან ლოთობ მარტლდმარტო, შეძახებს დასდევ,  
ნარკოტიკებით ირანდები...

საფლავის საფლავს ვეძებდი...

### დაშანავული სიბოლო

*გაუგ ზაენელი წერილებიდან*

ეპ, დაჭანვლო ძველი "შოსკეივი", ალბათ, რა საამაფით  
დაგაქროლებდა იმედით აღსაყვ შენი პატრონი ამ ოცდაათი  
წლის წინ! რა ხშირად, რა თბილად გადმოგხედდავად ხრლემ  
ეზოში, მუხების ქვეშ მიმყდრობებულს!

ახლა... ახლა, ალბათ, თვალს გარიდებს... არც გამეტყუნება -  
მეტად ნაღვლისმომგვრელი გახდი - არახდენილი ოცნებების,  
გატრუებული იმედების, კვრმიღწეული მიხნების სიბოლოდ  
გადაქვეული.

### თეთრი ნაპრალი

სუფთა ფურცლის უძირი ნაპრალო  
იღუმალო უსასრულობავ  
მიზიდავ  
ჯვალისანივით მიზიდავ  
არა ღიძი სიზარულის დროს  
ან ღიძი მწუხარების ჟამს  
არამედ  
როცა სინანული მომეძაღება ხოლმე  
და ვეშვები  
ვეშვები  
ვეშვები  
სადამდეც ძალმიძ.

**ბრილი**



ენო უიკსნაპა

დასასრული. დასაწყისი № 6, 2000

# ზრანაფურტის ინსტიტუტი და გერმანელი ინტელექტუალები ამიგრაციაში

საგულისხმოა, რომ მარკუზე თავის ესთეტიკურ ნაშრომებში ფაქტიურად გვერდს უვლის ავანგარდისტულ ხელოვნებას, რომელიც პირობითად სიმბოლოზით - ბოდლერისა და მალარმეს შემოქმედებით იწყება. სწორედ ამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება ოტტო ვან ბარამსა მარკუზესთან საუბრისას და აღნიშნა, რომ "ისტორიულ კავშირურთიერთობათა სისტემა, რის მეშვეობითაც მარკუზე თავისი ესთეტიკური თეზისების ეგზეგეზილიციონერებას ახდენს ლიტერატურის ფარგლებში კლასიკისა და რომანტიზმიდან მოყოლებული კავკას და ბრეტის" შემოქმედებად მოდის. სწორედ ბრეტის ცნობილი "გაუცხოების ეფექტი" (Verfremdungseffekt) მიაჩნია მარკუზეს იმ მხედველად, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა თავის გადარჩენა (გაბატონებული ერთგანზომილებიანობის მიერ შიანთქისგან). სწორედ ბრეტის შემქმნა "გაუცხოების" ავანგარდისტული მეთოდის წყალობით "თეორიული საფუძველი" იმის დასასაბუთებლად, რომ თანამედროვე სამყარო მხოლოდ იმდენად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, რამდენადაც იგი წარმოდგენილი იქნება, როგორც "შეცვლადი" ანუ რასაც მარკუზემ "უარყოფითი უარყოფითობის მდგომარეობა" უწოდა.

ბრეტისესული გაუცხოების ეფექტი მარკუზესთვის იმითაცაა საგულისხმო, რომ იგი არა სულში წვდომასა და შეგრძნებას, არამედ დისტანციასა და რეფლექსიას მოითხოვს და კიდევ აღწევს ამგვარ "დისოციაციას", რამეთუ სამყარო სწორედ იმად შეიცვლება, რასაც იგი ნამდვილად წარმოადგენს.

სულში წვდომისა და განცდის ნაცვლად დისტანციას ანიჭებს უპირატესობას ადორნოც და მოითხოვს დისტანციურ დამოკიდებულებას ხელოვნების, ლიტერატურისა და განსაკუთრებით კი ტრადიციის მიმართ თავის "თეზისებში ტრადიციის შესახებ". ადორნოს კრიტიკა მიმართულია ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ გაყალბებული ტრადიციის ცნების წინააღმდეგ, რომელიც მეშვიდროების კვლავ და "სანამღვანელოებდალ" აქცევს. იგი ქმნის დავარგული ტრადიციის ესთეტიკურ სუროგატს.

ჭეშმარიტი ხელოვანი პროტესტს აცხადებს მსგავსი სუროგატების წინააღმდეგ, მაგრამ ამავდროულად თანამედროვე ხელოვნებას არ შეუძლია არსებობა ტრადიციის გარეშე, ვინაიდან მათ შორის დიალექტიკური ერთიანობაა. ამიტომაც ტრადიცია "დასაცავია, როგორც გაქრობის ფურისაგან, ისე გასათავისუფლებელია მისი არანაკლებ მითოური ავტორიტეტისაგან". ესაა ადორნოსესული ტრადიციის რეცეციის მოძღვრების ძირითადი დებულება. ტრადიციის ათვისების კრიტერიუმად ცხადდება "შესაბამისობის" (კორესპონდენტულობის) პრინციპი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ტრადიცია და თანამედროვეობა ურთიერთშუქისმომღვნი არიან. ოღონდ ამგვარი შესაბამისობა სულიერ წვდომასა და უშუალო ნათესაობას კი არ გულისხმობს, არამედ

დისტანციას საჭიროებს. ამის იდეალურ მაგალითად მას სამუელ ბეკეტის აღფრთოვანებული დამოკიდებულება ესახება თოდორ ფონტანეს რომანის, "ფი ბრისტის" მიმართ.

თავის ცნობილ ნივთში, მეტად ნიშნდობლივი სათაურით - "იდეალის გარეშე" - ადორნო უარს აცხადებს თანამედროვეობისათვის თავსამოხვეული ესთეტიკური ნორმებისა და იდეალების ცნებათა მიღებაზე. კი ნაშრომი იმის შემდეგ შეიქმნა და მიმართულია ადორნოსთავის მებდა საძლეული "მისაბაძი ნიმუშების შექმნის მანის" და დამლუბელი პრაქტიკის წინააღმდეგ. ამ ნაშრომის იდეური შინაარსი აშკარად ემხიანება ემიგრაციის პერიოდის კულტურული მემკვიდრეობის გარშემო გაჩაღებულ ცნობილ დებატებს, რომელთა პათოსი კიდევ დიდხანს, წლების მანძილზე მუხტავდა ამ დისკუსიების ყოველ მონაწილეთა თეორიულ-ესთეტიკური სურომების შინაგან განწყობას.

ადორნოს პოლემიკა მიმართულია იმ "ვულგარული სოციალოგიის" წინააღმდეგ, რომელიც ადრეულ საზოგადოებას თავის თავში დასრულებულ და მთლიან ფუნქციონირებ ნარმოსახავს. ამ თეორიის თანახმად, ხელოვნების ნიმუშსაც, როგორც ადრეული ეპოქის პროდუქტს, ოდესლაც თავისი ადგილი, თავისი ფუნქცია, თავისი ლეგიტიმაცია გააჩნდა. ამის პასუხად, ადორნო კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს როგორც გარდასულ ეპოქათა, ისე შესაბამისად მათ აშახველ-ამრეკლავ ხელოვნების ნაწარმოებს.



პროფ. პარულა ბარანსკის მიმართულია



თომას ვანი

ებთა მთლიანობასა და განონსწორებულობას, ვინაიდან ამ ნაწარმოებთა მეშვეობით მხოლოდ ზედაპირი და არა თავად არსი ხდება ხილული. მათ ენიჭებათ მიწვევებით, "ზედინური დაცულობის იერი", რაგან "ძველი ტანჯვა მათში უშუალოდ უკვე ვეღარ ამოკითხება, როგორც თანამედროვე საშუაროს ტანჯვის შიგრი".

უფრო გვიანდელ "ლია ნერილიზმი როლდ ჰობსპუტი-სადმი", რომელსაც ადორნი გვირგ ლუკაჩიანს თავისი კონტროლერის უშუალო გაგრძელებად განიხილავდა, მან ეს თეზა კიდევ უფრო მკვეთრად ჩამოაყალიბა. ადორნი თვლის, რომ ლუკაჩის მიერ ოდესღაც გონიერებით აღსავსე დროე ნაქებ შუა საუკუნეებში ბევრად უკეთ არ იყო საქმე ვიდრე დღეს. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირი იერიშის მიტანას ნიშნავდა ლუკაჩის ტოტალიტარობის ცნებაზე, რომლის თანახმადა სინამდვილე, ყოველი საზოგადოებრივი წყობა (კაპიტალისტური კრიზისის ეპოქის, როგორც კაპიტალიზმის გამოვლინების ფორმის ჩათვლით) ერთ მთლიანობაში განიხილებოდა.

ლუკაჩისებულ ამ დებულებას კიდევ ერთი მოდავე ჰყავდა. ეს იყო ერნსტ ბლოხი, რომელიც უარყოფდა კაპიტალიზმის თანამიმდევრულ დადარსებულ სინამდვილედ გაგებას მისი კრიზისობრიობის გამო. შვედისადმი მიძღვნილი ნიგნის ავტორის, ლუკაჩის, თეორიის იდეა-თანამედროვე ელემენტს ერნსტ ბლოხი მთლიანად, უწყვეტ "ტოტალიტარობის" ცნების აბსოლუტიზაციაში ხედავდა, "რამაც საუკეთესოდ იხარა როგორც იდეალისტურ სისტემებში, ისევე კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიაში".

ლუკაჩის ესთეტიკური თეორიის ტოტალიტარობის ცნების აბსოლუტიზებას კლასიკური მეშვედროების, როგორც იდეალის ჰიერტროფირება მოჰყვა, ხოლო კულტურული მეშვედროება კი ერთგვარ პროკურსტეს საწილად იქცა თანამედროვე ხელოვნებათვის. ეს ცხადია რადიკალურად დაპირებული იყო ბრეტსისეული ტრადიციის რეცეფციის მოვლერებისაგან, რომლის თანახმად, კულტურული მეშვედროების ათვისება წმინდა თეორიის ფარგლებს სცილდებდა და რეკოლუციურ-რადიკალისტურ არსს იძენს, ხალხის მიერ კულტურული სიმდიდრის დაფუძვლა ბრეტსის "ექსპროპრიაციის აქტთანაა" გაგვიტყობს. ამრიგად, მუდამ საომრად შემართული ბრეტსი ბრძოლის ერთი ანტიპოდი, დაუტრინიბელი ცნერგითი უტყვედა ხან ლუკაჩს, ხან "ფრანკფურტსტებს", ხანაც თომას მას. თავად ემიგრანტული წერვიული ატმოფერო კი საუკვეთისო სულიერი კლიმატს ქმნიდა კამათის, დისკუსიისა და კინკლაობისთვისაც კი.

ალბათ მხოლოდ დაბადებებიდან წარმატებისა და აღიარებისათვის "განრიული" კაცის შინაგანი განონსწორებულობა, თვითრწმენა და საკუთარი სიტყვის ქმშარიტი ფასის გაცნობიერება იცავდა თომას მასს ემიგრაცი-

ის წლებშიც კი ცთუნებისაგან, აყვოლოდა წერილმან ინტრიგებსა და მიტიქა-მოტიქას. მას არასოდეს გაუფუჭებია ურთიერთობა იმ ეპოქის ისეთ ავტორიტეტულ და გავლენიან მოაზროვნესთან, როგორც გვირგ ლუკაჩი იყო. პირიქით, იგი უწყრელი ფილოსოფოსისათვის ბოლომდე რჩებოდა თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს და უწინშეწლოვანეს მწერლად. ძალიან კარგ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა მანი კალიფორნიაში ყოფნისას თეოდორ ადორნოსა და მასქ შორკჰაიმერთანაც. სწორედ მათ, განსაკუთრებით კი ადორნოს, მიუძღვნა მწერალმა თავისი "რომანის რომანის" ანუ "დოქტორ ფაუსტუსის" შექმნის ისტორიის თითქმის მთელი ქვეთავი.

ადორნი, რომელიც თომას მანის მეზობლად ცხოვრობდა ლოს ანჯელესში, "დოქტორ ფაუსტუსის" ავტორისათვის ამ რომანზე მუშაობის მანილზე ერთგულ ხელშეწყობად, მრჩეველად, თანამოაზრედ, ხელმძღვანელად რჩებოდა. სწორედ ადორნოს ნაშრობმა, "თანამედროვე მუსიკის ფილოსოფია", რომელსაც თომანმა "უადრესად პროგრესული, სიტუაციის არტიკულ-სოციალოგური კრიტიკა" უწოდა, დააწარმნა მწერალი, რომ მან ბოლოს და ბოლოს ის კაცი იპოვა, ვისაც ასე დიდხანს ეძებდა "დოქტორ ფაუსტუსზე" მუშაობისას. ეს ნაწარმოები სიმისივე თქმით, ბევრად მეტი იყო ვიდრე მხოლოდ "რომანი მუსიკაზე", ვინაიდან იგი "ზაფიერებელი იყო, როგორც რომანი კულტურაზე და ეპოქაზე; ამ ნიგნის მრავალი მონაკვეთი მთლიანად ადორნოსებულ ანალიზს" ეწყარება და აღბნ ბერგის ამ ყოფილი მონაწილადმი თავისი "მადლიერების ფარული გამოხატულების ნიშნად", მან, "პოეტური სიტყვიერების" მეშვეობით, რომანის IX აპიტი ადორნოს მამის გავრი - "ვიზენტინზე" - ამოჯივრდა, რომელიც 1944 წლის დამდეგს მასთან მოპატივევებულ მასქ შორკჰაიმერსა და ამ საქმიური ტულის სიღრმემდე შერძულ ადორნოს მოახმენდა, რაზეც გულაწუყებულმა ადორნომ განაცხადა: "მთელი ღამე შექმლო მესამინა".

თეოდორ ადორნი თომას მანის თქმით, ისეთივე "უკარება, ტრაგიკულადბრძოლი და გამორჩეული გონების" მოაზროვნეა, როგორც მისი ბიამეფილი, "გერმანული ტრავადიის" შესახებ "გასაორხრად გამჭრიახი და ღრმა ნიგნის" ავტორი, ვალტერ ბენიამინი, ვინც მომდევნო თაობებს "დეკორიის ფილოსოფია და ისტორია" დაუტოვა. ვალტერ ბენიამინის (მან 1940 წელს სასიცხების ხელში ჩაგარდნის შიშით თავი მოიკლა) თეორია სწორედ იმ სულიერი ტრადიციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რასაც იურგენ შპეტერმასმა ასე უხუტი სახელი: "ებრეული ფილოსოფოსთა გერმანული იდეალიზმი" - მოუქვება.

საქმე ისაა, რომ გერმანულ კლასიკას, პირველ რიგში კი გოეთეს სიმბოლიკურ ფიგურას, ებრაელობის ორმაგი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მისი წყალობით ებრაული ინტელექტუალი არა მარტო ასიმილაციას აღწევდა, არამედ ამ ეცნომენს ზიარეული თვითინტერობობასაც ინარჩუნებდა. "ალბათ ამიტომაც უმადლით სწორედ მათ ყველაზე უფაქვეს ესთეტიკურ განსჯას: როზენკრანციანდ და ზიმიერდამ მოყოლებული, ბენიამინსა და ლუკაჩამდე, ვიდრე ადორნომდე" - წერს შპეტერმა.

მართლაც ძნელია გერმანული ფილოსოფიის წარმოდგენა ამ სახელების გარეშე. ადორნოს, ამ ნახევრად მუსიკოსისა და ნახევრად ფილოსოფოსის ფენომენი კი ორმაგად შეესაბუნება თომას მანისეულ იდეალს, რომელიც მან ოდესღაც თავის უსაყვარეს ფილოსოფოსში, მეტად "მუსიკალურ" არტურ შოპენშაუერზე დანიხა, ვინ "ეთეკურ-ჰეიმიისტიკური სიცოცხლის ატმოსფეროს" აუცილებელ შემადგენელ ნაწილს მუსიკა წარმოადგენს. ალბათ თომას მანის დარბა-სეშპაშა შოპენშა-

საბავთისეული  
06.06.2020  
გ.გ.ა.შ.ო.მ.ე.მ.ა.ს.

უერისაგან ესოდენ განსხვავებული მოაზროვნის მიმართ იმითაც იყო განპირობებული, რომ ეს "არამეცნიერული კაცი მთელი ცხოვრების მანძილზე უარს აცხადებდა გაეკეთებინა პროფესიული არწევანი ფილოსოფიისა და მუსიკის შორის. მეტად ცხადი იყო მისთვის ის, რომ ორივე განსხვავებულ სფეროში, არსებითად ერთი და იგივე მიზანს ესწრაფოდა". მისი "დიალექტიკური აზროვნების წესი და საზოგადოებრივ-ისტორიული ფილოსოფიისადმი მიდრეკილება" თომას მანისთვის ბედნიერად შეზამებულია "მუსიკისადმი თავდაუცუბულ სიყვარულთან".

ამრიგად, ბრექსიტსგან განსხვავებით, თომას მანს ურთიერთობა არ გართულებია 30-40-იანი წლების კულტურფილოსოფიური დებატების არც ერთ მნიშვნელოვან მონაწილესთან. ფრანკფურტის ინსტიტუტის მესვეურნი - შორკჰაიმერი და ადორნო - კი მისი სწორი სტუმრები იყვნენ. ურთიერთობა მოგვიანებით, უკვე თომას მანის გარდაცვალების შემდეგ დაიძაბა მის ოჯახის წევრებსა და ფრანკფურტის ინსტიტუტის ტახტის მემკვიდრეს, იურგენ შაბერმასს, შორის. 70-იანი წლების მეორე ნახევრის შაბერმასისეულ პოლემიკურ ნაწერებში ძალიან სწორად ფიგურირებს თომას მანის ვაჟის, გოლო მანის, სახელი იმ "მართლმოაზროვნე პროფესორთა კარტელის" წევრთა შორის, რომლებიც თავის კონსერვატიულ, რეაქციულ "საფეო საქმიანობას" მისდევდნენ და მოხარდ თაობაში კრიტიკული აზროვნებისა და განსჯის უნარის ჩაკვლას ესწრაფვიან. თავად გოლო მანის, როგორც ისტორიკოსის წერისა და აზროვნების წესი და ფორმა (რაც თავისთავად ამჟღავნებს თომას მანის ენის ანაბეჭდს წარმოადგენს) შაბერმასს XIX საუკუნის დროშობილი "მოთხრობითი ისტორიოგრაფიის" უბრალო გადაძვრებულად მიაჩნია, რომელსაც ფსევდო-მეტაფორიკის სიჭარბისა და სოციალურ-მეცნიერული ტრამინოლოგის უგულუბელოფის გამო აკლია მკაცრი არგუმენტირებულობა, მკვეთრი კონოტაციები და უფრო დიდი განამარტებითი შესაძლებლობანი.


კრიტიკული თეორიის ტრადიციის გამგრძელებელთა და კონსერვატორებად მონათლულ მეცნიერთა ამ შეზღუდულ შემოხლას ერთგვარი გამოსახლის პოვნა შესაძლებელი სწორედ 70-იან წლებში გამოქვეყნებულ (1974) კატია მანის ნიგში - "ჩემი დაუწერელი მემუარები". ამ "დაუწერელი მემუარების" საბოლოოდ დაწერის მთავარი ინიციატორი სწორედ გოლო მანი იყო: "ჩვენ სულ გვიხდოდა დაგვიყოლიებინა დედა ცოტა უფრო მეტად გამოჩინილიყო საფაროდ", აცხადებს იგი, რაზეც გენიალური კაცის ქვერივი თურმე მუდამ ვჯოტდამ უარს აცხადებდა, ვინაიდან არ სურდა გამხდარიყო "veuve abusive" ანუ "mibrauchtreibende Witwe" ე.ი. მუდღის სსიგნის "ბორთვად გამოჩინებული ქვერივი", ბოლოს და ბოლოს შიე-ლიბა მოაზერებს დედის სიჯიუტის დაძლევა და საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა სრულიად სხვა მხრიდან გასცნობოდა თომას მანს. მკითხველს შეუძლია ძიეღვა ამ ნიგის ტუქტუტანიად შიეჭერტის შიურყვეულ კე-თილდეღობას მიჭვეული ბიურგერის ფეშენებელური საცხერებლის საშუალო ან სასტუმრო ითახში, სადაც ვინ აღარ იყრდა თავს. ბეგრი შიეგანი იყო გადაღურმა კატია მანის ბრონიულ შიერას. ამ მხევილბრონიერი ქალის საკარპზის განსაკუთრებით საბატორი მხევერბოლა შორის აღორნო და შორკჰაიმეროც აღმოჩნდნენ. კატია მანმა სი-ცოცხლის ბოლომდე ფურ აბატია ადორნოს ის, რომ იგი ლამის "დექტორი ფაუსტუსის" ავტორიბაზე თავებდებდა პრეტენზიას და თომას მანთან საკუთარი თავის იდენტი-ფიკაციის ახედნდა მანის ქვერივი ისხენეს იმასაც, თუ რიგორ დაუყენებთ მოითხოვდა ადორნო "დექტორ ფაუსტუსის" ავტორისაგან მისი და შორკჰაიმერის ერთობ-



ტომას მანი

ლოც ნაშრომზე - "განმანათლებლობის დიალექტიკა" - გამოხმობურების გამოქვეყნებას "ნოუ ორიჯ ტაიმსში". ბოლოს და ბოლოს თომას მანმა თურმე თავის ვაჟს, გოლოს, სასოხვა გამოხმობურების დაწერა იმ სახაზით, რომ სხენე-ბულ ნაშრომს ვერაფერი გაუგო. კატია მანის ცნობით, რეცენზია დაუწერია გოლო მანს, რომელიც "ნოუ-ორიჯ ტაიმსს" თომას მანის ხელმოწერით გამოქვეყნებდა. ამ პატარა ინტელექტუალურ-ოჯახური საიდუმლოს გამომ-ხეურება ლამის წინაპართა შიგინებას უდრდა კრიტიკუ-ლი თეორიის მიმდევართაგან და ისედაც კონსერვატორ-თა და ანტიგანმანათლებელთა სიაში ჩაირიცხულ გოლო მანს, მათ რიგებში მეგობართა რიგებს ვერ გაუზრდობდა.

ამრიგად, მისი სახელის გარშემო ბატხილი წერილ-წერილი ინტრიგები, უთანხმოებანი და კინკლაობა მთე-ლი სიციფობის მანძილზე ფაქტურად არ შეხებია თო-მას მანს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საოცრად ძლიე-რი იყო იმის შიგინება, რომ ევროპულმა ბუდგანკუთენი-ლობამ მას ამ ბუდის მიძიე უღლის ზიდევა არგუნა წი-ლად ევროპის ბუდი კი მისი კულტურის რთული და გა-სურკვეველი ხვედრით განისაზღვრებოდა. ამიტომაც კაც-ვისაც ევროპამ მისთვის ეკვლია ტრავაგილე, ყოფნა-არ-ყოფნის მომენტში საკუთარი კულტურის ბუდი ანდი, ბო-ლომდე შიერა შეგნებული დუკირებულ მისიის არა-ორდინარულობა, რასაც კიდეც უფრო ამბაფერება იმის განცნად, რომ სწორედ მისი სამშობლოს, მისი "წარმოშე-ლობის ცოფორიული ქვეყნის" წყალობით აღმოჩნდა ევ-როპა და საერთოდ მიეღი დასავლური კულტურა ესო-დენ სავალლო მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ ახდენს ნაროშლელ, გამოთვნებულ შიეაბეჭდილებას თომას მანის ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში (მაგალითად, "დექტორ ფაუსტუსში") კონტრასტი წმინდა გერმანულ ფაქტურასა და შიერლის სრულიად სანინაბამდეგო განწვიანას ანუ უღუდასაკვიბორი იდეალისტადმი ერთოთხების გაცხე-ლებას შორის. ესაუ უთიავრესი მიზეზი იმისა, რომ თო-მას მანის შიეოქმედევა, კულტურისა და ცივილიზაციის ურთულეს ურთიერთგმობრთებთან გარკვევას რომ ესა-ხურებოდა, იმ დიდი გზის ერთგვარ შეჯამებად იქცა, რაც განვლო ევროპულმა კულტურამ.



# რაიმონდ პარვერის სამი ცხოვრება

ლეტებსა და ქურთუკებში გამოწყობილ ახალგაზრდებს", - იხსენებს იმ წლების სან-ფრანცისკოს, კონტრკულტურის შტაბ-ბინას, მწერალი ჯიმი ჰიუსტონი, რომელიც სწორედ კალიფორნიაში დაუახლოვდა კარვერს.

კარვერი, თავისი მკაცრი ჩრდილო-დასავლური ხასიათის გამო, "შორცხვი დათვის" შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი გარეგნულადაც ვერ თავსდებოდა ცხოვრების კალიფორნიულ სტილში. იგივე ჰიუსტონი აღნიშნავს, რომ კარვერი ჩაცმულობითაც კი განსხვავდებოდა ფრისკოს ბოჰემისგან: "შავი შარვალი და თეთრი პერანგი ეცვა ხოლმე და მთლად კონსერვატორს დაემსგავსებოდა, ერთიც და მეორეც ძალიან დაკუჭული რომ არ ყოფილიყო". და მაინც, სწორედ კალიფორნიაში, ამერიკის ამ საგვიმთა (თუ "ოტელმა") ჩაითრია კარვერი თავისი ცხოვრების ქაოსში.

იგი სან-ფრანცისკოს მახლობლად, დაბა არკატაში დასახლდა თავის ორ შვილთან და მუულელსთან, მერიანთან ერთად, ვისზეც მან 16 წლის ასაკში იქორწინა. ურთიერთობები ოჯახში სულ უფრო იძაბებოდა, მატერიალური მდგომარეობა უარესდებოდა. რეი ვერც შემოქმედებაზე ახდენდა კონცენტრირებას და პრობლემების მოგვარების ერთადერთ საშუალებადაც კოლ-ქმრისთვის სასმელი იქცა. ამის მიუხედავად, კარვერი შიგადაშიგ ასერხებდა ხოლმე მუშაობას, ბევრს კითხოლობდა, დადიოდა საშენროლ კურსებზე. მის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა 60-70-იანი წლების სახელკანთქმულ ამერიკულ რომანტისთან, ჯონ გარდნერთან დაახლოვებამ (1933-1982). იგი საშენროლ სტუდიას ხელმძღვანელობდა ჩიკოს კოლეჯში, სწორედ მან გააცნო დამწყებ ნოველისტს ჟანრის კლასიკოსა ნანარმოებები - კონრადის, პორტერის, ბაბელის, ჩეხოვის - და საკუთარ თავში დაარწმუნა ახალბედა შემოქმედი. "კარგი ლიტერატურული მასალებელი ლიტერატურული სინდისივითაა" - ამბობდა კარვერი და დასძენდა, რომ გარდნერი სწორედ ასეთი მასწავლებელი იყო. მისი ტრაგიკული დაღუპვის ამბავის კარვერისთვის, ისევე როგორც მისი თაობის სხვა მწერლებისთვისაც, მძიმე დარტყმა იყო.

\* \* \*

კარვერის პროზა პირველივე ფრაზიდან გვეცვივრებს თავისი სისადავით. მისი დიალოგების საფუძველი მოკლე რეპლიკებია, თანამედროვე ამერიკელთა მეტყველება. კარვერის მიხედვით ბევრს სალაპარაკო ინგლისურის სწავლება შეუძლია. არც სიუჟეტები გამოირჩევა განსაკუთრებული ორიგინალობით და ამიტომაც რეცეპტუნტები თუ ლიტერატურის მიმოშილველები ამერიკაში კარვერს "მინიმალისტს" უწოდებდნენ და მის შემოქმედებას 70-იანი წლების ბოლოს მუსიკაში, ფერწერაში და ლიტერატურაში განვითარებულ ამ მიმდინარეობასთან ახალბედადნენ. მინიმალისტები ლაკონიზმისკენ, სიცხადისკენ ისწრაფვოდნენ და მინიმუმამდე დაჰყავდათ გამოშხავლებილითი ხერხები, უარყოფდნენ ნებისმიერი სახის დეკორატიულობას.

გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, კარვერს უთქვამს: "ბედნიერი კაცი ვარ, მე ხომ ორი ცხოვრებით ვიცხოვრე"-ო, და ამ ორ ცხოვრებას შორის ზუსტი ზღვარიც გაუფლია - ზუსტი თარიღი დაუსახლებია, 1977 წლის 2 ივლისი. ამ დღეს რაიმონდ კარვერი, მეტისმეტი ლოთობისგან კომაში ჩავარდა: "თითქოს ძალზე ღრმა ჭის ფსკერზე აღმოვნიდი" - იგონებდა იგი. ექიმებმა მოახერხეს მისი გადაარჩენა, კარვერს კი ამის შემდეგ წვეთი სპირტიანი აღარ დაუღვია.

მწერლის "შეორე" ცხოვრება დიხანს არ გაგრძელდებულა, მხოლოდ თერთმეტი წელი, 1988 წლის 2 აგვისტოს იგი ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა, მაგრამ სწორედ თავის ამ "შეორე" ცხოვრებაში მიადნია მან დიდ წარმატებას.

რაიმონდ კარვერი 1938 წლის 25 მაისს დაიბადა, პატარა ქალაქ კლეტსკენში (ორეგონის შტატი), აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთით. ბავშვობა იაკიმში (ვაშინგტონის შტატი) გაატარა - აქ მამამისმა ხერხების მოღვაწის ადგილი იშოვა ხის გადაამაშუმებელ საამქროში - და იქვე დაამთავრა სკოლა 1956 წელს. უსახარისგანი გამოსწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და ბევრი ამერიკელი მწერალივით ისიც იძულებული გახდა, პურის ფული მძიმე შრომით ეშოვა.

1961 წელს იგი კალიფორნიაში ჩავიდა, ამერიკელი ნონკონფორმისტების დასავლეთ "შეტაში" (აღმოსავლეთი ნიუ-იორკი იყო). "ქუჩები სავსე იყო ბუნდუნინი ტიპებით, ზოგს ფართოფარულბინი ქუდეები ეჭურა თავზე, ფეხზე კი მოკასინები ან რომაული სანდლები ეცვათ ტყავის ფი-



რამონდ სანდერი ტან პალატიანის პორტრეტი

მაგრამ ნებისმიერი დიდი მწერლის შემოქმედების მასშტაბისა და არსის გასაკრვევად ამა თუ იმ ტერმინის მოხვედრა არ ხდება ხოლმე საკმარისი. "როგორც არ უნდა ვცადონ, კარვერის ნაწარმოების საიდუმლო მაინც ხელუხლებელი რჩება" - სამართლიანად შენიშნავს ნიჭიერი ამერიკელი პოეტესა ტეს გალაპერი, რაიმონდ კარვერის ქვრივი.

მართლაც, კარვერის უზრალო, ყოფითი ისტორიები გვანცვივრებენ თავიანთი სიღრმითა და იდუმალებით, მის მიერ აღწერილ სიტუაციებს ავტორმა ადამიანური ურთიერთობების "ეროზია" უწოდა, ოჯახის რღვევას და ურთიერთგაუცხოებას ფორმალობამდე დაჰყავს ყველაზე ახლომდე ადამიანებს შორის ურთიერთობაც კი, იწვევს გრძნობათა ატროფიას და ემოციური რეაქციების მოდუნება გზას უზსნის ცინიზმსა და ძალადობას. მაგრამ კარვერი არ "ამხელს" თავის პერსონაჟებს, არ ცდილობს ირონიით "განგმიროს" ისინი; ამით განსხვავდება იგი იმ ეპოქის სახელგანთქმული ამერიკელებისგან - ჯონ ბარტისგან, ჯ.ა.კოინლივისგან და ტ.პინჩონისგან. იგი არაა "მოზეიმე ნიჰილისტი", თავის გმირებში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ტკივილს გვაყენებს და გარეგნულად თავშეკავებული ინტონაციების მიღმა ნუხილსა და თანაღმობას გულსჩხმობს.

ფრანსუა ლაკანი, კარვერის პროზის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი, აღიარებდა, რომ როცა მწერლის ფოტოსურათი ნახა, მისთვის დამახასიათებელი სერიოზული, ყურადღებიანი და კეთილი გამომეტყველებით, იგი მიხვდა, რომ უპატიებელი შეცდომა დაუსვა: "ეს ნიგნი ირონიული ტონით ვთარგმნე, ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანი კი არასდროს დააყენებდა თავს პერსონაჟებზე მაღლა" და ლაკენმა ნიგნი ხელმეორედ თარგმნა.

კარვერის მოთხრობები საერთო გასაჭირზე მოკვიბითობენ, ჩვეულებრივი ადამიანის სულიერ პრობლემებზე

და არა იმ სოციალურ ძვრებზე, რომლებმაც შესაძლოა ამ კრიზისიდან გამოიყვანოს ადამიანი. "წერდე და ამავე დროს, იყო კეთილი" - ასე ეწოდებოდა რეჟისორ ჯონ უოკინშოს დოკუმენტურ ტელევიზიულ კარვერის შესახებ, რომელიც პირველად აშშ-ის ტელევიზიით აჩვენეს 1993 წელს. ამ ფილმის სახელწოდება ძალზე ზუსტად განსაზღვრავს რაიმონდ კარვერის შემოქმედებით კრედოს, ვისი "შესაბამე ცხოვრებაც" სწორედ ამის წყალობით დაიწყო. 1988 წლის აგვისტოს შემდეგ - როცა იგი ვაშინგტონის შტატის პატარა ქალაქ პორტ-ანჯელესში დაკრძალეს, ქალაქში, სადაც თავის მეორე მეუღლესთან, ტეს გალაპერთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად - კარვერის ათეულობით ნიგნი გამოვიდა და ზოგი მათგანის ტირაჟი მილიონსაც კი აღწევდა. მის შემოქმედებას სკოლებში სწავლობენ, უნივერსიტეტებში, თანამედროვე ამერიკული სიტყვიერების კურსებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კარვერის შემოქმედებას. რობერტ ოლტმანმა 1993 წელს დიდი, სამსაათიანი ფილმიც გადაიღო კარვერის მოთხრობების მიხედვით, რომელმაც იმავე წელს მთავარი პრიზი მოიპოვა ვენეციის კინოფესტივალზე. ყოველ წელს გამოდის ნიგნები მის შესახებ. 1991 წელს სემ ჰალბესტის რედაქციით გამოვიდა კრებული "როცა ესაუბრობ კარვერზე" და "ვიგონებ რეის: კოლექტიური ბიოგრაფია" (უილიამ სტელისა და მორინ კეროლის რედაქტორობით, 1993). გასულ წელს რამდენიმე ჟურნალში ლამის ერთდროულად დაიბეჭდა მწერლის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები.

დაბოლოს, თუ არ ვცდებით, ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა რაიმონდ კარვერის ნაწარმოები, იმედი გვაქვს, ეს მოკრძალებული ცდა კიდევ უფრო გააღვივებს ინტერესს ქართველ მკითხველში, ხოლო მათ, ვისაც ხელი არ მიუწვდება კარვერის ამერიკულ გამოცემებზე, ვურჩევთ 1987 წელს "ინოსტრანიაა ლიტერატურის" ბიბლიოთეკის" სერიით გამოსული კრებული ნაიკითხოს.

ბ რ ი ლ ი



### რაიმონდ კარპი



კაცმა სამზარეულოში ერთხელ კიდევ დავისა და ეზოში საძინებელი ავეჯის გარნიტურს ვახედა. ორი ბალიშის გვერდით ზანრები შიფონერზე ზოლებად ელაგა. ყველაფერი ისე იყო, როგორც საძინებელ ოთახში:

ტუმბა და ლამაზი კაისის მხარეს, ტუმბა და ლამაზი ქაღალის მხარეს. კაისის მხარე, ქაღალის მხარე. კაცი ამბავზე ფიქრობს და ვისკის წრუპავს:

სანოლის ქვემოთ, ორიოდ ნაბიჯის დაშორებით შიფონერი დგას. დღეს დღისა შიფონერის უფერებიდან კაცმა ყველაფერი მუყაოს კოლოფებში ჩაყარა და კოლოფები ახლა სასტუმრო ოთახში ანყვია. შიფონერის გვერდით გადასატანი ელექტროგასათბობებია ჩადგმული. სანოლიან ხელით ნაკერი ყურთბალიშებშიან როტანგის სავარძელი დგას. გასასვლელის ნაწილი ალუმინის სამზარეულოს ნაკრებს აქვს დაკავებული. მუსლინის დიდი, ნაწუქარი სუფრა მაგიდას აქეთ-იქით ჩასთრევს. მაგიდაზე ყვევილის ქოთანის, სუფრის ვერცხლეულით სავსე ყუთი და ასევე ნაწუქარი ფირსაკრავია. ყავის მაგიდაზე უშველებელი დასაკიდი ტელევიზორი ისვენებს. მისგან რამდენიმე ნაბიჯზე დივანი და ტორშერი, სანური მაგიდა გარაჟის კარზეა მიდგმული. ზედ ქურჭული, კედლის საათი და ჩარჩოში ჩასმული ორი ოფორტი დევს. გასასვლელი საათითაოდ გახეხებში საგულდაგულოდ გახეხული ჭიქებით, ფინჯებით და თევშებით დატენი-

# რა, არ ცეკვავით?

ლი ყუთებია ჩამწკრივებული. დღეს დღისა კაცმა კარადიდან ყველაფერი გამოხვეტა და მიუღი ბარგი-ბარხანა, გარდა ოთახში დარჩენილი ორი ყუთისა, ახლა ეზოშია გამოყრილი. კაცმა დამბარძელებელი დაჭიმა და ყველა ელექტრომონოციბილობა ჩართო. ელექტრომონოციბილობები აქაც ისე მუშაობდა, როგორც სახლში. ზოგჯერ ვიღაც მანქანას დამუხრუჭებდა, ხალხი გამსტერებული იყურებოდა, მაგრამ არავინ ჩერდებოდა. არც მე გაჭყურდებოდი. - გავიფიქრა კაცმა.

- ავეჯს ალბათ ყიდიან, - უთხრა გოგომ ბიჭს.  
გოგოსა და ბიჭს პატარა ბინის მიწყოება უნდათ.  
- მოდი, გავიგოთ, სანოლში რამდენი თხოვლობენ, - უთხრა გოგომ.  
- შეზღონებოც, - თქვა ბიჭმა.  
ბიჭს მანქანა შესასვლელში შეჰყავს და სამზარეულოს მაგიდის წინ აჩერებს.

ბიჭი და გოგო მანქანიდან გადმოდიან, ავეჯის თვალსერებას იწყებენ. გოგო მუსლინის სუფრას სინჯავს, ბიჭი ბლონდერს როზეტში ურჭობს და "ფარშზე" აყენებს. გოგო კედელზე ჩამოსაკიდ სანის იღებს, ბიჭი ტელევიზორს რთავს და ონდავ ასწორებს.

მერე საყურებლად დივანზე ჯდება, პაპიროსს უკიდებს, მიხედ-მოიხედავს და ასანთის ნაწეს ბაღახებში ისვრის.

სანოლზე ჩამომჯდარი გოგო ფეხსაცმელს იძრობს. ზურგზე ისე წევბა, თითქოს ცაზე ამწუთის ვარსკვლავი უნდა დაინახოს.

- მოდი, ჯეკ, სანოლი გასინჯე, აგერ, ბალიში აიღე და მიოდი.  
- როგორია? - ეკითხება ბიჭი.  
- მოდი და თვითონ გასინჯე.  
ბიჭმა უკან მიიხედა. სახლი ჩაბნელებული იყო.  
- უჩერებოდა, - თქვა მან, - ჯოხია გაიხედო, ვთქვათ სახლში ვიღაც არის.

გოგო სანოლზე ხტუნაობს.  
- ჯერ გასინჯე, - ამბობს იგი.  
ბიჭი სანოლზე წევბა და თავქვეშ ბალიშს იღებს.  
- რას იტყვი? - ეკითხება გოგო.  
- ჩემთვის მგაგარია, - პასუხობს ბიჭი.

გოგო ბიჭისკენ ბრუნდება და

ხელსაგულს ლოყავზე ადებს.  
- მაკოცე, - უთხრა გოგომ.  
- მოდი ავდგეთ, - თქვა ბიჭმა.  
- მაკოცე, - უთხრა ისევ გოგომ.  
თვალეებს ხუჭავს და ბიჭს მკლავებში იმწყვდევს.  
- ნავალ, ენახავ, სახლში ხომ არავინაა, - ამბობს ბიჭი.  
მაგრამ სანოლზე ნამოჯდება და ისეთ სახეს იღებს, ვითომ ტელევიზორს უყურებს.

სწორად ლაპარაკობენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვენიზაციის აუცილებლობაზე. საქმე, უფრო რეალურ ისტორიის დაბრუნებას უნდა შევხებოდეთ, და არა მოდერნიზაციას, ის რეალური ისტორიული გარემოს გახსენებას, რომელშიც ჩვენ ყველანი ცხოვრობთ, რეალური ვითარებებიდან განდგომის კომფორტზე უარის თქმას. ამ თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოება რომ დიდწილად მიტოვებულია და მრწამსი ცალკე რჩება, ხოლო რეალური ადამიანის ცხოვრება - ცალკე ბევრ განმარტებლს არ უნდა საჭიროებდეს ამის მავალითა ის ლეგალიზებული ბოროტებანი, რომლითაც გაუყენილია ჩვენი ყოფა: საზოგადოების ყველა ფენაში გამჭადარი კრიმინალური იდეოლოგია, ყოველგვარ სახლებებს გადაცლებული აზარბულდოვანთა პროსტიტუციის, სოციალური მუქიანობის კულტი, ტოტალური კორუფცია, აგრესიული უყენება, თაღლითობისა და სიყრვის ბატონობა, ნარკომანია და ლოთობა. ყველაფერი ეს ჩვენი რეალური სოციალური გარემოა, ის გარემოა, რომელიც დიდ მუშაკობას მოითხოვს და თანაც სწორედ რომ სასულიერო პირისაგან. და როდესაც იგი თავის საქმეს არ აკეთებს და ამპარტაცულად მოურთდება ადამიანებს, თავად ეახლონ მას, როდესაც იგი თავისი ქცევის წესით თითქმის არაფრით გამოირჩევა რიგითი ტექნიკური ქართველობისაგან, მაშინ სწორედ სექტანტები იკავებს იმ მისიონერულ ნიშას, რომელიც ჩვენს სასულიერო პირს უნდა დაეკავებინა. და იმის გაზარების ნაცვლად, თუ რა ხდება და რატომ იკავებენ ამ ნიშას სექტანტები, ჩვენი სასულიერო პირების დიდმა ნაწილმა გამოსავალი დაინახა იმ-ში, რომ შესაბამისი კანონმდებლობით ეკლესია პოლიტიკისა და უშიშროების მუშეებს ამოავაროს.

სრულიად კატეგორიულად შეიძლება თქმას: თუ ეს მოხდება, თუ მართლმადიდებლობის დაცვის გარანტია გახდება კეისარი და მისი მინიერი ძალაუფლება, საქმე მხოლოდ საეკლესიო ცხოვრების სიმულაციასთან გვეყენება და ქართული რეფორმაციაც გარდუღავლად მოგვიკაუნებს კარზე.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვხეხებთ არც დავმატიკას და არც ენის პროპაგანდას. უკანასკნელზე ვიტყვი, რომ როდესაც საეკლესიო ენის ახალ ქართულზე გადმოტანას მოვიხსოვო, უნდა გაეთვალისწინოთ, რომ იოლად შეიძლება დაიკარგოს ის იდეალება, რომლის შენარჩუნებაც წინდა წერილის პირველი მთარგმნელების დიდი ძალისხმევით მოხდა. არც არქიტექტურის ვესებიც, თუნდაც კი ძველი ფორმებისადმი ერთგულად ზოგჯერ, მეტი რომ არ ვთქვათ, პარადიქსულ სახეს იღებს. ამის დასტურია ის ქონტრუებიანი გალანები, რომლებსაც ახლადნაგებ ეკლესიებს შემოაგებენ ხოლმე და რაც რეალური ისტორიიდან გაქცევის მცდელობის ძალზე რუსტ სიმპტომად გვეჩვენებს. ვესებიც მხოლოდ ერთს: საეკლესიო პირთა დიდი ნაწილის მცდელობას, არ ეყენენ იმ სამყაროს მონაწილენი, რომელშიც მთელი ქართული საზოგადოება ცხოვრობს. აქ მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ სადაც ჩვენ არა ვართ, იქ უთუოდ ეკატონობის მტერი მოიძებნის თავის ბუფეს.

კრიტიკა



ზ. ღაზიშვილი

# თაბაში ყალბი მარბალიტაბი



ქართულ მეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა მწვალებლობა და ერთგულ მიღებული სარწმუნოებისაგან საქართველოს ეკლესიას არასოდეს გადაუწყვეტია. ამას თავად წმ. მამა გიორგი ათონელი ბრძანებდა და დღემდე მოდის ეს რწმენა. ის საყვედურობდა კონსტანტინოპოლის ეკლესიას, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე არყვედა მწვალებლობის ტალღები. საქართველო კი იდგა მჭვიდად, მას ოდნავადც არ შეხებია ეს კონფესიური ძვირები, რომლებმაც, საყოველთაოდ ცნობილია, ხელი შეუწყო ქვეყნარბი მიძღვრების ჩამოყალიბებას. რამდენად არის თავმოსაზნი ეს კონფესიური სიმყუდროვე? ნუთუ საბაყაოა, რომ საქართველოს ეკლესია არ ყოფილა ჩართული მიძღვრების ქმნადაზრმაში, რომ ამ ისტორიულ-მისტიურმა პროცესმა მის კედლებს გართე ჩაიარა? მაგრამ ეს სხვა საკითხია. ამჯერად სხვა რამის თქმა მსურს. საქართველოში იქნებ ყოფილა კიდევ მწვალებლობის მცდელობა, მაგრამ არ ყოფილა მოუვიდებია ფეხი, ასპარეზი ვერ უპოვებია. თუმცა რამაც იმ ხანად ვერ შიშოვდა მხარდაჭერა საეკლესიო წრეებში და იერ გავრცელდა საერო საზოგადოებაში, დღეს მისთვის გზა ორგანეე ხსნილია.

დღეს არავის, არც ბერს, არც ერს, არ ქუცხანურება, როცა X საუკუნის ხელნაწერში "ქება იმ სხვა დიდებულ ქართულთა ენისა" კითხულობს, რომ ღმერთი ვაჟთა დასასურულს, მეორედ მოსვლისას, ქართული ენით ამხელს სხვა ენებსა და ერებს. აქედან გამოიქვთ ლიტვიკური, მაგრამ უკიდურესად მწვალებლური აზრი, რომ ქართული ენა უფლის ენაა, რაც იმ ძველ ტექსტში ასე ამკარად არ არის ნათქვამი. მერე ამ "ქვეყნარბიებში" გამართლებას პოულობს, არავინ იცის, საიდან ამოტყვივებული ბუნდოვანი თეზისი "საქართველოს გაბრწყინების" შესახებ და კიდევ სხვა მისგან გამოიმდინარე ნაციონალისტურ-მესიანური შუბრისებები.

X საუკუნეში დაიწერა ეს ტექსტი, თუ, როგორც ზოგიერთი ჯიქრობს, IV საუკუნეში, მასში გამოითქმული თვალსაზრისი სრულიად ენააღმდეგება მართლმადიდებლურ ენობრივ პოლიტიკას, რომლის თანახმადც არ არსებობს პრივილეგირებული ენები. როცა გვსურს ამ დემოკრატიული თეზისის გამოყენება მართლმადიდებლური სწორი პოზიციის ნათელსაყოფად, წინ წამოვიწყო ხოლმე მას დასავლური პოლიტიკის საბირისბირად, სადაც გაბატონებული იყო "სამეწიფეების დოგმატი". სლავების განმანათლებლისა და ბიბლიის მთარგმნელის კონსტანტინეს (იგივე კირილე) ცხოვრებაში მას ეწოდება **триязычная ересь**, რაც გულისხმობს ებრაულის, ბერძნულისა და ლათინურის პრიმიტს და განსაკუთრებულობას. წინნდა წერილი მხოლოდ და მხოლოდ ამ ენებზე უნდა არსებობდეს, სხვაინ მოკლებული არიან მადლს. კონსტანტინეს დიდი წინააღმდეგობა გაუჩინეს ლათინიებმა ეპისკოპოსებმა ვენეციაში. როგორ ბედავს სლავურ ენაზე ბოპოლის თარგმნას? განა არ იგი, რომ მხოლოდ სამ ენაზე ეკადრება ღმერთს ქება-დიდება წმინდა წერილის მე-ისებები - ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად? კონსტანტინე არ დაბნეულა და მან ჩამოუთვალა ის ხალხები, რომელთაც შკონდათ დამწერლობა და, კარგა ხანია, თავიანთ ენაზე ადიდებენე უფლს. მათ შორის ქართველებიც არიან მოხსენებული. კონსტანტინემ მოაგონა მათ ადიდებები ფსალმუნებიდან, სადაც გაისმის მონოვალბა სხვადასხვა ხალხების ენაზე უფლის დიდებისა.

კონსტანტინემ გაიმარჯვა და ეკლესიისა და ქრისტიანობის ისტორიაშაც გამოაშკარავა ამ თეზისის სიყალბე.

დღეს ვერავინ იტყვის, რომ უფლის დიდებაში რომელიმე ენა დაბნაწურებული და პრივილეგირებული, რომ რომელიმე ენაზე შესრულებული თარგმანი სხვებზე უპირატესია. მაგრამ იმას კი ვაგბობთ, გვწამს და ვიმეორებთ, და გვსურს მთელი ქვეყნიერება დავარწმუნოთ, რომ მეორედ მოსვლისას ქრისტე ქართულ ენაზე იმეტყველებს, უფრო მეტიც: ქართულ ენაზე ამხელს ყველა ერს თავის ცოდვებში.

ჩვენი ძველებს ვეით გონიერება, რომ ტექსტი, რომელიც ესოდენ კადნიერად აცხადებს ქართულ ენას ამოკალიფსურ ენად, არ გავრცელებინათ საყოველთაოდ მთელს საქართველოში. შექორჩინებია ოთხდათობი ხელნაწერი, რომელთაც საქართველოშე არც მოუღწევილა. ჩვენი ძველები ქრისტეანებში იყვნენ და მწელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ამოკალიფსური აბსურდი ქვეყნარბებზე ენაბებინათ და შესიანისტური მოლოდინი დამეკარბინათ მასზე. დღეს კი ერთნული კერძოაგვანისების ხანაში ყველაფერი დასაშვებია. ვერც ეს ტექსტი საეკლესიო კალენდარში მოხვდა ლაზარეს შაბათს, თითქოს რომელიც უნებინო ბერის უდიცნობლი ოცნება ქართული ენისა (თუ ერის) და ქრისტეს მიერ აღდგენილი ლაზარეს იგივეობის შესახებ ამისათვის საკვირისი საბუთი ყოფილიყო. მერე საგალობელიც დაბნეულა მის ტექსტზე და საღვთო ლიტურგიაში სველოვანაში შესრულდა. ასეთ ბედზე ამ ტექსტისა თავად მისი ავტორიც ვერ იოცნებებდა.

თითქოს რაღაც "პროვიდენციული" დამთხვევააო, სწორედ ამ აბლო ხანებში, როცა სიონის მრევლმა "უფლის ენის" საგალობელი მოისმინა, მეკითხვება საზოგადოებამ მიილი წიგნი "ქება და დიდებები ქართულთა ენისა", რომელიც საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცა. მისი შემდგენელ-რედაქტორია ტარიელ ფუტკარაძე. ნაშრომის ავტორები არიან (სწორედ ასეა აზრნიწული მე-6 გვერდზე): ლილი ხესვურიანი, ტარიელ ფუტკარაძე, ზურაბ კვიციანი (თარგმანები), იოსებ კუყყამაძე (საგალობლის ნოტები).

ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერება საგალობელია სცდემურზე, ასევე ეკლესიაზე, რაც საგალობალია.

წიგნში თავმოყრილია მეცნიერულ თვალსაზრისებზე გასაღებული ზღაპრები "იბერიული უნივერსალური ენის" შესახებ, რომელიც თურმე წარდგენამდე ციცილიზაციაში შეიქმნა (გვ.64); მეგრული ენის შესახებ, რომელიც "შროფილოს ყველა ენის საწყისია" (გვ.65); "ქართველური მოდების დიდ პრისტიორიულ წარსულზე" (გვ.112); "ქართველური მოდების, პრომეთე-ამირანის ციცილიზაციაზე" (გვ.113); ოთხთასას წელზე, რომელიც მიგვანშნებს "ქართული ენის 4 000 წლის ისტორიაზე" (გვ.83), თითქოს შესაძლებელი იყოს ოთხთასას წლის აღდგენა; აბლად-შექმნილი საღვთისმეტყველო საგანზე - "ოთხე-მისიმის ქსატოლოგიაზე" (გვ.59) და, ბოლოს, თურმე ამ ტექსტზე დავარდნობით, შეიძლება დავაკვანთა, რომ "უფლის გავით მავალი ქართველური მოდებისათვის" -

ერთიანი საქართველოსთვის - გახსნილი იქნება "კრავის სახელოს" კარიბჭეში..." (გვ.114). ნიგინი ერთხელ კიდევ გვახსენებს იმ კომპიუტერული "კვლევა-ძიების" შესახებ, რომელიც დაგვირგვინდა "ქებაის" ტექსტში სიტყვა "შესისი" ამოკითხვით და მერე "შესიშია" საქართველოს იმეამინდელი პრეზიდენტის ამოცნობით. ეს კურიოზიც თურმე ამ ტექსტის კვლევის ისტორიის ღირსშესანიშნავი ეპიზოდია, რამდენადაც ის პირველი პრეზიდენტის სახელითაა არის დაკავშირებული. ასევე ისტორიული ფაქტი ყოფილა პრეზიდენტის საჯარო გულწრფელი აღიარება, რომ ის უბრალო მოკვდავი და არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებს "შესისი" ტიტულს. ნიგინის რედაქტორი მთელი სერიოზულობით აქეცხნებს ამ წერილს (გვ.62). შემდეგწინეულ-რედაქტორი იმედს იტოვებს, რომ ამ "უნიკალურ ძეგლზე" კიდევ ბევრი გამოკვლევა დაინერგება. ოღონდაც! უსაზღვროა ქართველი კაცის ფანტაზია, ზღვარდაუდებელია მისი პატრიოტული გრძნობები და ოცნებები.

როგორი აუიოტავი ატყდება ჩვენი საზოგადოებაში, თუ ერთხელ ენათა მოძულე ვინმე "კოსმოპოლიტიკა", "მასონი" თუ "სოინისტი" გაბეჭდოს და ერთ სამომავლო მსოფლიო ენაზე ჩამოაგდებს ლაპარაკს, მაგრამ ამ დროს არავის გაახსენდება ჩვენი სასიყვარულო ნინაპარი, რომელიც სწორედ რომ ერთი ენის არსებობაზე ოცნებობს ეს-ქატლოციკოვრ პლანში და ეს ენა მისი მშობლიური ენაა. სხვა რა დარწმუნიათ მსოფლიო ხალხებს, თუ არა ის, რომ დაუყოვნებლივ, დღეიდანვე შეუდგნენ ქართული ენის შესწავლას, თორემ იმ ხუთი სულელი ქალწული დღეში ჩაყარდებიან, ზეთი რომ არ აღმოჩნდათ ლაპარაკში, რადგან არავინ იცის, როდის დადგება განკითხვის ყამი. როგორ უნდა შეისმინონ შილაბა უცხო ენაზე?

აბსურდულ თეატრალურსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი ლოგიკა, მაგრამ ეს არ გააჩნია "ქებაში" ნამოყვანებულ თეხისს: ერთი მხრივ, ქართული ერთადერთი ენა ენათა შორის, რომლითაც უფალი ინებებს! ხალხების მშობლებსა, მეორე მხრივ, ქართული და ბერძნული დები არიან, როგორც წმინდა ნინო და ელენე დედოფალი. პროფესორი რევაზ სირაძე აქ ხედავს ავტორის სურვილს, "ბერძნულ ენასთან უფლებრივად გაათანაბროს მშობლიური ენა" და თითქოს მისი მიზანი "ტრილინგვისტური თეორიის უარყოფა" იყოს (გვ.63). ტრილინგვისტის უარყოფა ორი მიმართულებით შეიძლება - პლურალიზმით და უნიტარიზმით. ტექსტის ავტორი ამ უკანასკნელ მიმართულებას ავითარებს, როცა ქართულის გარდა არც ერთ ენას, თვით მის მიერვე მის დად აღიარებულ ბერძნულსაც კი, არ უტოვებს ადგილს. თუ უფალი ქართულ ენაზე გამოაცხადებს უკანასკნელს მსჯავრებს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ყველა სხვა ენა გაუქმდება, რადგან დაკარგავს საზნარის. ქრისტეს დაუსრულებელ სუფევამიც ერთადერთი ქართული დარჩება, რადგან ის უფლის ენაა. მწელი წარმოსადგენია, როგორ გაუწინდა ქრისტიან ადამიანს ასეთი აზრი, მაგრამ კოსმოპოლიტიკობის მოძულე ჩვენი პატრიოტების მორალი მოტენტორუს რომ ნამდვილად არ გაცხილებია, ეს აშკარაა: თუ მსოფლიო საყოველთაო ენა ქართული იქნება, ეს სიყვითაც; თუ სხვა რომელიმე ენა, თქვათ, რუსული იქნება უკანასკნელი განკითხვის ენა, ეს იმპერიალისტური ბოროტებაა.


ამის შემდეგ კურიოზულად ყდენ შემდეგწინეულ-რედაქტორის დასკვნა: "ჩვენწული მესიანისტური იდეა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტ საზღვრებს არასოდეს გაცხილებია" (გვ.6). ვიცით კისად გადის მართლმადიდებლობის საზღვრები? როცა გვინდა ვავართობებთ, როცა გვინდა, გავწრობებთ. რა მოეთხოვება ვრს, როცა ეკლესიასაც დაეკარგა კრიტერიუმები, რისი ცხადი დასტური "ქებაის" ლიტურგიული-სოტერიოლოგიურ ხარისხში აყვანაა. ამის

შემდეგ აღარ უნდა გვიკვირდეს, როცა საერო დანქნებულებათა ინიციატივით ისტორიულ პირთა კანონიზაცია ხდება.

ბოლოს, რა შეიძლება ითქვას? "ქებაის" ტექსტი შესაშური მეცნიერული აკრიბითი არის გამოცემული, ოთხივე ხელნაწერი მაღალი დონის პროფესიულობით არის აღწერილი, არ არის უყურადღებოდ დატოვებული თვით წერილმწიფი კი. მკვლევარი (ლოლი ხევსურაძე) ერთხელ-ერთიანად ფილოლოგი-ტექსტოლოგის მოწოდებას. მაგრამ ყველგფერი ეს (ეს აკრიბია და ეს პროფესიონალიზმი) თვითმიზნურობის შთაბეჭდილებას სტოვებს, რაც დასაწანიია.

უნდა შეინიშნოს კიდევ ერთი თვითმიზნური შრომა. ნიგინის 118-ე გვერდზე დაბეჭდილია "ქებაის" ლათინური თარგმანი, შესრულებული პროფესორ ზ. კიკნაძის მიერ. ეს მოუღებინდელი იყო ბატონი პროფესორისგან, რომლის სტატიაში "რა არის ფილტეზმი" ბევრს აუხილა თვალს ამ თავისებური "ერესის" ხიჯათზე. რა მიზანს ემსახურება ერთი ძველი წინადაც მეორე უფრო ძველ და თან მკვდარ ენაზე თარგმნა? ვის უნდა წავაკითხოთ თარგმანი - ნეტარ ავგუსტინეს, "დე კვიტატაჲ დეის" შემოქმედს, თუ ნეტარ იერიონიმუსს? შეიძლება მათ წუნი არ დასდონ თარგმანის ლათინურს, მაგრამ, ვეჭვობ, მართლმადიდებელ ქრისტიანად ჩათვალონ ტექსტის ავტორი. ძალაუფებურად მასხენდება ჰესეს რომანი "თამაში ფუჭი მარგალიტებში", სადაც ერთი სწავლული ძველეკვიპტურ ტექსტებს ვეძებთ ენაზე თარგმნის და ეს უღებდა შემოქმედებთ აქტად მიაჩნია. ვიხვობ, სწორად გამიგოს ბატონმა პროფესორმა და დამეთანხმოს, რომ მკვდარი ენების საყვიალისტობა სრულიადაც არ ავალღებულებს ადამიანს ასეთი უცნაური - არ მიინდა ვთქვა ფუჭი - შრომა გასწანი.

აკრილი



ქება და დიღვა  
ქართულისა ენისა

ნა ანთაძე

მოვადებოდა ნრის განჯადობა -  
ეს სამი სიტყვა სრულად გამოხატავს იმ პროცესს, რაც ბოლო დღეებში ქართულ სახელისუფლო სივრცეში დატრიალდა.

დავიწყეთ თავიდან. როდესაც 1998 წლის ზაფხულში სახელმწიფო მინისტრის პოსტის დასაკავებლად ვაჭა ლორთქიფანიძე მოსკოვიდან თბილისში გამოიხმეს, პოლიტიკურ ნრევებში ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად შეფასდა: შევიარდნავე ფვანისა ლორთქიფანიძით აბალანსებს; სასწორი ვისკვნაც სამოლოდ გადაიხრება, შევიარდნაძის შემდეგ პრეზიდენტობაც მას აღირება.

განვლილმა ორმა წელიწადმა ბევრი ისეთი რამ გამოაშუქურა, რაზეც თავიდან ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა; მათ შორის, ისიც, რომ ზურაბ ფვანისა და ვაჭა ლორთქიფანიძის ერთმანეთით აბალანსება შეუძლებელია; და ისიც, რომ ვაჭა ლორთქიფანიძის პოსტიდან წასვლის მიუხედავად, სულაც არ არის ცნობილი, ვინ განდგება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი.

ფვანისა და ლორთქიფანიძის ბუნებითი არსი თავიდანვე გამოირჩევადა მათ ხანგრძლივ თანამყოფობას მაღალ სახელისუფლო პოსტებზე: პოლიტიკური ინტერიერი ან ერთი ტიპის კარიერისთვის არის ხელსაყრელი, ან მეორე ტიპის კარიერისთვის.

ვაჭა ლორთქიფანიძე ფრთხილი, განონანსწორებელი პოლიტიკური ფიგურაა; მას სცენაზე მეტად კულუარები უყვარს; იგი თავს არიდებს ღია კონფლიქტებს და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას სადავო საკითხებზე, რის გამოც სხვებზე ნაკლები მტერი შეაქვს; მისი მმართველობითი სტილისთვის უჩვეულოა გამჭოლი დაპირისპირება და ღია ბრძოლა პრინციპების დასაცავად, თუმცა, უპრინციპობას ვერაფერ დასწამებს.

სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ყოფნისას (ისევე, როგორც გამოსათხოვარ სიტყვაში) ვაჭა ლორთქიფანიძეს არ დაუსახელებია არც ერთ ადამიანი, თანამდებობის პირი თუ ვინმე სხვა, ვინც ხელს უშლიდა მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

ზურაბ ფვანია გაცილებით ღია პოლიტიკის მიმდევარი და დამკვიდრებელია; იგი სუფთა იმიჯით შევიდა პოლიტიკურ სცენაზე, მაგრამ ყველაზე კონსტრუქციული ოპონენტებიც კი ("შესაბე გზის" ალიანსთან) ფვანის მიერ კულუარებში გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს მის ზნეობრივ მარცხად აფასებენ; ფვანია საჯაროდ

# რატომ ნაპიდა სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან ვაჭა ლორთქიფანიძე

როდ აფიქსირებს საკუთარი და სხვისი პასუხისმგებლობის საზღვრებს, რის გამოც, როგორც ამბობენ, ბევრი მტერი გაიჩინა გავლენიან ნრევებში; სამაგიეროდ, კომპრომისების მიუხედავად, მეგობრები შეაქვს ჯერ კიდევ სუსტ, მაგრამ ავტორიტეტულ სამოქალაქო სექტორში. ტუ

თუ ძლიერდება ვაჭა ლორთქიფანიძე, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ფრთხილ პოლიტიკას ეწევა და სახელისუფლო სცენაზე სტაბილური ვითარდება. თუ ზურაბ ფვანია ძლიერდება, საფიქრებელია, რომ ახლოვდება გარდაქმნები, პოლიტიკურ სცენაზე იცვლება პერსონაჟები და დეკორაციები.

ფვანია და ლორთქიფანიძე ერთმანეთს ვერ დააბალანსებენ სწორედ

იმის გამო, რომ ერთი გარდაქმნების და რეფორმების სიმბოლოა, მეორე კი მყარი ბალანსის და ფრთხილი პოლიტიკის. როდესაც ხელისუფლებაში მკვიდრი სტაბილურობაა, რეფორმები კვდება; თუ რეფორმები ხორციელდება, სახელისუფლო სცენას მუდმივი მიტვები არეყვს.

ბოლო პროცესებიდან გამომდინარე, ბუნებრივი იქნება, მავანმა იფიქროს, რომ ქვეყნის განვითარების ერთი ეტაპი მოითხოვდა ნაკლები რისკის განწევას და ხელისუფლების სიმყარეს (ანუ ვაჭა ლორთქიფანიძის გაძლიერებას), ხოლო მეორე ეტაპი მოითხოვდა გარდაქმნებს და რეფორმაციას (ანუ ზურაბ ფვანისა გაძლიერებას). ამის შემდეგ მავანი იფიქრებს, რომ ჩვენს სახელისუფლო სივრცეში ახლა სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს.

მაგრამ, შესაძლოა, მავანი ცდებოდ. თუ თავის გადაწყვეტებებში ბოლო წლებში ვაჭა ლორთქიფანიძის და ზურაბ ფვანის პოლიტიკურ კარიერას, სხვა დასკვნამდე მივალთ.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვაჭა ლორთქიფანიძე მოსკოვში საქმიანობდა და საქართველოს პოლიტიკურ გულსატეხლს მონყვებოდა იყო, პრეზიდენტმა მას ყველაზე არსებითი საკითხი - აფხაზეთის კონფლიქტზე მუშაობა - მიანდო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვაჭა ლორთქიფანიძის კიდევ ორი საკვანძო სფერო ჩააბარეს:

- 1. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
- 2. საგაყვასადაო და საბაჭო სამსახურების უშუალო კონტროლი.

ფინანსებით დაკავშირებული საგარეო ურთიერთობებიც და საშინაო რეზერვების მოხილვაც ვაჭა ლორთქიფანიძის სამსახურებრივ მოვალეობად იქცა. შემდეგ მასვე დაეკისრა ზოგადი ეკონომიკური ვითარების კონტროლი, ხოლო გასულ წლის ბოლოს სახელმწიფო მინისტრის ოფიციალურად გაეზარდა უფლება-მოისოლები და დავცლა ყველა სამინისტროს საქმიანობის კოორდინაცია, ძალგანების გარდა.

ბუნებრივია, მთელი ზემოთ აღწერილი პროცესი მიმდინარე-



ობდა პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობით.

ვაჟა ლორთქიფანიძე თითქმის ყველა სფეროზე გავლენის მოპოვებით ნელ-ნელა ხდებოდა უძლიერესი ფიგურა ხელისუფლებაში. მისი უფლებამოსილება ვრცელდებოდა ორ უშტაბო სტრუქტურაზე - აფხაზთსა და ეკონომიკაზე - რომელთა მიწესრიგების გარეშე ახალი ქართული სახელმწიფო არ აშენდება.

სინამდვილეში, ვაჟა ლორთქიფანიძის ესოდენი ძალაუფლება მთლიანად ილუზორული იყო. რადგან რაც მეტად იზრდებოდა მისი გავლენის სფეროები, მით მეტად იზრდებოდა მისი პასუხისმგებლობა და, რაც მთავარი, იზრდებოდა ბიუჯეტის დეფიციტი.

თუ ვინმესთვის ხელსაყრელი იყო ვაჟა ლორთქიფანიძისთვის უიროუტესი, მოუგვარებელი პრობლემების მიხედობა და შემდეგ მისი პასუხისმგებლობის განსაზღვრა, ეს "ვიწმე" ზურაბ ფვანია უნდა ყოფილიყო. ვაჟა ლორთქიფანიძისთვის ეს ხელსაყრელი იყო მხოლოდ ამ მოუგვარებელი პრობლემების მოგვარება, რაც მან ვერ შეძლო და რამაც მისი სამთავრობო კარიერა იმსხვერპლა.

ვაჟა ლორთქიფანიძის მოვალეობები დახურულა და მისი ძალაუფლების გარტყმა, ფაქტობრივად, ნიშნავდა ამავე პარტიაციით მის განწირვს. არც ერთ ეტაპზე ლორთქიფანიძის განწირვის "ოპერაცია" არ შეწყვეტილა: იგი მთელი სიცოთ ვითარდებოდა და ლოკაციური დასახურების 300 მილიონიარ საბიუჯეტო გარღვევას მიიღწია.

\* \* \*

სულ სხვა რეალობაში კალიბდებოდა ზურაბ ფვანიას პოლიტიკური კარიერა.

პარლამენტის თავმჯდომარეობამ მას საშუალება მისცა, საკუთარი გუნდი შეეყრა. მართალია, ეს გუნდი საკმაოდ ამირეულია და საზოგადოებისთვის უნებია, კონკრეტულად ვინ უნდა იგულისხმოს ფვანიას გუნდის წევრად, მაგრამ პოლიტიკური ინტერირი ერთადერთი ფიგურა, რომელიც, ასე თუ ისე, საკუთარ გუნდს ყრდნობა, სწორედ ზურაბ ფვანია.

პარლამენტის თავმჯდომარეობამ ფვანიას საშუალება მისცა, შეეცნა დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკური ლიდერის ფუნქცია. ეს ფუნქცია, პირველ რიგში, განსაზღვრა კანონმდებლობის და საპარლამენტო ტრადიციების დასავლურმა სტანდარტებმა, დემოკრატიულმა სულისკვეთებამ.

მაგრამ ეს არ იყო ერთმნიშვნელოვან და სასარგებლო პროცესი ფვანიას კარიერისთვის. ოპონენტები პარალელურად ამუშავდნენ იმისთვის,

რომ დასავლური იდეოლოგია დაეპირისპირებინათ ეროვნულ მსოფლმხედველობასთან და ფვანია, თავის თანამოაზრეებთან ერთად, დედანაშაულებრივად ეროვნულობის დევიცტში. ამ გარჯამ კარგი ნაყოფი გამოიღო და დღეს არა მხოლოდ ქუჩაში, ავადმჯირ წრეებშიც ზურაბ ფვანიას ქართველობის ხარისხის მიმართ ბევრი ეჭვით არის განწყობილი.

იმავდროულად, ხალხში არსებობს რწმენა, რომ კანონები ცუდი არ არის; ცუდია ის, რომ კანონები არ სრულდება. ეს ფაქტორი ფვანიას სასარგებლოდ მუშაობს.

ზურაბ ფვანიას კარიერისთვის ერთმნიშვნელოვნად დადებითი ფაქტი იყო 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მისი დანიშვნა მოქალაქეთა კავშირის შტაბის უფროსად. მართალია, პარლამენტმა ძალიან ცუდი საარჩევნო კანონი მიიღო, რაც, ერთი უტსოელი ექსპერტის აზრით, "ფვანიას სინდისზეა", მაგრამ საარჩევნო კამპანიაში განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა და მოქალაქეთა კავშირი ლამის საკონსტიტუციო უმრავლესობით დაბრუნდა პარლამენტში.

ამასთანავე, ფვანიას კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება, საკუთარი გუნდის გაძლიერებაზე ეზრუნა. შედეგად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ზურაბ ფვანიას პოლიტიკურ კარიერაში იყო მისი ვიზიტი ბათუმში და ახალი აბაშისთან ურიერთობის მოწესრიგება: ამ ნაბიჯის ინტერეზით ეღვარა შევარდნამც პირველად საჯაროდ დადოქსირა თავისი სამომავლო ორიენტაცია ფვანიას სასარგებლოდ (რადგან აჭარის მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე წარმატებული პოლიტიკური კარიერა საქართველოში წარმოუდგენელია).

ზურაბ ფვანიას გაძლიერებად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან ვაჟა ლორთქიფანიძის წასვლაც, რომელიც მის უშაბრეს კონკურენტად იყო აღქმული საზოგადოების მიერ. შუასაბოლო, თავად ფვანია დიდი ხნის წინ ხედავდა, რით დასრულდებოდა ლორთქიფანიძის ლიდერობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მაგრამ ამას ვერ ხედავდა მოსახლეობა, რომლის აღქმაში ფვანია სწორედ დღეს არის გამარჯვებული.

\* \* \*

ახალი სამთავრობო შემადგენლობიდან პირველ რიგში ცნობილი გახდა სახელმწიფო მინისტრის ვინაობა და ეს ძალიან კანონზომიერი იყო. სახელმწიფო მინისტრი მთელი მთავრობის "გასაღებია".

და, აი, რატომ. კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პირველი პირია პრეზიდენტი, - სახელმწიფოა და აღმასრულებელი ხე-

ლისუფლების მეთაური. ქვეყნის მეორე პირია პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც პრეზიდენტს ცვლის იმ საგანგებო შემთხვევებში, თუ თავად პრეზიდენტს არ შეუძლია უფლება-მოსილებების განხორციელება, ან თუ მისი უფლებამოსილება ვადაამდე შეწყდა.

კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის სახელისუფლო იერარქიაში მესამე, მეოთხე და სხვა რანგის პასუხისმგებელი პირები განსაზღვრული არ არის.

კონსტიტუციისგან განსხვავებით, სინამდვილეში, ძალაუფლების განაწილების თვალსაზრისით, ჩვენი სპეციფიკური ვითარებაა შექმნილი. პარლამენტი, რომელიც კონსტიტუციურად პასუხისმგებელია მის მიერ დამტკიცებულ მთავრობაზე, მუდმივად აცხადებს, რომ იგი პასუხს არ აუგებს მთავრობის საქმიანობაზე, რადგან მინისტრები საპარლამენტო უმრავლესობის გუნდიდან არ ინიშნებიან. ამ განცხადებით პარლამენტი მთავრობაზე მთელ პასუხისმგებლობას პრეზიდენტს აკისრებს.

პრეზიდენტი კონსტიტუციურადც პასუხისმგებელია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და არც რეალობაში გაუარბის ამ პასუხისმგებლობას, მაგრამ რადგან პრეზიდენტი ეღვარა შევარდნამცა, მისი ავტორიტეტი მტყნაკლებად უმტკიცეულოდ იტყეს პასუხისმგებლობის ნებისმიერ მთავრობაზე.

იგულისხმება, რომ შევარდნამც პასუხისმგებლობას იტყეს არა კონკრეტულ მინისტრზე ან კონკრეტულ მთავრობაზე, არამედ, მთლიანობაში ახალი სახელმწიფოს დაფუძნებაზე, რაც ხალხისთვის გაუგებარ კომპრომისებზე მოიცავს.

მაგრამ გაღის წლები, საზოგადოება სულ უფრო მეტად ევლობა გაჭირვების და უიმედობის ქაობში, ხოლო კონკრეტულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი პირი, პირები ან პოლიტიკური ჯგუფები არ სახელებდა. პარლამენტის თავმჯდომარე საჯაროდ იცხადებს პასუხისმგებლობას, პრეზიდენტიც ისე იფართოებს პასუხისმგებლობის სივრცეს, რომ ყველავლეს იტყეს, მათ შორის, დედანადე მდგომარეობასაც: სახელმწიფო სტატუსიტვის დეპარტამენტის მინაციემებით, მოსახლეობის 90% სილტაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს; მათ შორის 30% სილტაკის უკიდურეს ზღვარს მიღმა იმყოფება; საშუალო ხელფასი 70 ლარია, ხოლო საარსებო მინიმუმი, სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, 118-დან 190 ლარამდე მერყეობს.

\* \* \*

ბოლოსანს, იმის შემდეგ, რაც წარმოდგენილი ფორმები მიიღო ბიუჯეტის გარღვევამ, ხელისუფლ-

ბამ გამოძებნა ახალი პასუხისმგებელი პირი. პირობითად მას დაერქვა ქვეყნის მესამე პირი, ფაქტობრივად კი მდგომარეობის გამოსწორება სწორედ მას დაეკისრა: ეს იყო გაზრდილი უფლებების მქონე სახელმწიფო მინისტრი.

მისათვის, რომ სახელმწიფო მინისტრის მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა გაემართლებინა, მას სჭირდებოდა ძალაუფლების შესაბამისი ხარისხი. შეიქმნა ახალი რგოლი ხელისუფლებაში, რომელმაც რეალობაში ისედაც არსებული - ძალაუფლების კონსტიტუციური ბალანსი - კიდევ უფრო აია.

ვაჟა ლორთქიფანიძე მეტისმეტბა ძალაუფლებამ გადაიყოფა, მაგრამ მთავრობამ დარჩა უფლებებგაზრდილი სახელმწიფო მინისტრის პოსტი. ეს კი ჩვეს რეალობაში გულწრფელობა, რომ თუ ამ პოსტზე ძვირი სახელმწიფო მინისტრი მოვა, ის უფლებას იქნება პარლამენტის თავმჯდომარეზე ნაკლები მემკვიდრე პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლაში.

საპარლამენტო უმრავლესობის გულსრულად სჭირდება ზოგადი ვითარების გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კორუფცია მთლიანად შთანთქმავს რეფორმისთვის საჭირო რესურსს, რაც ყველაზე მეტად სწორად რეფორმატორების იმიჯს ენებს. მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობა არ დაუშვებდა, რომ გაქოლიერებინა სხვა პოლიტიკური ჯგუფიდან წამოსული სახელმწიფო მინისტრი. მით უმეტეს, რომ დღევანდელი პრობლემების მოგვარება უშუალოდ მთავრობის საქმეა და ძლიერი სახელმწიფო მინისტრის საუკეთესო ასპარეზო მიეცემა თავის გამოსაჩენად.

ვითარების ართულებს ის ფაქტორი, რომ სახელმწიფო მინისტრი არ არის პრემიერმინისტრი და სახელმწიფოს მეორე პირი. იგი მხოლოდ ის მესამეა, რომელსაც აქვს კოაღი მანსი, ძალაუფლების ხარისხით და პოპულარობით გავჯობროს მეორეს. მაგრამ, საქმეც ისაა, რომ ამ მესამეს მეორე (პარლამენტის თავმჯდომარე) ამტკიცებს თავის გუნდთან ერთად, თუ ჩათვლის საჭიროდ, დაამტკიცებს, თუ არა და - ჩაგდება.

ამიტომაც, ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რომ სახელმწიფო მინისტრად პრეზიდენტს პარლამენტში წარედგინა სამომავლო ამბიციების მქონე ძლიერი პოლიტიკური ფიგურა. უნდა მოქმდინილიყო ადამიანი, რომელიც ბიუჯეტის რღვევის პროცესს დაუპირისპირდებოდა, მაგრამ ამ პროცესში წინასწარ ადვილად გასათვლელ პრობლემებს არ შექმნიდა, პოსტს მეტისმეტად არ ჩაეღაფებოდა.

მოიძებნა კიდევ.

\* \* \*

გია არსენიშვილის მოსვლა სახელმწიფო მინისტრად ნიშნავს ამ პოსტის დროებით დემოლიტიზაციას და, საფიქრებელია, რომ "დროებითობა" იქნება უმტკივნეულო. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, რის მიზეფებითაც კანდიდატი შეირჩა.

სახელმწიფო მინისტრი, ისევე, როგორც ყველა სხვა მინისტრი, თავისი არსით პოლიტიკური ფიგურაა. შესაბამისად, ნებისმიერი აპოლიტიკური ფიგურა ამ პოსტზე დროებითია. დროებითობას ადესტურებს ის ფაქტიც, რომ მთავრობის დანარჩენი წევრების შესარჩევ კონსულტაციებში გია არსენიშვილი მოგვიანებით ჩაერთო. იგი არ არის მზად (და არც შეიძლება იყოს) მთავრობის დასაკომპლექტებლად. მას მოუხდება მუშაობა იმ ადამიანებთან, ვისთან ერთად საქმიანობასაც პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ურჩევს.

რაც მთავარია, დროებითობას ადესტურებს ის რეალობა, რომ კახეთის გუბერნიზაცია, არ შეიძლება, ყოველი შემთხვევისთვის გამაგდებულ და სამუშაო მაგიდის უფერაში ჩაკეტილი ჭქონოდა ქვეყნის გადარჩენის პროგრამა. სახელმწიფო მინისტრის პროგრამა, რომელშიც პრეზიდენტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კონკრეტული მექანიზმები და ვადები იქნება ჩამოყალიბებული, ვერც ორ კვირაში დაიწყება.

მაშ, რეალურად რა ამოცანების შესრულება მოუხდება ახალ სახელმწიფო მინისტრს? ამ კითხვებზე დაახლოებითი პასუხის გასაცემადაც კი აუცილებელია, ზუსტად ვიცოდეთ ახალი მთავრობის შემადგენლობა.

თუმცა, ესეც არ კმარა. გადამწყვეტი იქნება, თუ როგორ ხედავს პრეზიდენტი ზურაბ ჟვანიას სამომავლო ფუნქციას და როგორ გადაანალიზდება ამ ფუნქციის აღსრულება დროში.

\* \* \*

ახლა სწორედ ის დროა, დავებურნდეთ სტატისის პირველ ფრზას: მოვადგობეთ წრის განჯადობისა.

ვიდრე ზურაბ ჟვანია შორს არის მდგომარეობის გამოსწორების რეალური პერსპექტივები, მისი იმიჯის სისუფთავებს სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. მაგრამ, ერთი მხრივ, თუ ჟვანია ბერკეტებთან არ მიუშვებს და ქვეყნისთვის სასიცოცხლო საკითხების მოგვარებაში მისი პირადი წვლილი არ ჩაიდო, პარლამენტის ორგნის თავმჯდომარის კარიერა შემდგომ რეალიზაციას ვერ სძლებს.

მეორე მხრივ კი, თუ ზურაბ ჟვანია რეალური ბერკეტების მოპოვება შეუძლო, იგი ზუსტად იმ პრიბლეშის წინაშე აღმოჩნდება, რამაც ვაჟა ლორთქიფანიძის სამთავრობო კარიერა იმსხვერპლა.


ეს არის მოვადგობელი წრე, რომლის "ჯადო" დალუკით ემუქრება ხელისმომხრე, ვინც კი მომავალ პრეზიდენტობას ისურვებს.

და მინც, ხელისუფლებიდან ვაჟა ლორთქიფანიძის წასვლით ამ მოვადგობელი წრის განჯადობა დაიწყოს.

ქართულ პოლიტიკაში დღეს სერიოზული გუნდური ამბიციები მხოლოდ ზურაბ ჟვანიას აქვს. ვიდრე ეს გუნდი საკუთარ თავს საქმეში არ გამოაჩენს, ანუ ვიდრე მთავარი ბრძოლის არ მოიგებს, ან ამ ბრძოლაში არ დამარცხდება, დიდ სახალეს პოლიტიკაში არ უნდა ველოდო.

პოლიტიკური პროცესის შემდგომი განვითარება უსათუოდ მიგვიყვანს ზურაბ ჟვანიას გადაანცვლებამდე აღმართულ ხელისუფლებაში. მანამდე, ალბათ, საჭირო იქნება, აღმასრულებელი ლიდერი საკონსტიტუციო იერარქიაში მეორე პირად დაფიქსირდეს (პრეზიდენტის შემდეგ) ეს შეიძლება ორი გზით განხორციელდეს, ორივე გზა საკონსტიტუციო ცვლილებებს უკავშირდება: ან კონსტიტუცია დააკანონებს მინისტრთა კაბინეტს პრემიერმინისტრითური, ან კონსტიტუციაში ჩაინერება, რომ საგანგებო შემთხვევაში პრეზიდენტს ცვლის სახელმწიფო მინისტრი (და არა პარლამენტის თავმჯდომარე).

ესე იგი, დღევანდელი რეალობა უკვე მოიცავს იმ სიხალეს, რომ ზელოსუფება, ადრე თუ გვიან, უსათუოდ დაიტვირთება გუნდური (პოლიტიკური) პასუხისმგებლობით, რაც ერთდერიტი გზაა ხალხის ცხოვრების შესაცვლელად.



ზაზა უჩუჩავაძე

პორტრეტები

მაგრამ ფენიას გადასვლა აღმასრულებელ ხელისუფლებაში სულაც არ ნიშნავს, რომ იგი უპირობოდ გახდება პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატი. ბოლო დღეების მოვლენებმა, ალბათ, ბევრი დაარწმუნა, რომ დღეს ძლიერ სახელისუფლო ფიგურას ხვალ, შესაძლოა, სხვა ჩაენაცვლოს.

რა სამომავლო პერსპექტივები ექნება ზურაბ ფენიას, ამას, ნაწილობრივ, გია არსენიშვილის და ახალი მთავრობის საქმიანობა გამოაჩენს.

თუ ფენიას, თავისი თანამოაზრეებითურთ, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლა მოუხდება იმ ფონზე, რომელიც შიშოლოდ კარიერის დასაღუბად გამოდგება, ეს ნიშნავს, რომ რეალურ მემკვიდრედ პრეზიდენტი სხვა პიროვნებას მოიაზრებს.

მისათვის, რომ საზოგადოებამ ის "სხვა" თავისიანად მიიღოს, სასურველი იქნება, მისი კარიერა უკავშირდებოდეს საქართველოს დიდ სამომავლო პროექტებს: აბრეშუმის გზას, ევრაზიულ დერეფანს, ან შესაბამის ინფრასტრუქტურას.

არსებობს მცირე ალბათობა, რომ ის "სხვა" უკავშირდებოდეს პირდაპირ პრეზიდენტის ოჯახს.

მაგრამ თუ პრეზიდენტი მომავლის ცენტრალურ ფიგურად ზურაბ ფენიას მოიაზრებს, შესაძლოა, გია არსენიშვილის მთავრობას სწორედ მისთვის გზის განმეწმინდა დეველოს.

პრობლემას ქმნის ის, რომ პრეზიდენტობის ნებისმიერ რეალურ კანდიდატს დაღუპავს ინტერესთა გაკლენიან გავლენებთან ღია დაპირისპირება. მაგრამ არანაკლებ დაღუპავს ამ ვგუფების განუკითხავი ძალაუფლება. გარდამავალ მთავრობას, შესაძლოა, მოუხდეს რთული ამოცანების შესრულება გაკლენის ვგუფებთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში პათეტუკურად სულაც აღარ მოგვეყენება ის ფრაზა, რომელიც გია არსენიშვილმა "ამის უკირიერი" პირველვე სტუმრობისას ბრძანა: მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, სიცოცხლის ფასადაც რომ დავეჯდესო.

ამვე კონტექსტში დამაჯერებლად ფლენს კობა დავითაშვილის ცნობილი ინიციატივასთან დაკავშირებული თითქმის ოფიციალური ვერსიაც: ზოგიერთი გაკლენის ვგუფო კატკორიულად ეწინააღმდეგება გია არსენიშვილის სახელმწიფო მინისტრად დანიშვნას. პრეზიდენტზე ზნულოის განსაზოვრციელებლად მათ ცადვენ, ფენიას და სააკაშვილის უცხოეთში ყოფნით ესარგებლათ და საპარლამენტო ურთავლესობის ხელშეწინების მუქართი, პრეზიდენტისთვის სახელმწიფო მინისტრის პოსტზე სხვა კანდიდატები შეუთავაზებინათ: მაგალითად, ლევან გაჩეჩილაძე იმ დავით გამკერციკი.

ასე რომ, გია არსენიშვილს მძიმე მინისტრობა ელის. საერთო აღმავლობა კი, ალბათ, მინც უფრო იმ პიროვნებას დაუკავშირდება, ვინც გარდამავალი მთავრობის შემდეგ ჩაღდება სათავეში აღმასრულებელ ხელისუფლებას. ოლინდ, პოლიტიკური ჩანაფიქრისგან დამოუკიდებლად, შესაძლოა, თავად ფენიაც "გარდამავალი" აღმოჩნდეს, თუკი მისი გუნდის ჯურსერის აღმავლობისთვის საჭირო ხარისხს ვერ უზრუნველყოფს.

\* \* \*

პოლიტიკა სასტიკია, - ბრძანა ერთხელ პრეზიდენტმა საპარლამენტო ტრიბუნადაც.

ვაჭა ლორთქიფანიძის პოლიტიკური კარიერა, თურმე, სულ დაღმართზე მოძრაობდა; ზურაბ ფენიას პოლიტიკური კარიერა, თითქოს, სულ დაღმართზე მოძრაობს.

მაგრამ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ზუსტად გვეცოდინება, სად გადიოდა დღევანდელი დღეს საზღვარი ილიუზორულსა და ნამდვილს შორის, ვირტუალურსა და რეალურს შორის, ბოლოს და ბოლოს, ტყუილსა და მართალს შორის.



ვაგზლის მტრობის რანილ

72 წლის ევეკი ვლადიმიროვიჩი ფესსაცემლების მმმმნდავია და მთელი დღე ტყუილად ზის სასტუმრო კოლხეთის შესასვლელთან. რა ქნას აბა, კლიენტი არ არის. სახლში რომ წავიდეს, მრავალშვილიან და შვილიშვილებიან ცოლს რა უთხრას. არ წავიდეს და წერეები აწყდება, რომ ეს მტკირიანი კლიენტები მის ვჯარისს დაუკითხავად იღებენ, ფესსაცემლებს იწმენდენ, მიდიან და მადლებიც თან მიაქვთ.

- გაბარებობა, ჟურნალისტო ვარ და მაინტერესებს, როგორ მუშაობთ, როგორ ცხოვრობთ!
- რა?!
- მუშაობა გაქვთ?
- რა მუშაობა, არაფერი არ არის!
- ოჯახს როგორ არჩენთ?
- რა ვარჩენ, მთელი დღე არაფერი არ არის!
- ერთი განმეწმინდა რა ღირს?
- ხსუთი ლარირი!
- ?!
- ნაი, რა, კაცო, შენისთანა ჟურნალისტები ბევრი მინახნია!

ეს, ჩემო ევეკი! სათქმელი ბევრი გქონია, მაგრამ თავიდან, თურმე, ოცხოვე და შეგემინდა. მერე, როცა საბუთი აზოვიღე და "სემიქის" გამოცდველებს ნდობაც დაემოქსაურე, თქვი, მოდი ეხლა და ყველაფერს ბეტყვიო. მოვიდი, მაგრამ არყისგან აცაცხაებუღი შენი ბაგებეი გულის ნადებს აშკარად ახალტურებდენ.

- მთელი დღე არაფერი არ არის!
- ადრე როგორ იყავი?
- ადრე ყელამდინ ვიყავი. საქმელიც მქონდა, სასმელიც, 100 მილითაც მთავრობას ვამარებდი, 45-ს უკან მამლევდა. ეხლა სად არის მთავრობა?! აი, მთავრობა! - სამი თითის კომბინაცია იმ დანდო შკერი.
- "აი მთავრობას" იტყვიდი, აბა რა. ეგ მოათრევს იმ ციცილოზაივის, შენ და "კოლხეთს" რომ ფუნქციას გაკარგათ. რა ერთობდექემ აღმოჩნდით? შენ 25 თეთრითანი ფესსაცემლქამაია თურქული ღრუბული გჯობნის, "კოლხეთს" - სექსუალური რვეილუციის პრჭყვილაება. არადა გახსოვს კომუნისტების დროს სასტუმრო "კოლხეთში" როგორ ხელმისაწვდომ ფა-



სებში იღებდნენ "საყმაწვილო" განათლებას და ვენერი-  
ულ გამოცდილებას ჩვენი ნორჩი მოქალაქენი? ახლა მი-  
ნისქევა გვერთხებიდან დანყებულნი და სკოლის სახელმ-  
ძღვანელებთან დამთავრებული ყველგან სექსია და ვის  
რად უნდა "კოლხეთი".

სიყვამე მოიტანა და მეტროს ვაგონებში ყველა მზა-  
რეს, ყველა ფანჯარასთან ტიტველი თვალაწინობაა გა-  
მოკრული. "ო.ბ"-ის რეკლამაა. "ო.ბ"-ი იცი რა არის? ობ-  
სი და ობობის ქსელის სანინალმდგომ საშუალებაა ქე-  
ლებში, მაგრამ კაცებს რატომ აყურებინებენ ძალით, გა-  
უტეპიანო.

ეს, ჩემო ვეგენი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საქ-  
მე, მაშინ გაფუჭდა, ყველასთვის სასარგებლო პლაკატები  
რომ მოხსნეს - "ვიანსტეუ ბოი", "ზილი გარეცხეთ გამა-  
ვლი ნყელი" და ა.შ.

შენ კი თეთრი ყვავივით ცდილობ, შენსაზე დარჩე და  
თვალეზის დასიებამდე ებრძვი დასასრულს არყით, მაგ-  
რამ ვერას აკლებ. მოდის და მოდის. შენს მოპირდაპირე  
მხარეს კი, სულ რაღაც 200 მეტრში, ვაგზლის მოსაცდე-  
ლი დარბაზების წინ შენი სამი კოლეგა ერთი მეორის  
მიყოლებით ჩაშვრევიბულა და მუშაობს. ასე ერთობა  
ახალი დროება. ზოგს მტვერს აყლაპებს, ზოგს - ფულს.  
მტვერს იმდენი ყლაპავს, აღარც კი იცი კაცმა, რომელი  
უფრო სასარგებლოა.

### ბიძის ბრიზა მღვსავი

ბიძია გრიშაც მომაკვდავი პროფესიის წარმომადგენე-  
ლია, მაგრამ ვეგენივით არ ჟანდებდა. მთელი დღე უზან-  
უზან დადის და 10-12 ლარსაც აკეთებს (თუმცა ყოველი-  
ვის არა). მისნაირებით უნდა იამაყოს ხელისუფლებამ,  
თუკი არსებობს. ამ ხნის კაცი არც უშუშვერობაზე წუ-  
ნუნებს, არც - უპენსიობაზე. დადის და გაზადაგა ისე-  
ნებს კიდევ.

- ეს რა არის, ძია გრიშა, ამ სიმძიმე "ტაქსას" ყო-  
ველდღე როგორ დაათრევ?
- ეგ ჩემთვის მძიმე არ არის. მაგით მთელი საქარ-  
თველო მოვლილი მატებს.
- მთელი საქართველო?
- მა რა, რაიონებშიც დავდიოდი.
- იქ თავისი მღვსავები არ ჰყავდათ?
- არ შეიძლებოდა, ვისაც საბუთი არ ჰქონდა, მილი-  
ცია დიჭვრდა.
- რა საბუთი?
- ადრე თბილისში კანტორა იყო, კაცო, საბუთი  
გვქონდა, რომ მღვსავები ვართ. აბა, როგორ?
- ვაა!
- 300 მანეთის გეგმას ვაბარებდით მთავრობაში. 180  
მანეთს ხელფასს მამღვდნენ. ესლა მთავრობა სად არის?  
არ არის.

- კანტორა?
- რაც ომები დაიწყო, აღარ არის.
- მაინც რომელ რაიონებში დადიოდით?
- ყველგან. ხან მატარებლით, ხან მანქნით. ერთხელ  
ჭიათურაში ეზოში დამალამდა. ერთი ტაქსისტი იყო, სახ-  
ლში შემოყვანა. კარგად მატყუდა, მერე ოთახი გამოალო,  
გრიშაგან, როგორც საკუთარ სახლში გემრიელად დაი-  
ძინეო. დილით თავის მანქნით ხაშურამდე ჩამომიყვანა. აი,  
ძია გრიშა, აქეთ ქუთაისი, აქეთ თბილისი, სადაც გინდა  
წადიო. კაი ბიჭი იყო.
- ფულს რამდენს აკეთებდი?

- 300-400 მანეთს.
- ახლა?
- ზოგჯერ 10-12 ლარს, ხან - არაფერს.
- კიდევ ლესაც ხალხი დანებს?
- მა რა, ერთხელ დოლიძეზე მეცხრე სართულიდან მე-  
ძახიან, ამოდიო. მე უთხარი, ლიფტი არის? - არისო. ავე-  
დი. ახალგაზრდა გოგო-ბიჭი იყვნენ. სუყველგან ხალი-  
ჩები, ეგეთი არსად მინახავს. საქმეს მოვრჩი, ბიჭმა 28  
ლარი ჩამიღო და მეზენბა, კი ღვინო და პურ-მარილი  
მაქვს, დაჯე დავლიოთო. მე უთხარი, ბიჭო, შენ სადაუ-  
რი ხარ, - რაქვეილო. მაგრად დავლიეთ და წამოვედი.  
ძალიან შეგნეული ბიჭი იყო. რაქველები კარგი ხალხია.
- რაიონებში აღარ დადიხარ?
- არა. მე მცხეთაში ვცხოვრობ. 4 საათამდე ვმუშაობ,  
მერე სახლში მივდივარ და ვიძინებ.
- ეს "ტაქსა" მცხეთიდან დგატქვს?
- არა. აქს ვტრევენ, მალაზიაში.
- ცოლ-შვილი გყავს?
- აბა, როგორ? ორი შვილი გერმანიაშია, ორი - მოს-  
კოვში, ცოლი - სახლში. შენ ცოლი გყავს?
- არა.
- მერე, რატომ? შენ ესლა ერთი 12 წლის ბიჭი უნ-  
და იყოს.
- სო რა.
- 82 წლისა ვარ და ხანდახან მე მინდება ქალი. შენ  
ეგრე, როგორ?
- ვაა, "მალადეც"!
- აბა კარგად იყავი.

ს.რილი



მეცნიერება

სულერი კრიზისი, რომელიც თან სდევდა ევროპულ ცივილიზაციას მოდერნიზმის ეპოქიდან მოყოლებული, კვლავ განსაკუთრებულ სიმძვინვარეშია დასამთავრა იდეოლოგიისა და შესაბამისად, სისტემის რღვევის პროცესში. ამ ათილედი წლის წინ დაწყებული "სუვერენიტეტების აღდგენა", სასუკარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გადარდა, საყოველთაო კეთილდღეობის გაძრეკითავე იმართებოდა ცნობილი ამერიკული პოლიტიკოლოგის ზინგევე ბუჩინსკის აზრით, განახლებული რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი დასაწყისში დემოკრატიის დაცვითავე მოგვევლინა, მაგრამ ამ სულ მალე იგი გადაგვიარდა დანახანაკებულ და გაბურთებულ (არა მხოლოდ ალკოჰოლის გამო) მონარქიად, რომელიც ასევე კარანთი ელემენტად გადაიქცეტილებულია. თუმცა, უკეთესი ვითარება იყო სხვა დემოკრატიის მშენებარ რესპუბლიკებში შექმნილი, სადა კომპარტიის ცენტრალიზებული მმართველობა, ნების, უნდა შეველიოთ წარმომადგენლობითი სახალხო მმართველობით. ფორმალურად ასეც მიხედვით, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. დემოკრატიული ტრადიციების არარსებობის პირობებში, ძალაუფლებდა კვლავ იმ ადამიანთა ხელი აღმონდა, რომლებსაც მისი გამოყენების მხოლოდ საბჭოური გამოცდილება განაწინათ. შესაძლოა, ამიტომაც აღარ ჩანან ტელეკომუნიკაციებ ეკონომიკური სახსარების მამები, რომლებსაც სულ რაღაც 500 დღეში შუკური თერაპიის გამოყენებით გვემოერი ეკონომიკური საბაზრებზე უნდა გადავიყვანეთ. შედეგური მოვლის ნაცვლად დღეს უფრო ხშირად საუბრობენ ჩინურ ან ლათინური ამერიკის გამოცდილებებზე, სადაც რეფორმების გატარების დროს გათავალისწინებული იყო ერების ტრადიციის, ისტორიის, კულტურის... - მარტო ეს ფაქტორი აღარ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრებ არც ერთ თანასა დაზარებულსაც არ არა აქვს გადასახადების მნიშვნელობა - ამიტომაც დღეს რეფორმატორებდა გვევლინებიან პოლიტიკური მოთამაშენი, რომლებიც მესიანისტური რიტორიკით ცდილობენ დაგვიანებონ იმისა, რისიც თავდაცვ არ ნიშნა. მამყინათა აკუაბატულ იდეად იქცა კორუფციულ საუბარში, რაც ასევე კორუფტად უხადებოდა კამპანიური ხასიათის ატარების უნებაც და ამინდევ მოხელეთელ დანაშაუვითა წინააღმდეგ პრძოლად ძალიან ნააგავს პლატაროების "წევეტირებში" აღწერილი ერთი ქალაქის ისტორიისა, რომელსაც კომუნისმის აშენების მიზნით გადაიწყვიტეს ექსპლუატატორთა გასახლება. გასახლებს კიდევ, მაგრამ კომუნისმის არ აშენდა. გადაიწყვიტეს, რომ ქალაქში დარჩენილი მათი მოხალენი აფერხებენ კომუნისმის მოხელას - ისინიც გაასახლებს, კომუნისმის მიანც არ გამოიწინდა. მდლობა ღმერთს, ჩვენ არავის გასახლებით, პირითიც, გამოსახლებულები აღარ ვიცით, სად დაფიქრით, დემოკრატიის კი მიანც პლატაროების გმირების მტავებდა ველოდებით. იწივითავე ფიქრითა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებზე აზრი და გონება მიმართულია ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილ-

# დემოკრატიის თუ დემოკრატიული მეთაფიზიკა?


ბიძენ. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება - პრესა, ტელევიზია - იმ იდეა-მოთხების მეშვეობით სორცილებოდა, რომლებიც მონევეტილია რელობის, არდა, სწორედ ჩეს იყო საბჭოთა პრეზიდენტის კრტიკების საგანი. ყველას ვაგასოვს ირგანკომიტიკისაგანი სამყარო. 90-იან წლებში ჩვენ ვაღმერთებდით დემოკრატიის, სკეტივად გვექვენებოდა ყოველივე, რაც პრინციპულად განსხვავდება ჩვენი ცხოვრებითაგან. დემოკრატიის უდავო უპირატესობათა გამო ვაკვირდებოდა, რომ ჩეს ერთგვარი რელიგია, როგორც სახითაც იგი ჩამოყალიბდა განმანათლებლობის ეპოქაში, კი არ ათავისუფლებდა პიროვნებას, არამედ უდავებს მასქვისმეგობრებს აკისრებდა მას, და რომ სახელმწიფოებრივი სახელუტიკებში და ძალადობა ისევე შესაძლებელია დემოკრატიის პირობებში, როგორც ნებისმიერი დესპოტიის დროს. დემოკრატიის იდეის გაზარება და ფორმირება მზდა ისეთ ისტორიულ პირობებში, როცასვც ევროპელთა ცნობიერება მონევეტილი იყო ადამიანის სულიერი საყაროს. ადამიანი განხილბოდა, როგორც საზოგადოების მიერ გაიპრობებული სუბიექტი, მაგრამ თავად საზოგადოება მონევეტილი იყო მსოფლიო მითიანობის, კომიური სიცოცხლის, რამაც გამოიწვია ადამიანის მნიშვნელობის გაზარება. შეიქმნა რაციონალისტური უტოპიზმი სრულყოფილი ცხოვრების მოწყობის რწმენით ამ უტოპიზმში იგნორირებული აღმოჩინდა სიცოცხლე. ადამიანსა და სამყაროს სულიერი ბუნება. საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული - დემოკრატიის გორმასიოვის "პერსტიტივიკიდან" - ცხოვრების გარდაქმნის საზოგადოება მიიღო "ზევიდან" და არა მიიღოფული და ეროვნული ნებისა და ენობრივების გარდაქმნიდან. ამიტომაც დემოკრატიის იდეამ, იმ გამარტივებული და სწორსაზოვანი ფორმით, როგორცია ის ჩვენში იქნა მიღებული, მხოლოდ იმდენი დატარება მოიზნა. მან თითქმის გაათავისუფლა პიროვნება ძლიერ შერყეული იდეოლოგიური დეტაბისგან, მაგრამ ჩეს თავისუფლება ფუჭი აღმოჩნდა. საყაროთა თავს მნიშობილი საზოგადოების მიერ ნაწილმა ქვეყნის გაპარტახების სარევე არახსული კეთილდღეობის მაილინა, ძირითადი ნაწილი კი ღუმუქნებისა და მარგინალების მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დემოკრატიული მეთაფიზიკა და მნიშვნელობის ანიჭება მათების პოლიტიკისა, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებში მათ ილუზორულ მონაწილეობას. ამ ამოცანის განსაკუთრებული გულმოდგინებით ასრულებს ტელევიზია. ვიკეთ, სარეკტივიკო გამოკითხვის სანაწი დროს თქვენ ვეკლებთ შანსი, მონაწილეობა მიიღოთ ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელებანი საკითხის გადაწყვეტაში, როგორც არის ტრიტიკორიული მნიშვნის პრინციპი. ვირტუალურად თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ ყველა აფორმირებული ნაწილმანიქნი და გამააცხადოთ საქართვე-

ლო კონსტიტუციური მონარქიად, ასევე შეგიძლიათ მიმდამირ დეტკირების მეშვეობით ევტო დალოთი ულსტრაიციის კანონის ამოქმედებას, მოთხოვით რუსეთის სახმეფო მზებების ვაცვანა საქართველოდან და ა.შ. ყოველივე ეს არ მოთხოვს არავითარ საშუალებაკ გმრობას, მიტინგებში მონაწილეობას, დარბეთის საზიშროებას. საქმარისა აკრივითი ტელევიზონის ნომერი და უშალ პოლიტიკური შოუს ერთ-ერთი მონაწილად იგრნობით თავს. დემოკრატიული მეთაფიზიკა ამას ორთქლის გამოშვება ეწოდება. თუ მსალაობის სურვილი ვაკრინდათ, იხმალავით, ოღონდ წარმოსახავით.

რა თქმა უნდა, დემოკრატიის საპროგრამო დებულებებში სადავო არაფერია, მაგრამ ამ ჩვენ საუბარი ვაქვს იმ პოლიტიკური მეთაფიზიკაზე, რომელიც მზავანზე დომინირებს გარეგანი აიტკანა - აღზრდაზე, პრეტენზია - კომპეტენტურებაზე. დემოკრატიული მეთაფიზიკა არ მოთხოვს ადამიანისგან მეთაფიზიკალურებას და შრომით ჩვევებს. მან არ აინტერესს მოქმედ ინვლიდითა მზარევი, იგი უარყოფს პიროვნებათა შერჩევის პრინციპს. ქმმარტივი დემოკრატიკა კი პიროვნების უტმარირებით იწინება, ამიტომაც საზოგადოებრივი განვითარების პროცესი მიმართული უნდა იყოს სწორედ პიროვნების ჩამოვარებისმიძენ. საწმუხაროდ, ჩვენში ამავალი ტენდენცია არ არსებობს. პიროვნული თეთრობილება, ძირითადად, უკავშირდება მატერიალური კეთილდღეობის მაჩვენებლებს, მორალი, ეთიკა, ღირსება - არსობრივად რტორიული ცნებების განეკუთვნება, მათი ვაკებების დროს მოსაზერე შესაძლოა სწოტირად ჩაიქვიტოს კიდევ და ბავშვობის მოგონებებით შევედრის ამ სიტყვების პირველადი მნიშვნელობის გასტყნებას.

საქმეს ეს გახლავით, რომ ერთვნული ნება, თუ ასეთი რომ ჯერ კიდევ არსებობს, უნდა დაუსერიპირებდეს დემოკრატიის ფორმალურად ამ შეზივებულ და დემოკრატიული დასუელობანი შევერმება ერისა და პიროვნების დასუელობების. ეს პიროვნული დიდ ძალისხმევად და სიფრთხილეს მოითხოვს, რათა საზოგადოება კვლავ ამ დიოზალოს დაპირისპირებულ ბანაკებში, მდესალევიტებას და ნაციონალ-პატირიტიკებას, რასაც უდავოდ კვლავ გამოკითხვებს რევეზისტული სულისკვებითი შეპრობილი დიდი ჩრდილოელი მეზობელი.



არმო




საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საგარეო ურთიერთობების სამსახური, L'ambade, 1965

<http://www.opentext.org.ge/arili>



საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საგარეო ურთიერთობების სამსახური, 1916-17

6<sup>13</sup>/<sub>21</sub>



პირველი დე აჩრდილ უსარკულუზან ნოსტალია 1913

იხილეთ მძებნიკი პანის ნაწილი